საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№298 (12 368) 21 დეკემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# ტიმ ლეინის მწვრთნელობა გადაწყვეტილია!

**გადამწყვეტი კახეთში სტუმრობა გამოდგა. ავსტრალიელი მწვრთნელი მოიხიბლა და ხელიც ჩაგვირტყა. ლეინი 20 იანვრისთვის ჩამოვა და კონტრაქტს ხელს მოაწერს. ჯამაგირი - 10 600 ევრო თვეში. მის გარდა ნაკრებში კიდევ სამი მწვრთნელი იმუშავებს**

საქართველოში ავსტრალიელი სპეციალისტის ტიმ ლეინის სტუმრობა შედეგიანად დასრულდა. რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასა და ლეინს შორის წინასწარი, სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ავსტრალიელი თანახმაა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს უთავკაცოს. გვესაუბრება საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტი გია ნიჟარაძე.

- ამ შეთანხმების მიღწევისას გადამწყვეტი ტიმ ლეინის ვიზიტის ბოლო დღე გამოდგა. ავსტრალიელს ექსკურსია მოვუწყეთ კახეთში. ვუჩვენეთ იყალთო, ალავერდი, თელავი. გავაცანით საქართველოს ისტორია, ვუამბეთ ჩვენი, სარწმუნოების შესახებ, იყალთოსა და ალავერდში სანთლებიც დავანთებინეთ. ამ ყველაფერმა ლეინზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

11





2

## ტოპმიოლერი თბილისშია. შესაძლოა, კონტრაქტი დღესვე გახანგრძლივდეს

## ლივერპულის 6 მილიონი გირვანქა კალაძისთვის

ბრიტანული ტაბლოიდი „სანი" იუწყება, რომ „ლივერპულის" ესპანელი თავკაცი **რაფაელ ბენიტესი** უახლოეს მომავალში „მილანს" ოფიციალური წინადადებით მიმართავს - ინგლისური კლუბი საქართველოს ნაკრების კაპიტნის **კახა კალაძის** სანაცვლოდ 6 მილიონ ფუნტ სტერლინგს გაიღებს. „სანის" ინფორმაციით, სწორედ ამ თანხაზე შეუთანხმდა რაფაელ ბენიტესი კლუბის ამერიკელ მფლობელებს. კალაძესთან ერთად ბენიტესს „სევილიის" მარცხენა მცველის **ხოსე მანუელ კასადოს** ყიდვაც ან უკიდურეს შემთხვევაში იჯარით აყვანა სურს. შეგახსენებთ, რომ ორიოდე კვირის წინათ კახა კალაძის დაახლოებით სატრანსფერო თანხად 4 მილიონი გირვანქა დასახელდა. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ „ლივერპული" კალაძის შესაძენ ფულს **პიტერ კრაუჩის** და **მომო სისოკოს** გაყიდვით იშოვნის.

ნიკოლოზ ნეფარიძე



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერმა კაიზერსლაუტერნი დატოვა

## ცქიტიშვილისა და მენთეშაშვილის ტრანსფერი საეჭვოა?

კლაუს ტოპმიოლერმა, რომელიც მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერ "კაიზერსლაუტერნში" საპატიო სპორტულ მრჩევლად მუშაობდა, გუშინ პოსტი დატოვა. „ლაუტერნთან" პერ კლაუსის გამოთხოვების შემდეგ, გერმანელი მიმომხილველები უკვე საეჭვოდ მიიჩნევენ **ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილის** ტრანსფერს. ამ თემაზე გერმანულმა ვებგვერდებმა გუშინ არაერთი მასალა გამოაქვეყნეს და ყველა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს. უფრო მრავლისმთქმელი "შპიგელში" გამოქვეყნებული სტატიაა და მას შემოკლებით გთავაზობთ.

"კლაუს ტოპმიოლერი 6 კვირის წინათ "კაიზერსლაუტერნის" საპატიო სპორტულ მრჩევლად დაინიშნა. გუშინ კი ეს პოსტი დატოვა და კლუბს, რომლის ცოცხალ ლეგენდადაც ითვლება, დაემშვიდობა. როგორც ირკვევა კლაუს ტოპმიოლერს სურდა "კაიზერსლაუტერნის" სპორტული საქმე თავად წარემართა, მაგრამ ჩანს მან დაინახა, რომ ასე არ იყო და კლუბი დატოვა. ტოპმიოლერი გუნდის მწვრთნელის კიეტილ რეკდალის გაშვების მომხრე იყო. ის ახალი მწრთნელის მოსაძიებლადაც აქტიურად მუშაობდა. როგორც ირკვევა, გუნდის მწვრთნელობაზე ტოპმიოლერს ლოთარ მათეუსთანაც ჰქონდა მოლაპარაკებები. თუმცა "კაიზერსლაუტერნის" შეფები რეკდალს ვერ შეელიენ, პირიქით, მას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს და პოსტზე დატოვეს. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბში საპატიო სპორტულ მრჩევლად კლაუს ტოპმილერის დამტკიცებისთანავე "ლაუტერნის" უკვე ყოფილმა, სპორტულმა დირექტორმა მიხაელ შიონბერგმა პოსტი დატოვა. ახლა კი თანამდებობა თავად ტოპმიოლერმა დატოვა. მოკლედ "კაიზერსლაუტერნს" ახლა მოსაძებნი ჰყავს პიროვნება, რომელიც კლუბის სპორტულ საქმეს მიხედავს. ტოპმიოლერის წასვლის შემდეგ კი უკვე საეჭვო ხდება იმ ორი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერის განხორციელება, რომელიც ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. საუბარია საქართველოს ნაკრების ნახევარმცველებზე, ლევან ცქიტიშვილისა და ზურაბ მენთეშაშვილზე. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია და კლუბის არცერთ წევრს მსგასი განცხადება არ გაუკეთებია.

"ჩვენ მეორე წრესაც კიეტილ რეკდალთან ერთად დავიწყებთ. კლუბის ხელმძღვანელობამ მას სრული ნდობა გამოუცხადა. ნორვეგიელმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ სურს კლუბში დარჩენა. მან განაცხადა, რომ ზამთრის პაუზისას 1-2 ფეხბურთელს დაიმატებს და უკვე კარგი გუნდი გვეყოლება. ის თვლის, რომ "ლაუტერნი" შეძლებს მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას", - აღნიშნავს "კაიზერსლაუტერნის" სამეთვალყურეო საბჭოს პრესმდივანი **არტურ ბაუკჰაგე**.

კლაუს ტოპმიოლერს ორი ქართველის გარდა, კიდევ ერთი ფორვარდის დამატებაც სურდა.

"მე და ჩემი კოლეგები მაქსიმალურად შევეცადეთ კლაუს ტოპმიოლერს კლუბიდან წასვლის გადაწყვეტილება შეეცვალა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ჩვენ უკვე მოვნახეთ ახალი სპონსორი, გვაქვს ფინანსები და იმ ტრანსფერებს განვახორციელებთ, რომლებიც ჩაფიქრებული გვქონდა", - აცხადებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დიტერ ბუხჰილცი".

დღეს გამთენიისას კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე უკვე თბილისში იქნებიან და კონტრაქტის გაგრძელებაზე დღესვე ექნებათ საბოლოო საუბარი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან და შესაძლოა ხელშეკრულებას ხელი დღესვე მოეწეროს.

**დავით ცაბაძე**



ლეგიონერი

# ღვინიანიძემ ოპერაცია გაიკეთა

საქართველოს ნაკრებისა და "მიუნხენ 1860"-ის მცველმა **მათე ღვინიანიძემ** გუშინ მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. შეგახსენებთ, რომ ღვინიანიძემ "მიუნხენ 1860"-ის რიგებში ბოლო 2 მატჩი გამოტოვა. გერმანული ვებგვერდების ინფორმაციით ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მიუნხენელთა გუნდის სამედიცინო შტაბის თქმით, მათეს რეაბილიტაციისთვის ერთი თვე ესაჭიროება.

"მათე ღვინიანიძეს მარცხენა ფეხის მუხლი აწუხებდა და ოპერაციის გაკეთება არჩია. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ახლა ის თავს კარგად გრძნობს და ყველას იმედი გვაქვს, რომ რეაბილიტაციაც დროულად დასრულდება. მას საამისოდ ერთი თვე სჭირდება. გუნდი მეორე წრისთვის მზადებას რომ შეუდგება, მათე უკვე მწყობრში იქნება და სრული დატვირთვით შეეძლება გუნდთან ერთად ვარჯიში", - აღნიშნა "მიუნხენ 1860"-ის სპორტულმა დირექტორმა **შტეფან როიტერმა**.

**დავით ცაბაძე**




# სეთურიძის სამდღიანი მოგზაურობა ჰაერში

## ჯანმრთელად ვარ და მეორე წრისთვის მოვემზადები



**გიორგი სეთურიძე 20 დეკემბრის დილის რვა საათზე ჩამოფრინდა თბილისში. ეს ამბავი აღსანიშნავი არაფრის დიდებით არ იქნებოდა, რომ არა ერთი „უმნიშვნელო" ფაქტი - მისი ვოიაჟი სამი დღე გრძელდებოდა.**

- თვითმფრინავი კინაღამ ჩამოვარდა. თბილისში ვერ დავჯექით, გერმანიიდან რომ მოვფრინავდით და ეკიპაჟი უკან გაბრუნდა. მერე მიუნხენში დავჯექით, იყო მოლოდინი, როდის გავფრინდებოდით და როგორც იქნა, სამდღიანი მგზავრობის შემდეგ თბილისის აეროპორტში დავეშვით. უნდა გენახათ, რა ხდებოდა თვითმფრინავში, წივილ-კივილი, ტირილი, ცრემლები.

**- მგზავრობაც სეზონივით უიღბლო გამოგივიდა. ახლა მაინც თუ მომჯობინდი?**

- რა თქმა უნდა, იანვრიდან სრული დატვირთვით ვივარჯიშებ.

**- „კარლ ცაისში" ოთხი ქართველიდან ძირითადში ერთი-ორი თუ ხვდება. შეგუება გაუჭირდათ?**

- სათითაოდ ყველა კარგადაა, მაგრამ მწვრთნელისას რას გაიგებ.

**- ივანაუსკასის დანიშვნით რა შიეცვალა?**

- უფრო მობილიზებულად ავთამაშდით და გაცილებით ბრძოლისუნარიანები გავხდით.

**- გერმანულ კლუბს ჟინი ლიტველმა შესძინა?!**

- ის გერმანიაში თამაშობდა და აქაურებზე არანაკლებად იცის გერმანული ფეხბურთი და მათი სტილი.

**- შენი აზრით, „კარლ ცასს" მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება შეუძლია?**

- დარწმუნებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ რომ ვიბრძოლებთ, ნაღდია.

**- მთელი წრე ჩაგივარდა. ლეგიონერისთვის რთული მდგომარეობაა.**

- სამწუხაროდ, ოთხი საკონტროლო მატჩი ჩავატარე და დამამტვრიეს. არადა, მწვრთნელი მემადლიერებოდა. სამწუხაროდ ისეთი ტრავმა მივიღე, ერთი წელი არ უნდა მეთამაშა.

**- გუნდს გავარდნის შემთხვევაში, „კარლ ცაისში" დარჩები?**

- ასეთ შემთხვევაში კონტრაქტი ავტომატურად წყდება.

**- დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, იენაში წასვლა სწორი გადაწყვეტილება იყო?**

- რა თქმა უნდა, ორი აზრიც არაა. ფეხბურთელს რაც სჭირდება, ამ გუნდში ყველაფერია. რომ არა უიღბლობა, ჩვენ ახლა ცხრილის შუაში მაინც უნდა ვიყოთ. მარტო ის რად ღირს, „კიოლნს" 3:1 ვუგებდით თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე და 3:4 წავაგეთ.

**- ტრავმის შემდეგ ფსიქოლოგიური შიში არ გაგიჩნდა?**

- არანაირი შიში არ გამჩენია. მარცხენა ფეხსაც კარგად ვურტყამ და მარჯვენასაც, რომელ შიშზეა ლაპარაკი, პირიქით, ექიმი რომ არ მიშლიდეს, გუნდთან ვარჯიში დაწყებული მექნებოდა.

**- გერმანული პრესა თავიდან ქართველებს არ გწყალობდათ, რადგან რუსი ინვესტორის ჩაყვანილი იყავით. დღემდე ასეთი უარყოფითი დამოკიდებულებაა?**

- ესეც იყო და დადებითი გამოხმაურებაც. გაზეთ „ოსტ ტიურინგერ ცაიტუნგში" პირიქით, ეწერა, „კარლ ცაისმა" მომავალში მილიონებად რომ შეაფასებენ, ისეთი ქართველები შეიძინაო. მე მჯერა, რომ ვითამაშებ და ყველას დადებითად ავალაპარაკებ. მთავარია, შეკრების შემდეგ ფორმა დროულად აღვიდგინო.

... ბოლოს გთავაზობთ სტატიას, რომელიც „ოსტ ტიურინგერ ცაიტუნგმა" გიორგი სეთურიძეზე რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა.

**გიორგი სეთურიძე დაუბრუნდა მოედანს**

მუხლის ტრავმის შემდეგ, 22 წლის სეთურიძე მოედანზე გამოდის, ხელებში 9 კილოგრამიანი ტვირთით და ისე ვარჯიშობს.

22 ივნისი იყო, როცა მან მიიღო ჯვარედინი იოგის უმძიმესი ტრავმა. ეს დიდი დანაკლისი იყო გუნდისთვის. ექიმები 1 წლიან პაუზასაც კი არ გამორიცხავდნენ, მაგრამ სეთურიძეს ფარ-ხმალი არ დაუყრია და ახალი ენერგიით იწყებს შეტევას.

დღეში 6 საათს თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, რათა ფორმაში ჩამდგარიყო, ახლა ის კმაყოფილია თავისი შედეგით. მართალია ბურთით თამაში მისთვის ჯერ კიდევ ნაადრევია, მაგრამ სავარჯიშო მოედნის ერთ კუთხეში, ის ფიზიოთერაპევტ მარიო რეზერთან მუშაობს თავდაუზოგავად.

სეთურიძე მისმა ექს-მწვრთნელმა ფრანკ ნოიბარტმა ზაფხულში გამოარჩია, როგორც საუკეთესო 3 ქართველ ფეხბურთელს შორის. ის გამოირჩეოდა თავისი სისწრაფით, მიჰქროდა როგორც ისარი და თავის მოწინაალმდეგეს უკან იტოვებდა.

იმედი მაქვს, რომ ჩემ გუნდს მალე დავეხმარები, ამბობს ის. ეს ძალიან ახარებს მწვრთნელ ვალდას ივანიუსკასს, რადგან ბოლოსდაბოლოს, კვიპროსელ კოსტას ხარალამბიდესს, რომელიც არასტაბილურად თამაშობს, ეყოლება კონკურენტი სეთურიძის სახით.

სეთურიძის ტრავმის შემდეგ, კიდევ რამდენიმე მოთამაშე დაშავდა შედარებით მსუბუქად და დღემდე არ არიან ფორმაში. ამის გამო მათ ემუქრებათ გუნდიდან ჩამოშორება და კონტრაქტის გაუქმება.

სეთურიძის დაბრუნებით, გახარებული არიან კლუბის ხელმძღვანელები: „გასაოცარია რა წარმატებას აღწევს გიორგი" - ამბობს ფიზიოთერაპევტი რეზერი და მას კვლავ უშვებს სტადიონზე, - „ორივე ხელში ტვირთით ჯორჯი დარბის როგორც შვლის ნუკრი". რეზერი გახარებულია თავისი და გიორგის თავდაუზოგავი და დაუღალავი შრომის შედეგით.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ლატვიას რუმინეთი მოყვა

გუშინწინ ლატვიასთან თამაშის საკითხი გადაწყდა, გუშინ კი გაირკვა, რომ მომავალი წლის 19 ნოემბერს რუმინეთს ვეთამაშებით სტუმრად. მართალია თებერვლის მერე ნოემბრამდე ნაკრებს კიდევ აქვს რამდენიმე დღე გამოყოფილი ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად, მაგრამ მეტოქეები ჯერჯერობით არაა გარკვეული.

"რუმინეთის ვარიანტი თითქმის გადაწყვეტილია. საქმე იქითკენ მიდის, რომ 19 ნოემბერს რუმინეთში ამხანაგურ მატჩს გავმართავთ. რუმინულ მხარესთან მოლაპარაკებებს მალე დავასრულებთ", - აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

**დავით ცაბაძე**

# ჰამბურგი, პანათინაიკოსი და წინამძღვრიშვილი: როდის მოვა აპრილი



რატი წინამძღვრიშვილი

ფოტო www.fcameri.ge

თბილისის „ამერის“ 19 წლის ფორვარდი **რატი წინამძღვრიშვილი**, ვისაც ყველა ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, ჯერაც არ არის სრულად გამოჯანმრთელებული, თუმცა იმედი აქვს, რომ გერმანელთა და ბერძენთა სამიზნე ისევ იქნება.

წინამძღვრიშვილმა სეზონისწინა შეკრებაზე მიიღო მძიმე ტრავმა - მენისკი ამოაჭრეს და იმავე, მარცხენა მუხლზე ჯვარედინი იოგები გაუმრთელეს. არადა სეზონის წინ მისით სერიოზულად დაინტერესდნენ „ჰამბურგი“ და „პანათინაიკოსი“.

- ზუსტად არ ვიცი, რომელ თამაშებში მნახეს „ჰამბურგის“ და „პანათინაიკოსის“ წარმომადგენლებმა, თუმცა ინტერესი რომ იყო, ფაქტია. იმედია, ისინი ისევ დაინტერსდებიან ჩემით...

- ტრენაჟორზე ვვარჯიშობ, აუზშიც ვცდილობ კონდიციების აღდგენას, სირბილი კი ორი დღეა, რაც დავიწყე. საშუასეზონო შეკრებაზე „ამერთან“ კი ვიქნები, მაგრამ სრული დატვირთვით ვარჯიშს აპრილამდე ვერ დავიწყებ. მთავარია, „ამერში“ თამაში დავიწყო და მერე ალბათ ისევ იფიქრებენ ჩემზე „ჰამბურგი“ და „პანათინაიკოსი“ - გვითხრა წინამძღრიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

## თურილი



ვლადიმერ გუცაევი. დაიბადა 21.12.1952, თბილისი. ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1971-86). ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 11 მატჩი (1 გოლი). ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1976). მონაწილეობდა სსრკ უმაღლესი ლიგის 303 მატჩში (47 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და სამგზის მესამე (1972, 76 და 81) პრიზიორი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 79) და ფინალისტი (1980). იყო საქართველოს ახალგაზრდული (1996-97) და ეროვნული (1998-99) ნაკრებების, ვლადიკავკაზის „ალანიისა“ (2000) და „მცხეთის“ (2003) მთავარი მწვრთნელი, თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი (1987-90), საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი (1987), კლუბ „მცხეთის“ პრეზიდენტი (2002-03). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი. პარლამენტის წევრი.

# 99-ე სუვენირი ამჯერად გუცაევისთვის




ოჩამჩირელი ზურაბ მიქავა კარგად ცნობილი პიროვნებაა სპორტისა და ხელოვნების სამყაროში. ვიტალი დარასელიას ბავშვობის მეგობარმა, სწორედ ფეხბურთს სიყვარულით დაიწყო ორიგინალური სამახსოვრო ბურთების დამზადება ასევე სამახსოვრო მოვლენებთან თუ თარიღებთან დაკავშირებით. ხელოვნების ნიმუშად ქცეული ასეთი საჩუქრები უძღვნა ზურაბმა ცნობილ ფეხბურთელებს და ფეხბურთში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ჩვენში თუ საზღვარგარეთ. თავისი ნამუშევარი მან „ლელოსაც“ უსახსოვრა, როცა ჩვენ გაზეთს 70 წელი შეუსრულდა.

ზურაბ მიქავამ ამ დღეებში საკუთარი ხელით დამზადებული 99-ე სუვენირი შექმნა და იგი ვეტერანი ფეხბურთელის ვლადიმერ გუცაევის დაბადებიდან 55 წელს მიუძღვნა.

სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ეს საჩუქრია გადაღებული.



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

**კახა კალაძე** პირველი ქართველია, ვინც სერია A-ში ითამაშა, იტალიის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა ლიგა მოიგო და აჰა: კალაძე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონიც შეიქნა.

და ვილას ახსოვს, რომ კალაძე სამტრედიელია? სამტრედია არის მხოლოდ ადგილი, სადაც კალაძე დაიბადა და გაიზარდა, თორემ ახლა კალაძე მილანელია, ევროპაში ერთ-ერთი ცნობილი ფეხბურთელი, ჩემპიონთა ლიგის თასის ორჯერ ამწევი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ფიფას თასსაც შეავლო ხელი.

კალაძე განსაკუთრებული ფენომენია. ის არ ყოფილა ძველი ბიჭი და არც ძველი ბიჭების მეგობარი. როცა ის საქართველოში ჩამოდის, არ ტრიალებს იმ რესპექტაბელურ ხალხში, რომლებიც ათი-თხუთმეტი წლის წინათ თბილისში ცნობილი განგსტერები იყვნენ.

კალაძე ძალიან კარგი მაგალითია ქართველი ახალგაზრდებისთვის, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძალიან კარგი ფეხბურთელია.

ტროტუარზე, მარკეტთან თუ საცხობთან, ბაზრობასთან თუ უნივერსიტეტთან, მეტროსთან თუ ინტერნეტ-კაფესთან ხელში ათამაშებენ მობილურს, იფურთხებიან ან იბღვირებიან, ან სხვას აგინებენ, ან საკუთარ თავს, უყურებენ ლამაზ მანქანებს და ლამაზ ქალებს - სალღლელი აშლილია და მორჩა, სხვა არაფერი.

კალაძემ კი იშრომა და სამყაროს უკიდეგანობას გაეკიდა. კალაძე ერთი შემთხვევაა, მაგრამ ერთი მაგალითი ცოტა არ არის - კალაძე, როგორც ფენომენი, ნამდვილი და კარგია.

ასეც მომხდარა: ლუიშ ფიგუმ კალაძე და შოთა არველაძე მსოფლიოს ნაკრებთა მატჩზე მიიწვია.

# სალღრღელი

ფიგუს დაპატიჟება კალაძემ იუარა, იტალიიდან უკრაინაში გაფრინდა, იქაური კუდრაჭების მატრაბაზობაზე გავარსკვლავდა და არა ფიგუსთან, მსოფლიოს ნაკრებთა თამაშზე.

არ არსებობს არაფერი გამონაკლისების გარეშე და ასე დაემართა კალაძესაც.

უკიდეგანობის საქართველოს და ქართულ ფეხბურთს არაფერი უჩანს, მაგრამ წინსვლა აქაც არის - ფეხბურთის ფედერაცია უკვე სერიზულად ფიქრობს იმაზე, რომ ერთ-ერთ ასაკობრივ ნაკრებში ქართველი მწვრთნელი დანიშნოს.

გია გეგუჩაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გიორგი დევდარიანი, თემურ ქეცბაია... არჩევანი დიდი არ არის, მაგრამ ამ ისედაც მწირ რესურსს თუ კიდევ დავაპატარავებთ, ვერ იქნება კარგი საქმე. ყაველაშვილი და დევდარიანი ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელ არჩევნებში გია ნემსაძის მხარდამჭერები იყვნენ და ძალიან ცუდია, თუ ამის გამო ისინი საქართველოს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების გაწვრთნის კანდიდატები არ არიან.

ის ჩემიანია, ის იმისიანია - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თუ ასეთ კომპლექსებს ვერ დაამარცხებს, ყველაფერი წინ დაუხვდება. ასე მოხდა ახალკაცის და გაიოზ დარსაძის შემთხვევაში და ეს აღარ უნდა განმეორდეს.

კლაუს ტოპმიოლერთან ახალი მოდელის კონტრაქტი გაფორმდებაო, გვითხრეს ფედერაციაში და ეს კარგი ამბავი უნდა იყოს. ტოპის ჯამაგირი დაგროვილ ქულებზეც იქნება დამოკიდებული და იქნებ გერმანელიც უფრო შედეგიანად აძიგძიგდეს.

საპრეზიდენტო არჩევნები კი ცუდად დაემთხვა საფეხბურთო აურზაურს. ფეხბურთის განვითარების პროგრამა, რომელიც ფედერაციამ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ერთად შეიმუშავა, უნაკლო არ არის, მაგრამ ფულის და განახლებული სტადიონების მომტანია ქართული ფეხბურთისთვის. პრეზიდენტობის მსურველთა სპექტრი ფართო და ჭრელია და ვინ იცის, საით დაცურდება ქვები.

საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ფეხბურთელებისგან იცლება. კარგი კონტინგენტი ჰყავდა „ოლიმპს“, მაგრამ ანატოლი პისკოვეცის მოსვლის შემდეგ „ოლიმპი“ მოირყა. ამ უკრაინელი მწვრთნელის მოწვევაზე და მომწვევზე ლეგენდები დადის, პისკოვეცით ყველა უკმაყოფილოა „ოლიმპში“, მაგრამ ის რჩება და ფეხბურთელები მიდიან - ანაქრონიზმს ჰგავს ეს ყველაფერი, რასაც ალბათ რუსთავური ფოლადიც ვერ გაუძლებს.

**დავით თავართქილაძე**



ყაზბეგი
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



# სიურპრიზისთვის მოუმზადებელი

**წესით და რიგით**, ეს სეზონი „დილას" პირველ ლიგაში უნდა გაეტარებინა, მაგრამ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ, პროფლიგამ უმაღლესიდან ქუთაისის „ტორპედო" მოკვეთა და იმერელთა ადგილი გორელებმა დაიკავეს. დღევანდელი „დილა" შარშანდელს კი სჯობია, მაგრამ არც იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბრძოლა გაუადვილდეს. ბუნებრივია, შიდაქართლელებს შანსი ჯერ არ დაუკარგავთ, მაგრამ თუ ზამთრის სატრანსფერო პაუზისას საგრძნობლად არ გაძლიერდნენ, გაისად პირველ ლიგაში იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, პირველი წრის მიწურულს „დილას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მამუკა ვარდოსანიძე ზურაბ ხორგუაშვილმა შეცვალა. ვარდოსანიძემ მცირე ხნით ხორგუაშვილის ასისტენტად იმუშავა, შემდეგ კი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო (შესაძლოა, გულზე ოპერაცია დასჭირდეს), გუნდი დატოვა. პირველი წრის შეჯამება კი რა თქმა უნდა, მას უნდა ეთავა.

## მამუკა ვარდოსანიძე

ყოფილი მთავარი მწვრთნელი

„გუნდი იმგვარად დავაკომპლექტეთ, რომ პირველ ლიგაში გამოვსულიყავით ღირსეულად. როცა გავიგეთ, რომ უმაღლესში დაგვიშვეს, გაძლიერებაზე ფიქრი უკვე გვიანი იყო - ყველა ნორმალურ ფეხბურთელს კონტრაქტი სხვა კლუბებთან ჰქონდა გაფორმებული. საერთო ჯამში, ბუნებრივია, ჩემპიონატში ნაჩვენებ შედეგს უარყოფითად ვაფასებ. სამაგიეროდ, თასზე უფრო წარმატებით ვიასპარეზეთ და მეოთხედფინალში გავედით. ჩემპიონატშიც შეგვეძლო მეტი ქულის მოპოვება, მაგრამ კალენდარი არცთუ ხელსაყრელი გვქონდა - უშუალო კონკურენტების უმრავლესობას სტუმრად ვეთამაშეთ, გორში კი ძლიერ მეტოქეებს ვუმასპინძლეთ".

## საუკეთესო მატჩი

„რამდენიმე შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ვერ გავიმარჯვეთ, მაინც „ბორჯომსა" და „ოლიმპთან" გამართულ მატჩებს გამოვარჩევდი. არც „ამერსა" და „ზესტაფონთან" გვითამაშია ურიგოდ".

## ყველაზე ცუდი მატჩი

„ყველაზე ცუდად შინ „მგლებთან" ვითამაშეთ, ასევე უსახურად ჩავატარეთ ბოლნისში „სიონთან" მეორე ტაიმი".

## პლუსი

„ჩვენი ფეხბურთელები დიდი მონდომებითა და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ".

## მინუსი

„არ გვყავდა მაღალი კლასის ფეხბურთელები. პირველ წრეში ნაჩვენები შედეგი არსებული კონტინგენტის პირობებში მაქსიმუმი იყო".

## რჩეული შეგირდები

„გუნდს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია, ყველა რგოლში თანაბრად ვიყავით დაკომპლექტებული. გამორჩევით კი **გიორგი ბალაშვილს, დავით ხანიშვილსა და ნოდარ ნოზაძეს** გამოვარჩევდი".

## პირველი წრის რჩეულნი

1. გიორგი ნოდარის ძე ძელიძე (ზესტაფონი)
2. რევაზ ჯიქია (ოლიმპი)
3. გრიგოლ დოლიძე (ამერი)

## დილა და ქომაგი

„ობიექტური გულშემატკივრები გვყავს, რომელთაც კარგად ესმით, რომ ამ გუნდისგან მეტის მოთხოვნა არ შეიძლება. ყველაფრის მიუხედავად, თითოეულ მატჩში ბოლომდე ვიბრძოდით და ამას გორელები მშვენივრად ხედავდნენ".

## მსაჯობა

„გვყავს 3-4 მაღალკვალიფიციური არბიტრი, დანარჩენები კი არცთუ მაღალი დონისანი არიან. პირადად მე სასაყვედურო ბევრი არაფერი მაქვს, არაობიექტური მსაჯობით „დილა" ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ დაიჩაგრა, ახალციხეში".

## სკანდალები

„ფეხბურთი ემოციური სპორტია და საფეხბურთო მოედნებსა თუ მის მიღმა მომხდარი ექსცესებიც აქედან მოდის. ნაკლები სკანდალები არც წინა ჩემპიონატებში ხდებოდა".

## პროგნოზები

„ჩემპიონი „დინამოსა" და „ზესტაფონის" ჭიდილში გაირკვევა, შესაძლოა, ყველაფერი მათმა ურთიერთშეხვედრამ გადაწყვიტოს. რაკი ეს მატჩი ზესტაფონშია, მცირე უპირატესობას „ზესტაფონს" მივანიჭებდი. თასის მოპოვების რეალური შანსი კი ამ ორი გუნდის გარდა, „ამერს" აქვს. კარგია, რომ მეოთხედფინალისტთა შორის „დილაცაა".

**ლევან ჯანეზაშვილი**




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| 6. ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21:16 | 21 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| 10. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

### დილა

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბალაშვილი | 13 | 13 | - | 3 | - |
| ბალიაშვილი | 13 | 13 | - | 2 | - |
| დ. ხანიშვილი | 13 | 13 | - | 4 | - |
| სამადაშვილი | 13 | 12 | - | 1 | - |
| ბ. ჩიტაია | 13 | 11 | 3 | 3 | - |
| ტლაშაძე | 13 | 8 | 1 | - | - |
| ლაცაბიძე | 12 | 12 | - | - | - |
| სულთანიშვილი | 12 | 10 | - | 1 | - |
| ნ. ნოზაძე | 12 | 9 | 1 | - | - |
| სადალაშვილი | 11 | 10 | 2 | - | - |
| შატაკიშვილი | 11 | 9 | - | 4 | - |
| ილურიძე (მეკ.) | 9 | 8 | -17 | - | 1 |
| კეჩხუაშვილი (მკ.) | 5 | 5 | -7 | - | - |
| შერმადინი | 5 | 1 | - | 1 | - |
| ლ. თურმანიძე | 5 | - | - | - | - |
| მასურაშვილი | 4 | 4 | - | 1 | - |
| კურტაიძე | 4 | 1 | - | - | - |
| ი. ლომიძე | 4 | - | - | - | - |
| ჩუკვუ | 3 | 2 | - | - | - |
| იჩძითი | 2 | 1 | - | - | - |
| ი. კობახიძე | 1 | 1 | - | - | - |
| კვიტაიშვილი | 1 | - | - | - | - |

**I ტური**
11.08 შ ბათუმი 1:0
გოლი: ბ. ჩიტაია

**II ტური**
17.08 ს ამერი 2:3
გოლები: სადალაშვილი, ბ. ჩიტაია

**III ტური**
24.08 შ ვიტ ჯორჯია 0:1

**IV ტური**
2.09 ს მესხეთი 0:2

**V ტური**
14.09 შ ზესტაფონი 1:2
გოლი: სადალაშვილი

**VI ტური**
22.09 ს ლოკომოტივი 0:1

**VII ტური**
28.09 შ მგლები 1:3
გოლი: ნ. ნოზაძე

**VIII ტური**
6.10 შ ოლიმპი 1:1
გოლი: ტლაშაძე

**IX ტური**
19.10 ს სიონი 1:5
გოლი: ბ. ჩიტაია

**X ტური**
27.10 შ ბორჯომი 0:0

**XII ტური**
24.11 შ სპარტაკი 0:0

**XIII ტური**
2.12 ს დინამო 0:5

**XI ტური**
6.12 ს მერანი 0:1

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

# არიერგარდელები

დამთავრდა XIX ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე და სპორტის ნომერ პირველი სახეობის გორელი ქომაგი კიდევ ერთხელ მიეცა ზამთრის ფიქრს. ჩვეულებისამებრ ამ დროსაც მისთვის ნომერ პირველი საფიქრალი თავისი გუნდის გადარჩენა ანუ უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. „დილა“ ძველებურად, ისევე როგორც ბოლო სეზონებში წრეებსშორის შესვენებაზე ქულების, გატანილი გოლების და ლიგაში ადგილის შენარჩენების მინიმალური იმედით მიდის და ისევე, როგორც უწინ, ახლაც საუბრობენ იმაზე, რომ ცოტა ხანში ყველაფერი კარგად იქნება.

## მთავარია მონაწილეობა

საქართველოში აგერ უკვე მეცხრამეტე დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი ტარდება და თუ რამდენიმე გამონაკლისს არ ჩავთვლით, „დილა“ თითქმის ყველა სეზონში უმაღლესი ლიგის აუტსაიდერთა შორის ფიგურირებს, არადა ამ ლიგაში ასპარეზობის „სტაჟის“ გათვალისწინებით, მხოლოდ ოთხი-ხუთი გუნდი თუ დაუდგება გვერდით. მაგრამ მხოლოდ გამოცდილებას რა თავში იხლის ფეხბურთის გორელი ქომაგი? გუნდმა, რომელმაც სახელი თანაქალაქელი ბელადის ცნობილი ლექსის მიხედვით დაირქვა, ბოლო ხანს დევიზად ოლიმპიური თამაშების „ბელადის“ პიერ დე კუბერტენის სიტყვები დაუსახახავს: „მთავარია მონაწილეობა“!

დაახლოებით ერთი წლის წინათ მარჩენალის გამოჩენის და მუდმივად გადარჩენისათვის ბრძოლის პრობლემის მოხსნამ, უმაღლეს ლიგაში ღირსეულად გამოსვლის საკითხის დადებითად გადაჭრა ჯერჯერობით ვერ მოიტანა.

ჩანს, საფეხბურთო კლუბ „დილას“ იდეაფიქსად ექცა უმაღლეს ლიგაში თამაში, რის საწინააღმდეგოც რასაკვირველია ჩვენ არაფერი გვაქვს. პირიქით, ჟინიანი, საკმაოდ სიმპათიური გუნდისთვის ვინძლო ლიდერთა შორის ყოფნაც გვემეტებოდეს, მაგრამ დავა შეიძლება იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ისეთი საკლუბო პოლიტიკა, როდესაც რაიმე აკვიატებული იდეის გამო გუნდში ნაგებულის ფსიქოლოგია ყალიბდება. ვფიქრობთ, როგორც კონკრეტულად ფეხბურთელთათვის, ისე ზოგადად გუნდისთვის მატჩების უმრავლესობაში ნაწნევი მარცხი და სისტემატიურად, ყოველ სეზონში ერთადერთ მიზნად ლიგაში ადგილის შენარჩუნების დასახვა საბოლოო ჯამში გუნდზე ცუდად უნდა მოქმედებდეს. მოვიტანთ ოდნავ ირიბ, თუმცა საყურადღებო და რეალობასთან ახლო მდგარ შედარებას აქვე, შიდა ქართლის ერთ-ერთი გუნდის, აგარის „მეშაქრის“ პრეზიდენტის **ილია ბურჯანაძის** მოსაზრებიდან. გასული ჩემპიონატის დასაწყისში პირველი ლიგიდან აღზევების მოსურნე აგარელებმა მოგვიანებით კლუბის გარკვეულ საკითხებში ელიტისათვის შეუსაბამო ვითარების შექმნის შემდგომ სეზონის ბოლოს შეგნებულად აღარ იბრძოლეს პლეი-ოფში მოსახვედრად. „ზედა ლიგაში მაჩანჩალობას, პირველ ლიგაში ლიდერობა ჯობია“ — ასე აგვიხსნა გადაწყვეტილება ბურჯანაძემ. ვიცი ამის წამკითხავ „დილის“ არაერთ გულშემატკივარს (იქნებ გუნდის ხელმძღვანელობასაც) „მეშაქრესთან“ შედარებაც გააღიზიანებდა, მაგრამ ჯობია რეალობასთან თვალის გასწორებით საერთო საქმე ხეირობდეს, რადგან ეს უფრო ადრე აფხიზლებს გონებას.

## ვისთვის მოსაბეზრებელი თემა, ვისთვის სავსე ფიალა

ცხადია საქართველო ევროპა არ არის, რომ „ულტრასებმა“ რადიკალური სახის ქმედებებით გამოხატონ უკმაყოფილება. ნებისმიერი გულშემატკივრის ელემენტარული თავმოყვარეობაც საკმარისია, იმისათვის, მოთმინების ფიალა აგევსოს როდესაც შენი გუნდი გამუდმებით ცხრილის ბოლოში მიჩანჩალებს. ბევრი ქართული გუნდისთვის გასაკვირია, როგორ შეუძლია „დილას“ გამუდმებით სერიოზული წნეხის ქვეშ თამაში. ჩვენი ქვეყნის ვერცერთი საფეხბურთო კოლექტივი ვერ ახერხებს ამ გუნდივით ზედიზედ რამდენიმე სეზონი უმაღლესი ლიგის არიერგარდში იდგეს და ლიგიდან არ ვარდებოდეს. არა მარტო ადგილობრივ, ზოგადად ქართული ფეხბურთში ჩახედულ ნებისმიერ ადამიანს ალბად უკვე მობეზრდა ამ კლუბის გასაჭირის თაობაზე საუბარი და საგაზეთო წერილების კითხვა. სხვათაშორის ამ სტატიების სათაურებიც ხშირად ისეთივე ერთფეროვანია, როგორც ბოლო წლებში თავად „დილის“ თამაში. გორელთა საცოდაობით შეწუხებულმა ერთმა ჟურნალისტმა ისიც დაწერა - ამ გუნდის შექმნაში, ალბათ, ღმერთის ხელი არ ურევიაო. ღმერთი ყველგანაა და „ფეხბურთში მისი ხელი მარადონამაც ნახა“. გორელებიც ფიქრობენ, რომ ღმერთის ნება რომ არა, მუდამ კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი მათი სათაყვანებელი კოლექტივი აუცილებლად მოკვდებოდა. ხუმრობა იქით იყოს და რამდენიმე თვის წინათ ჩვენც ვწერდით, რომ გორულმა კლუბმა ჩანს იმუნიტეტი გამოიმუშავა რეგურალურ პრობლემებთან ბრძოლაში, რითაც ბედის უკულმართობით მოტანილ საჭირბოროტო პრობლემებს იოლად არ ნებდება და ხშირად წარმატებითაც ებრძვის მას.

მიმდინარე წლის იანვრამდე, ანუ ვიდრე „დილაში“ ახალი ხელმძღვანელობა მოვიდოდა, კლუბის შეფობისთვის ყველაზე სერიოზულად დაინტერესებული და მონდომებული, როგორც გიორგი ნემსაძის, ისე გოჩა ძასოხოვის და მათი მეგობრების (ბიზნეს ჯგუფების) ინიციატივათა განუხორციელებლობას ადგილობრივი ქომაგნი პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის „დამსახურებად“ თვლიდნენ. იმ დროისათვის ყოფილი ფეხბურთელი, ხოლო ამჟამად ყოფილი გუბერნატორიც თანამდებობაზე დანიშვნის პირველი დღეებიდანვე შეპირდა „დილის“ გულშემატკივარს, რომ გუნდის ასაღორძინებლად ძალას არ დაიშურებდა, მაგრამ თუ კულუარულ ხმებს დავუჯერებთ, კლუბის რეალური მეპატრონის გამოჩენისთანავე მისი სარფიანად გასხვისების იმედით შიდა ქართლის უპირველესი გუნდის მატერიალურ ღირებულებაზე ცოტა არ იყოს გადაჭარბებული წარმოდგენა ექმნებოდა და... საქმე იშლებოდა. ცალკე საქილიკო თემა გულშემატკივართა დასაწყნარებლად გორის გამგეობიდან გავრცელებული ხმები გახლდათ: „დილა“ ინტერნეტით იყიდებაო. ვისაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებოდა ფიქრობდნენ, რომ ეს იყო ადგილობრივ ხელისუფალთაგან „დილისთვის“ მინიჭებული და სხვა ქართული გუნდებისაგან განსხვავებული, „ტექნიკური პროგრესის“ საშუალებით მოტანილი გზა აღორძინებისაკენ, რადგანაც შესაძლოა მაგალითად, არაბი ბიზნესმენი მოსულიყო გუნდში... არადა სინამდვილეში ამ დროს გასვლით მატჩზე გამგზავრებისთვის ავტობუსის ხარჯების დასაფარავი ფულის სათხოვნელად ფეხბურთელები ერთთავად გამგეობაში დადიოდნენ.

გულშემატკივრები, რომელთაც „დილის“ ყველა პრობლემის ექს-გუბერნატორზე გადაბრალება უნდოდათ არცთუ ცოტანი იყვნენ და არიან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხში ბატონი ქარელი მართლაც არ ყოფილა უბრალო, ყველა ხარვეზის მასზე გადაბრალება ვფიქრობთ არასწორია და ამჟამინდელი ვითარებიდან გამომდინარე შესაძლოა არაკორექტულიც იყოს.

რეგიონის არცთუ დიდი ბიუჯეტი დამოუკიდებლად, სპორტის რომელიმე სახეობის სრული ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებას არ იძლევა, მაშასადამე შიდა ქართლის ყოფილ პირველ ჩინოვნიკს „დილისთვის“ მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების არშექმნაში ვერ დავადანაშაულებ. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ ქარელი მაგალითად სათანადოდ შეუწყობდა ხელს დაინტერესებულ პირებს, რომ მათ ფული ჩაედოთ გუნდში და კარგი იქნებოდა, თუ იმ მცირე თანხებს რითაც ის ბიუჯეტიდან „დილას“ უგზავნიდა, გუნდის კონტროლის ინტერესებს არ დაურთავდა თან. ყოველ შემთხვევაში იმდროინდელი „დილის“ პრეზიდენტი მისი მეგობარი, სავარაუდოდ მისივე თხოვნით დანიშნული **არჩილ ბეგიაშვილი** გახლდათ, რომელსაც სხვათაშორის გამუდმებით ეძებდნენ მწვრთნელები სახელფასო და სამგზავრო თანხებისთვის. პრეზიდენტს თავად ფული არ ჰქონდა, გუბერნია იშვიათად, თან მინიმალურად აფინანსებდა და ამიტომ ფიზიკურადაც ძნელი სანახავი იყო და ტელეფონზეც მუდამ „გასული გახლდათ მომსახურების ზონიდან“. პიროვნულად ნამდვილად კარგი ადამიანი იყო ბეგიაშვილი, მაგრამ არ უნდოდა ამ კაცს ფეხბურთი და ძალაა?

## იმედის მორიგი განახლება

წელიწადი შესრულდა რაც „დილას“ ახალ მეპატრონეთა ჯგუფი შეფობს. გუნდში საწვავის, საკვების, ხელფასის პრობლემები უწინდელივით აღარ აწუხებთ, მაგრამ ორგანიზაციული საკითხების გადაჭრას შედეგების თვალსაზრისით სპორტული მხარის წინსვლა არ მოუტანია. მიმდინარე სეზონის დასაწყისში პირველი ლიგისთვის სამზადისში მყოფი „დილა“ წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, რადგან ქვედა ლიგაში ასპარეზობა არ სურდათ. გუნდში დარჩენილ მწვრთნელ-ფეხბურთელთა განცხადებით კი მოულოდნელად ისევ უმაღლესში დაბრუნებულმა „დილამ“ ვერ გაიარა სათანადო მოსამზადებელი ეტაპი. პირველი წრეში ჩავარდნა ამ მიზეზს ბრალდება...

პირველ წრის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გორში უკვე გახშირდა საუბრები „დილის“ მოსალოდნელ უკეთეს მომავალზე. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად ვის ან რას ეყრდნობა ეს ინფორმაცია, ცნობილი მხოლოდ ისაა, რაც უწინაც არაერთხელ გვინახავს და მოგვისმენია, ხმები, რომელიც ბოლოს არ მართლდებოდა. თუ ღმერთმა ინება და ეს ხმები გამართლდა, გაისად საფეხბურთო თვალსაზრისით უკვე ნათელი დილის გათენების იმედი აქვთ აქაურებს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტური. ოთხშაბათის მატჩები

# ორჯერ ორი არის ტონი

## იტალიელმა კლინსმანის 12 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა...

მას მერე, რაც უეფას თასის მატჩების დღეები ჩემპიონთა ლიგის კვირას აღარ ემთხვევა, ამ ტურნირის შეხვედრები ორ დღეზე ნაწილდება ხოლმე. ოთხშაბათი უეფას თასზე მოასპარეზე გერმანული კლუბებისთვის შესანიშნავი დღე გამოდგა: მიუნხენის „ბაიერნმა" სალონიკის „არისი" მიწასთან გაასწორა (6:0) და F ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ლევერკუზენის „ბაიერმა" კი „ციურიხი" გაანადგურა მისსავე მოედანზე (5:0) და ჯგუფიდან ასევე ლიდერის რანგში გავიდა. 1/16 ფინალში გააღწია „გალათასარაიმაც" – თურქული გრანდი „აუსტრიასთან" 0:0-ს დასჯერდა, მაგრამ ფელდკამპის შეგირდებმა იმის გამო იხეირეს, რომ ბერძნულმა „პანიონიოსმა" საკუთარ მოედანზე „ბორდოსთან" წააგო...

### E ჯგუფი

**ციურიხი–ლევერკუზენი 0:5**

**ციურიხი:** ლეონი, ბარმეტერი, როშა, მ. შნაიდერი, შტაჰელი, აბდი, აგერტერი (63. ოკონკვო), შიხაუი, კონდე, ალფონსი (63. ეუდისი), რაფაელი (85. შონბახლერი).

**ლევერკუზენი:** ფერნანდესი, ფრიდრიხი (29. კალსენ-ბრაკერი), გრეშკო, ჰაგი, შარპეი, ბარბარესი, ბარნეტა, როლფესი, ზინკივიჩი (61. ფატი), ბულიკინი (78. გეკასი), კისლინგი.

**გოლები:** 0:1 გრეშკო (19), 0:2 ბულიკინი (23), 0:3 ბარნეტა (50), 0:4 ბულიკინი (58), 0:5 კისლინგი (80)

**მაყურებელი:** 20 100

**ტულუზა–სპარტაკი 2:1**

**ტულუზა:** რიუ, არიბაჟი, ფოფანა, მ'ბენკე, ბატლე (90. სისოკო), დიეზი, ილუნგა, ემანა, სირიე (46. კაპუე), ბერგუნიო, სანტოსი (81. დუპუი).

**სპარტაკი:** ხომიჩი, გედერი, კუდრიაშოვი, შიშკინი, შტრანცლი, კოვალჩუკი, პარშივლიუკი, სოავა, ძიუბა, პრუდნიკოვი, ველიტონი (75. ბაჟენოვი).

**გოლები:** 1:0 სანტოსი (41), 2:0 სანტოსი (52), 2:1 ძიუბა (61-პენ)

**მაყურებელი:** 14 608

მიხაელ სკიბემ ის ძირითად შემადგენლობაში ათამაშა და როგორც ხედავთ, არც შემცდარა – რუსმა 23-ე და 57-ე წუთებზე გაიტანა, 78-ე წუთზე კი, ბუნდესლიგის წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირით, **თეოფანის გეკასით** იქნა შეცვლილი. დანარჩენი გოლები **გრეშკომ, ბარნეტამ** და **კისლინგმა** გაიტანეს.

ამრიგად, სკიბეს სამწყსომ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, გადაასწრო რა მოსკოვის „სპარტაკს", რომელიც „ტულუზასთან" 1:2 დამარცხდა. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ფრანგებმა ბოლო ადგილს თავი მაინც ვერ დააღწიეს. „სპარტაკს" ორივე გოლი ბრაზილიელმა **სანტოსმა** გაუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 |
| 2. სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 3. ციურიხი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 4. სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 5. ტულუზა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |

### F ჯგუფი

**ბრაგა–ცრვენა ზვეზდა 2:0**

**ბრაგა:** ჟორჟე სანტოსი, როდრიგესი, ფერნანდესი, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟე, ჟორჟინიო (73. ჟაილსონი), ბრუმი (89. მადრიდი), ვანდინიო, ლინცი, ვენდერი (71. პეიშოტუ).

**ცრვენა ზვეზდა:** ბანოვიჩი, ანჯელკოვიჩი, ბაიალიცა, ბასტა (18. ჟოაო ლუკაში), ვ. ჯორჯევიჩი, კასტილიო, კორომანი, მილიაში, მილოვანოვიჩი, ბარკოსი (89. ფ. ჯორჯევიჩი), სალასი (60. მოლინა).

**გოლები:** 1:0 ლინცი (11), 2:0 ვენდერი (66)

**მაყურებელი:** 10 000

**ბაიერნი–არისი 6:0**

**ბაიერნი:** კანი, დემიკელისი, ლამი, ლელი (79. სანიოლი), ლუსიო, რიბერი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი (62. ოტლი), ზე რობერტო, კლოზე (62. პოდოლსკი), ტონი.

**არისი:** ხალკიასი, ბარბიერი, პაპადოპულოსი, გუიარო, ვანგელი, გარსია (86. კარაბელასი), ნებეგლერასი, პრიტასი, ფელიპი, ივიჩი (46. ხავიტო), კოკე (71. სისტონი).

**გოლები:** 1:0 ტონი (25), 2:0 ტონი (38), 3:0 ტონი (64), 4:0 ტონი (65), 5:0 ლელი (78), 6:0 ლამი (81)

**მაყურებელი:** 64 000

ჯგუფიდან გამსვლელთა ვინაობა ბოლო ტურის წინ უკვე ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, „ლევერკუზენი" მაინც ბოლომდე დაიხარჯა და „ციურიხს" შავი დღე აყარა. „ფარმაცევტთაგან" საუკეთესო რუსი **დმიტრი ბულიკინი** გახლდათ, რომელმაც დუბლი მიითვალა. დიახ, ზაფხულს აქეთ რუსი თავდამსხმელი „ლევერკუზენის" საკუთრებაა, მაგრამ ბუნდესლიგაში ძალიან იშვიათად ჩნდებოდა, რადგან ფორმაში არ იყო და საერთოდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერის" ხელმძღვანელებმა ის ზაფხულში სამადლოდ აიყვანეს (უკლუბოდ იყო). როგორც ხედავთ, ბულიკინს გერმანული ატმოსფერო ძალიან მოუხდა და წლის ბოლოს თავისი შესაძლებლობების გამოვლენა დაიწყო.

2007 წლის უკანასკნელი ოფიციალური მატჩი „ბაიერნმა" იდეალურად ჩაატარა და კრიზისს, რომელზეც მთელი გერმანია საუბრობდა, ბოლო მოუღო. 6:0 „არისთან" – ეს გახლდათ სრული პასუხი კითხვაზე, არის თუ არა რეკორდმაისტერში მძიმე კრიზისში. ამრიგად, გერმანიის შემოდგომის ჩემპიონი ჯგუფიდან ლიდერის რანგში გავიდა და 1/16 ფინალში შეხვდება გუნდს (წილისყრა დღესაა), რომელმაც სხვა რომელიმე ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, უკვე ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ სეზონის დასრულების შემდეგ **ოტმარ ჰიტცფელდი** „ბაიერნს" დატოვებს, თუმცა ამის შესახებ ცალკე მასალაში მოგითხრობთ. აქ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ რეკორდმაისტერს „არისთან" რომ წაეგო და ჯგუფში ჩარჩენილიყო, „ბაიერნის" ბოსები ჰიტცფელდს მეორე წრეში აღარ დატოვებდნენ.




ლუკა ტონიმ ოთხიდან სამი გოლი ფრანკ რიბერის ხელშეწყობით გაიტანა!

ყურადღების ეპიცენტრში **ლუკა ტონი** მოექცა, რომელმაც 10 ნოემბრის შემდეგ (ტრავმაც ჰქონდა) პირველად შეძლო იმ ჟესტის გაკეთება, გოლის გატანის შემდეგ რომ აკეთებს ხოლმე. იტალიელი პოკერით დაბრუნდა! „არისის" მეკარე **ხალკიასს რიბერის** ჩაწოდების შემდეგ ბურთი ხელიდან სამჯერ გაუვარდა და ტონი სამჯერვე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა – სამივე გოლი ერთნაირ სტილში გაიტანა. მეოთხე გოლი კი, **ლამის** დამსახურება გახლდათ – ხალკიასმა ამჯერად მისი დარტყმული ბურთი ვერ შეიმაგრა და ტონიმაც კვლავ ზუსტად დაამატა. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელმა ევროტურნირებზე პოკერი ბოლოს 12 წლის წინათ, ასევე უეფას თასზე, ლისაბონის „ბენფიკასთან" შეასრულა (4:1) და ეს უკანასკნელი **იურგენ კლინსმანი** იყო. *„მე ჯერ კიდევ მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად პირველივე სეზონში რამდენიმე ტიტული მოვიგო,"* – ხუმრობდა მატჩის შემდეგ ტონი.

„ჰერტასთან" დასჯის შემდეგ, მოტივაცია **ოლივერ კანსაც** ეტყობოდა, რომელმაც ერთ მომენტში მაყურებლებს ძველი კანი გაახსენა – მე-12 წუთზე **ივიჩის** დარტყმა შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. მეხუთე და მეექვსე გოლები მცველებმა **ლელმა** და ლამმა გაიტანეს - ორივემ შეცვლაზე შესული **ლუკას პოდოლსკის** პასებით იხეირა.

„არისი" უეფას თასს გამოეთიშა, რადგან პარალელურ შეხვედრაში „ბრაგამ" „ცრვენა ზვეზდა" 2:0 დაამარცხა. ამ გამარჯვებით პორტუგალიელებმა „ბოლტონსაც" გადაასწრეს და მეორე ადგილზე გავიდნენ. ინგლისელები, რომლებიც ისვენებდნენ, ბედნიერები არიან იმის გამო, რომ „ბაიერნისა" და „არისის" შეხვედრა ფრედ არ დასრულდა – ასეთ შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე „ბოლტონის" ნაცვლად „არისი" გავიდოდა...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-5 | 8 |
| 2. ბრაგა | 4 | 1 | 3 | 0 | 5-3 | 6 |
| 3. ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 4. არისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-8 | 5 |
| 5. ცრვენა ზვეზდა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

### G ჯგუფი

**ხეტაფე–ანდერლეხტი 2:1**

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი, ჩელესტინი (70. კასკერო), კონტრა, დიასი, დე ლა რედი, გრანერო, ლიხტი, პაბლო (60. კოტელო), ბრაულიო (77. კეპა), მანუ.

**ანდერლეხტი:** ჟიტკა, ბილია, დეშახტი, პოლაკი, ვან დამი, გოორი, ჰასანი, იუჰაში, ტერო, ვასილევსკი (53. მ. მპენზა), ლეგერი (75. დე მანი).

**გოლები:** 1:0 პაბლო (6), 2:0 ჩელესტინი (49), 2:1 ტერო (90)

**მაყურებელი:** 7 000

**ჰაპოელი–ოლბორგი 1:3**

**ჰაპოელი:** ენეიამა, ანტები, ბონდარი, დონანი, მაზოვა, აბუტბული, დაგო (70. შური), ნაჩო, ოვედი, ასულინი (76. საბაგი), ფაბიო ჟუნიორი (87. ლუსკი).

**ოლბორგი:** ქარიმ ზაზა, კალიფი, იაკობსენი, ოლესენი, ოლფერსი (78. ოლსენი), ლუკას კაკა (59. ლინდსტრიომი), ენევოლდსენი, იოჰანსონი (90. ვილაკაზი), რისგაარდი, კურტი.

**გოლები:** 0:1 რისგაარდი (27), 1:1 ფაბიო ჟუნიორი (45), 1:2 იაკობსენი (49-პენ), 1:3 ენევოლდსენი (66)

**მაყურებელი:** 2 000

G ჯგუფში ბოლო ტურმა ყველაზე მეტად „ხეტაფე" ახეირა – ესპანელებმა „ანდერლეხტის" დამარცხებით (2:1) „ტოტენჰემს" გადაასწრეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ინგლისურს კლუბი, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის საკითხი დადებითად ჰქონდა გადაწყვეტილი, ბოლო ტურში ისვენებდა. „ხეტაფესთან" და „ტოტენჰემთან" ერთად 1/16 ფინალის საგზური „ანდერლეხტმა" მოიპოვა. ბელგიელები „ოლბორგს" უნდა უმადლოდენ, რომელმაც თელ ავივის „ჰაპოელი" სტუმრად 3:1 დაამარცხა. არადა, ებრაელებს რომ მოეგოთ, ფლეი ოფში სწორედ ისინი ითამაშებდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხეტაფე | 4 | 3 | 0 | 1 | 7-5 | 9 |
| 2. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 3. ანდერლეხტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 4. ოლბორგი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |
| 5. ჰაპოელი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |

### H ჯგუფი

**პანიონიოსი–ბორდო 2:3**

**პანიონიოსი:** კიონიგი, ბერტე, მანიატისი (78. არავიდისი), პლეტჩი, სპიროპულოსი, გუნდულაკისი, კუმორძი (90. გასპარი), მაისტროვიჩი, მაკოსი, სკუფალისი (55. ფერნანდესი), ჯებური.

**ბორდო:** ვალვერდე, ბრეგერიე, მანგა, ჟემალი (19. ტრაორე), მარანჟი, თემულინასი (81. მუამბე), დუკასი, ლავიე, კავენაგი, ჟუსი (57. პერეა), ობერტანი.

**გოლები:** 1:0 ჯებური (5-პენ), 2:0 მარკოსი (19), 2:1 კავენაგი (38), 2:2 კავენაგი (75), 2:3 მუამბე (86)

**მაყურებელი:** 7 840

**გალათასარაი–აუსტრია 0:0**

**გალათასარაი:** ორქუნი, სერვეთი, სონგი, უგურ უჩარი, ვოლქანი, ბარიში (61. უმით ქარანი), საბრი (82. სერქანი), მეჰმეთი, არდა, ნონდა, ჰაქან შუქური (62. ჰასან შაში).

**აუსტრია:** ფორნეცი, ერტლი, მაისტროვიჩი, სარიარი, ტროიანსკი (86. შრაიმერი), აჩიმოვიჩი, ბლანშარი, ლასნიკი, მაირი (75. აიგნერი), მეტცი, ლაფატა (79. ოკოტი).

**მაყურებელი:** 7 320

ამ ჯგუფში ერთმანეთს ერთი ადგილისთვის გერმანელი მწვრთნელების გუნდები ებრძოდნენ – **ევალდ ლინენის** „პანიონიოსი" და **კარლ-ჰაინც ფელდკამპის** „გალათასარაი". საბოლოოდ, გამარჯვება ფელდკამპის თურქებს დარჩათ, რადგან „პანიონიოსმა" საკუთარ მოედანზე „ბორდოსთან" 2:3 წააგო. არადა, ბერძნები 2:0-ს იგებდნენ! შესაბამისად, „პანიონიოსის" მატჩმა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ მიიღო საეჭვო სახე.

„გალათასარაიმ" „აუსტრია" ვერ დაამარცხა და საბოლოოდ, თურქულმა კლუბმა იმდენივე ქულა დააგროვა (4), რამდენიც „პანიონიოსმა", მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით მომდევნო ეტაპზე ფელდკამპის გუნდი გავიდა. პირველ რიგში ურთიერთშეხვედრებს ენიჭება უპირატესობა, მაგრამ „გალათასარაის" და „პანიონოსს" ერთმანეთში ფრედ ჰქონდათ ნათამაშები. პირველ ადგილზე 4-დან 4 მოგებით „ბორდო" გავიდა, მეორე პოზიცია კი „ჰელსინგბორგს" ერგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 4 | 4 | 0 | 0 | 9-5 | 12 |
| 2. ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| 3. გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-5 | 4 |
| 4. პანიონიოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 5. აუსტრია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

გოტფრიდ ლენცი




ვანდინიოს ბრაგამ ბანოვიჩის ცრვენა ზვეზდას ორი უპასუხო გოლი გაუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალიარი

# სრული ქაოსი: სონეტი იძულებით დატოვეს!

## რატომ თქვა უარი ჯამპაოლომ?



ნედო სონეტი კალიარიში დატოვეს

"კალიარიში" საოცარი ამბები ხდება. გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ **ნედო სონეტიმ** სარდინიული კლუბი დატოვა და მის ნაცვლად მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მარკო ჯამპაოლო** დაბრუნდა. ეს ინფორმაცია ყველა იტალიურმა სააგენტომ და, მათ შორის, თავად "კალიარის" ოფიციალურმა ვებგვერდმაც გაავრცელა. მაგრამ ბოლო მომენტში გაირკვა, რომ ჯამპაოლომ დაბრუნებაზე სასტიკი უარი განაცხადა. შესაბამისად, "კალიარის" პრეზიდენტ **მასიმო ჩელინოს** სასწრაფო წესით მოუწია ახალ მწვრთნელზე ფიქრი...

ახალგაზრდა ჯამპაოლოს უარის მიზეზი კი მარტივი იყო: მან არ ისურვა მესამედ მისვლა იმ გუნდში, რომელიც ბოლო ადგილზეა და გადარჩენის პერსპექტივა მინიმალური აქვს. შვეიცარიაში დაბადებული ჯამპაოლო სარდინიაზე პირველად 2006 წლის ზაფხულში დაინიშნა. დეკემბერში ის მოხსნეს, მაგრამ 2007 წლის თებერვალში კვლავ უხმეს ცხელ სკამზე. თვენახევრის წინ ჩელინომ მას კიდევ ერთხელ მიუთითა კარისკენ, თუმცა "მეხანძრის" მისიით მოსულმა, გამოცდილმა ნედო სონეტიმ ხუთ ტურში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო...

და აი, გუშინ კლუბის დირექტორატმა სონეტის გადადგომის განცხადება არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, 65 წლის სპეციალისტი იძულების წესით აგრძელებს მუშაობას. თუმცა ჩელინოს მარტო სამწვრთნელო კრიზისი არ აწუხებს. ქაოსია გუნდშიც. გუშინ ნახევარმცველებმა - **დავიდე მარკინიმ** და **პასკუალე ფოჯამ**, ვარჯიშის დროს იჩხუბეს. პრესა საუბრობს გუნდში არსებულ დაჯგუფებებზეც. ბუნებრივია, ამ პირობებში "კალიარის" კარგი დღე არ უწერია.

ლივერპული

# ბენიტესს შეუძლია, მშვიდად იყოს

## ამერიკელი ბოსები იანვრის ბაზარზე სოლიდურ თანხას დახარჯავენ, კრაუჩს დისკვალიფიკაცია ემუქრება...

"ლივერპულის" ბოსები, **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** იანვრის ტრანსფერებისათვის სოლიდურ თანხას გამოყოფენ. ამ ინფორმაციას კლუბის პრესსამსახური ავრცელებს. თანხის ოდენობა არ კონკრეტდება. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ახალი სტადიონის ბიუჯეტს შეამცირებენ. გამოთავისუფლებულ თანხას კი შემადგენლობის გაძლიერებას მოახმარენ. "მირორის" ინფორმაციით, მერსისაიდელებს მიზანში ჰყავთ ამოღებული არგენტინელი მცველი **ესეკილ გარაი** და ქართველი მცველი **კახა კალაძე**. ამას გარდა, გადაწყვეტილია ხავიერ მასკერანოს სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვაც. ამ გარიგებას 17 მილიონი გირვანქა სჭირდება. "ლივერპულის" აღმასრულებელმა დირექტორმა **რიკ პერიმ** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"სრული სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს დირექტორატი ტრანსფერებზე ემბარგოს აწესებს. ახალი სტადიონის პროექტზეც იმიტომ ვმუშაობთ, რომ ტრანსფერებისათვის უფრო მეტი თანხის გამოყოფა გახდეს შესაძლებელი."*

მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ ამერიკელი დირექტორები მთავარ მწვრთნელ **რაფაელ ბენიტესს** შეხვდნენ. მხარეებმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. აგრეთვე შეეცადნენ, მთელი რიგი საკითხების გარკვევას. შეხვედრის შემდეგ ესპანელმა დამრიგებელმა განაცხადა, რომ უთანხმოებები მოგვარებულია. კლუბმა დაადასტურა, რომ ბენიტესი სრული მხარდაჭერით სარგებლობს. გუშინ სენიორ რაფამ "ლივერპულთან" კონტრაქტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

ოთხშაბათს მერსისაიდელები ინგლისის ლიგის თასს გამოეთხოვნენ. ისინი "ჩელსისთან" მეოთხედფინალში დამარცხდნენ, 0:2. თამაში სკანდალური გამოდგა. **პიტერ კრაუჩი ჯონ ობი მიკელს** სასტიკად გაუსწორდა და წითელი ბარათი მიიღო. მას ავტომატური ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გარანტირებული აქვს, მაგრამ სასჯელი, შეიძლება, დაუმძიმონ. გაძევების შემდეგ, კრაუჩი გაცხარდა და ჯერ "ჩელსის" სათადარიგოთა სკამისაკენ მიმართა რისხვა, შემდეგ კრისტოკრატების გულშემატკივრებისაკენ. მან საკუთარი მდგომარეობა თვითონვე გაიუარესა. თამაშის შემდეგ კრაუჩის საქციელი "ჩელსის" ბოსმა **ავრამ გრანტმა** შეაფასა: *"პიტერს ეს არ უნდა გაეკეთებინა. მან ობი მიკელი ჩვენს სკამთან ახლოს, მოედნის ცენტრში მოცელა. ჯონს ნამდვილი ომი გამოუცხადეს. პირველი ნახევარში ის შვიდჯერ თუ რვაჯერ წააქციეს. მსაჯს პრინციპულობის გამოჩენა უფრო ადრე მართებდა. ფეხბურთელების ჯანმრთელობის დაცვა მისი პირადპირი მოვალეობაა. მე ვაფასებ მათ, ვინც აგრესიულად თამაშობს, მაგრამ ის, რაც კრაუჩმა გააკეთა, აგრესია კი არა, დანაშაული იყო. ასეთი დონის ფეხბურთელს მსგავსი უხეშობა არ ეკადრება."*



პიტერ კრაუჩი

ტრანსფერი

# ადრიანო: ივნისამდე სან პაულოში

## მორატიმ იმპერატორს უშველა: დეპრესია დაძლეულია, მერე?

**ადრიანოს** საკითხი გადაწყდა: ფორვარდი კარიერას სამშობლოში, "სან პაულოს" სახელით გააგრძელებს. ნათელი იყო, რომ ამ ეტაპზე მას "ინტერში" მომავალი არ ჰქონდა. ფეხბურთელსა და **რობერტო მანჩინის** შორის სიტუაცია აულრესად დაძაბული იყო. კლუბმა კომპრომისული ნაბიჯი გადადგა: ადრიანო ბრაზილიაში მიავლინეს სამკურნალოდ, უფრო სწორად, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი - დეპრესიისგან თავის დასაღწევად. მოერევა თუ არა "იმპერატორი" საკუთარ თავს, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა თავად ამის დიდი იმედი აქვს. ადრიანო აცხადებს, რომ **მასიმო მორატისა** და "ინტერის" ფანების წინაშე ვალშია და ყველა ღონეს იხმარს, რათა შეცდომები აღარ გაიმეოროს, "ინტერშიც" დაბრუნდეს და ბრაზილიის ნაკრებშიც...

ფეხბურთელის არენდით გაშვება სწორედ მორატის იდეა იყო. ეს ადრიანოსთვისაც საუკეთესო გამოსავალია. მოლაპარაკებები ორშაბათს დაიწყო. ბრაზილიელის აგენტ **ჟილმარ რინალდის** "ინტერის" ბოსმა და ტექნიკურმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** უმასპინძლეს. მხარეებმა გარიგებას მარტივად მიაღწიეს. თუმცა გარკვეული დეტალები ჯერაც შესათანხმებელია. "სან პაულოს" უფროსობას სურს, რომ ფეხბურთელს ხელფასი მთლიანად "ინტერმა" გადაუხადოს, სამაგიეროდ, ისინი ძვირფასი ფორვარდს სათამაშო პრაქტიკას მისცემენ და იტალიაში ყოველმხრივ მომზადებულს დააბრუნებენ. "სან პაულოს" "კოპა ლიბერტადორესიც" ელოდება...

ადრიანოს სარეაბილიტაციო კურსი ფაქტობრივად დასრულებულია. "სან პაულოს" ოფიციალური ვებგვერდი მის პატარა ინტერვიუს აქვეყნებს. ფეხბურთელი გარიგებით ფრიად კმაყოფილია: *"ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ "ინტერმა" და "სან პაულომ" შეთანხმებას მიაღწიეს. თავს უკვე მშვენივრად ვგრძნობ. აბსოლუტურად მობილიზებული და მოტივირებული ვარ. მოუთმენლად ველი მოედანზე დაბრუნებას. დიდი სურვილი მაქვს, "სან პაულოსთან" ერთად რაღაც ტიტულის მოგებაც მოვასწრო. ეს არის აგრეთვე შანსი, რომ ბრაზილიის ნაკრებშიც დავბრუნდე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მასიმო მორატის, რომელმაც რეალურად იზრუნა ჩემზე და დახმარების ხელი გამომიწოდა. ამას არასოდეს დავივიწყებ. ეს არის ვალი, რომელიც უნდა გავისტუმრო".*





## დროგბა მილანში 20 მილიონად?

"მილანი" **დიდიე დროგბას** შეძენას ლამობს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "როსონერი" 20 მილიონ გირვანქასაც კი არ დაიშურებს. მილანელებს პალერმოელი ამაურის ყიდვა სურდათ. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, მათ კოტდივუარელ ფორვარდს დაადგეს თვალი. იტალიური გამოცემის ვარაუდით, გარიგება ზაფხულში შედგება. იანვარში დროგბას შეძენას აზრი არა აქვს. მან ჩემპიონთა ლიგაში ლონდონელთა შემადგენლობაში იასპარეზა. "მილანში" გადასვლის შემთხვევაში, ის გუნდს ევროტურნირებზე ვერ დაეხმარება. ამას გარდა, იანვრის მიწურულს და თებერვლის დასაწყისში დროგბას აფრიკის ერთა თასზე მოუწევს გამგზავრება. ეს დაახლოებით ერთთვიან შვებულებას ნიშნავს. დროგბა ნაკრებში იმ შემთხვევაში წავა, თუ მუხლის ტრავმას დროულად მოიშუშებს. "მილანსა" და "ჩელსის" მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ. აქვე გეტყვით, რომ "როსონერი" ბაიერნელი **ლუსიუთიც** დაინტერესდა. 29 წლის ბრაზილიელმა დაიჩივლა, მიუნხენში ძალიან ცივი ზამთარი იცისო და სამხრეთული ქვეყნებისაკენ გაიხედა. სეზონის ბოლოს **პაოლო მალდინი** კარიერას დაასრულებს. "მილანი" **დარიო შიმიჩთან** გამოთხოვებასაც გეგმავს. ეს უკანასკნელი, შეიძლება, ლაციოელ **გილერმო სტენდარდოში** გაცვალონ.

## ინტერი: ელანო ფიგუს ნაცვლად

"ინტერმა" "მანჩესტერ სიტის" გარიგება შესთავაზა. მილანელები მზად არიან, გადაიხადონ ნებისმიერი თანხა, რომელსაც ინგლისური კლუბი **ელანო ბლუმერის** სანაცვლოდ მოითხოვს. **რობერტო მანჩინი ელანოს ლუიშ ფიგუს** იდეალურ მემკვიდრედ მიიჩნევს. ფიგუს მილანური კონტრაქტი ივნისში ეწურება. 26 წლის ბრაზილიელი პრემიერლიგის წლის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ შენაძენად მიიჩნევა. ის გასულ ზაფხულს დონეცკის "შახტარიდან" გადაიყვანეს. "ინტერის" კიდევ ერთი სამიზნეა პალერმოელი ნახევარმცველი **ფაბიო სიმპლისიო**. განიხილება რომაელი ცენტრალური ნახევარმცველის **ალბერტო აკვილანის** შეძენის საკითხიც. ამ უკანასკნელმა "ჯალოროსისთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა. 23 წლის აკვილანიმ წლიური ანაზღაურების სახით 2 მილიონ ევროზე მეტი მოითხოვა.

## კაპელო იწყებს სწავლას

**ფაბიო კაპელოს** ინგლისური ენის მასწავლებელი დაუქირავეს. მას **პიტერ კლარკი** ჰქვია. გუშინ კლარკმა ბარგი შეკრა და დონ ფაბიოსთან მარბელიაში გაფრინდა. ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იქნება, თუმცა მასწავლებელი მზადაა, სახელდახელო გაკვეთილი მაშინვე ჩაატაროს. კლარკი კაპელოსთან ყოველდღიურად სამ საათს გაატარებს. იტალიელმა მწვრთნელმა პირობა დადო, რომ ერთი თვის შემდეგ საკმაოდ ნორმალური ინგლისური ეცოდინება. მისტერ პიტერი, ინგლისური ენის სპეციალისტობას, საკმაოდ მომგებიან ბიზნესს უთავსებს. ეს ბიზნესია კომპანია საინტერესო სახელწოდებით: "კლარკის საფეხბურთო ინგლისური". მისტერ პიტერმა ის 2003 წელს დააფუძნა. კომპანია ინგლისურ კლუბებს ენის შესწავლის სწრაფ კურსებს სთავაზობს. ბიზნესი სწრაფად იზრდება. ინგლისში ხომ უცხოელი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების მოზღვავება შეინიშნება. პიტერ კლარკმა ჟურნალისტებთან საუბრისაგან თავი შეიკავა: *"მიმართეთ საფეხბურთო ასოციაციას. მათ ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ჟურნალისტებს უნდა გავესაუბრო."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია. დაპირისპირება

# კუმანი ნაძირალაა

## ალბელდამ ცრემლები ვერ შეიკავა, მაგრამ ჰოლანდიელზე საუბრისას სიტყვებს ჯიბეში არ ეძებდა. ამასობაში, კანისარესმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა...

**რა თქმა უნდა, ისევ "ვალენსია"! სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ამ გუნდში ისეთი რამ მოხდა, აჟიოტაჟი ერთ-ორ დღეში ნამდვილად არ გაქრებოდა. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იცით, რომ "ღამურების" მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა დავიდ ალბელდა, სანტიაგო კანისარესი და მიგელ ანხელ ანგულო გუნდიდან გააძევა. ეს გადაწყვეტილება მან ამ ფეხბურთელების წყალობით ჩამოყალიბებული არაჯანსაღი და კრიზისული მდგომარეობით ახსნა. ბუნებრივია, თავად მოთამაშეებს ამ ყველაფერთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრება აქვთ. იმთავითვე ითქვა, რომ ათვალწუნებული ფეხბურთელები პრესკონფერენციას გამართავდნენ და ხელმძღვანელებსა და რონალდ კუმანს საკადრის პასუხს გასცემდნენ...**

პირველად ეს **დავიდ ალბელდამ** გააკეთა. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ძალიან კრიტიკული განცხადებით მოგვმართა: "ჩემთვის ძალიან ძნელი გახლდათ აქ მოსვლა და იმ მოვლენებზე საუბარი, რომელიც გასულ დღეებში ხდებოდა. როგორც იცით, მითხრეს, რომ "ვალენსია" უნდა დავტოვო და სხვა გუნდი მოვნახო. თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, არავის აქვს იმის უფლება, რომ მე კარისკენ მიმითითოს. არც პრეზიდენტს, არც დირექტორატის რომელიმე წევრს და რა თქმა უნდა, არც რონალდ კუმანს. სამწუხაროა, რომ ამ ადამიანებმა ყველა დამსახურება ასე იოლად დაივიწყეს. ნუ იფიქრეთ, რომ საკუთარ პერსონაზე ალმაფრენით საუბარი მახასიათებს. უბრალოდ მიმაჩნია, რომ გასული წლების განმავლობაში "ვალენსიის" ინტერესებს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი. ვერავინ გაიხსენებს თუნდაც ერთ შემთხვევას, როცა თავს ვზოგავდი ან საქმეს უპასუხისმგებლოდ ვუდგებოდი. "ვალენსია" მთელი გულით მიყვარს, მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, მაგრამ თავმოყვარეობა უფლებას არ მომცეს, მათი საშინელი განცხადებების შემდეგ აქ დარჩენაზე ვიფიქრო. მე მივდივარ, ეს გადაწყვეტილია. მეამაყება, რომ "მესტალიაზე" უამრავი დაუვიწყარი შეხვედრა ჩავატარე. ერთობლივი ძალისხმევით სერიოზულ წარმატებებს მივაღწიე. ამიტომ შემიძლია, აქაურობას მშვიდი სინდისით დავემშვიდობო. ამავდროულად ვიტყვი, თავს ისე ვგრძნობ, როგორც გაუპატიურებელ ქალი, ან სულაც კაცი. სწორედ ასე მომეპყრნენ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არ მინდა, შთაბეჭდილება დაგრჩეთ, საკუთარ თავზე მეტისმეტად დადებითად ვსაუბრობ. უბრალოდ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ამდენი შრომისა და თავგანწირვის შემდეგ ასეთ სიტყვებს მოვისმენდი. რა გაეწყობა, ცხოვრება უნდა გავაგრძელო და ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ კარიერა გადავირჩინო."

ამ სიტყვების წარმოთქმისას ალბელდამ ცრემლები ვეღარ შეიკავა. საცოდაობით გულდათუთქულმა ჟურნალისტებმა ყოველგვარი ეტიკეტი დაარღვიეს და დავიდი გულში ჩაიკრეს. "დიარიო მარკასა" და "დიარიო ასის" კორესპონდენტები მას ისე ამშვიდებდნენ და ეფერებოდნენ, როგორც თანატოლთან ჩხუბით გულაჩუყებულ პატარა ბავშვს. დაახლოებით 10 წუთიანი პაუზის შემდეგ პრესკონფერენცია განახლდა. ალბელდა რა თქმა უნდა, სენტიმენტალურ ტალღაზე გადავიდა: "დიდ ბოდიშს გუხდით ალელვებისთვის. გეფიცებით, ეს ყველაზე გულწრფელი ცრემლები იყო. კაცი ვარ, მაგრამ არ მრცხვენია, რომ ვიტირე. მე "ვალენსიის" სიყვარულს ცხოვრების ბოლომდე გულით ვატარებ. წელან მოგახსენეთ, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთო, რათა კარიერა გადავირჩინო. გულწრფელად ვიტყვი, ახლა არანაირი სურვილი არ მაქვს კიდევ ვითამაშო ფეხბურთი. ალბათ, შემიძლია მოვკვდე და იმის დარდი არ მქონდეს, რომ გულშემატკივრები ჩემზე ცუდად ილაპარაკებენ. ინჩასებმა ყველაზე უკეთ იციან, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის "ვალენსიის" ღირსების დაცვა. ჩვენმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა. გარდა ამისა, უეფას თასს დავეუფლეთ. ესპანეთისა და ევროპის სუპერთასებს აღარ ვამბობ. მერწმუნეთ, თითოეული გამარჯვება ჯოჯოხეთურ შრომასთან და უდიდეს ემოციებთან იყო დაკავშირებული. ამდენ ემოციასა და ელდას შესაძლოა, ბევრმა ადამიანმა ვერ გაუძლოს.

მაგრამ ჩვენ ყველა გამოცდა ბრწყინვალედ ჩავატარეთ და გუნდს მართლაც ისტორიული წარმატებების მოპოვებაში დავეხმარეთ. დასანანი და გულსატკენია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ნაძირალებივით გაგვყარეს. ცხადია, ვაცნობიერებ, კლუბს დღეს სერიოზული პრობლემები აქვს, მაგრამ რატომ გვადანაშაულებენ ჩვენ? არ არსებობს არანაირი საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ალბელდამ, კანისარესმა, ანგულომ, ან რომელიმე სხვა ფეხბურთელმა კრიზისის შექმნაში წვლილი შეიტანა. თამამად განვაცხადებ, რომ ფეხბურთელები თავს არ ვზოგავდით. ყველა ვხედავთ, რომ საქმე კარგად არ გამოგვდიოდა, მაგრამ არ შეიძლება, რომ ჯოხი რამდენიმე კაცზე გადატეხო. ჩემი აზრით, ხელმძღვანელებმა ლაჩრული გადაწყვეტილება მიიღეს, რადგან პასუხისმგებლობას შეუშინდნენ და ჩვენი ტრიო საზოგადოებას განტევების ვაცების სტატუსით წარუდგინეს. რატომღაც ავიწყდებათ, რომ "ვალენსია" ბოლო წლებია ტრავმების ეპიდემიით იტანჯება. წელსაც იგივე სიტუაციაა. საუკეთესო შემადგენლობის გამოყვანა, ფაქტობრივად ვერც ერთ შეხვედრაში მოხერხდა."

ამის შემდეგ ალბელდას თხოვეს, **სოლერისა** და კუმანის შესახებ უფრო კონკრეტულად ესაუბრა. განაწყენებულმა ფეხბურთელმა ერთი ჩაისუნთქა და ისეთი სიტყვები ამოუშვა, ხალხს თვალები გაუფართოვდა: "მოდით, შევთანხმდეთ, პირადად არავის მივმართავ. უბრალოდ, ქმედებებს შევაფასებ. მთავარი მწვრთნელი ვალდებულია, გუნდი მოამზადოს და წარმატებები უზრუნველყოს. როცა გუნდი ცუდად თამაშობს, ის ასევე ვალდებულია, პასუხისმგებლობა იტვირთოს და აღიაროს, რომ მთავარი დამნაშავე სწორედ ის არის. თუ ამის მაგივრად ის ხელს სხვისკენ გაიშვერს და აბსოლუტურად უდანაშაულო მოთამაშეს ეტყვის, ეს ყველაფერი შენი უვარგისობის გამოძახილიაო, საქმე ნამდვილ ნაძირალასთან გვაქვს. რატომღაც ერთხელაც არ გამიგია, "ვალენსიის" დამრიგებელს ეთქვას, ეს საქმე რომ არ გამოდის, ჩემი ბრალიაო. ძალიან მარტივია, თავი ბალიშში ჩარგო და ალბელდა დაადანაშაულო. ჩემთვის ასეთი ადამიანი სწორედ ნაძირალაა და სხვა არაფერი. რაც შეეხება, პრეზიდენტს. მას შეეშინდა, მოვლენებისთვის საკუთარი სახელი დაერქვა. სოლერმა შესანიშნავად იცის, რომ მე და ჩემი მეგობრები არაფერ შუაში ვართ, მაგრამ ეშინია, კუმანს დაადოს ხელი. თავად განსაჯეთ, სოლერმა კიკე ფლორესი თანამდებობიდან გადააყენა. ამის შემდეგ რა თქმა უნდა, დიდი სკანდალი იქნებოდა, კუმანიც რომ გაეთავისუფლებინა. ჩემი აზრით, პრეზიდენტს უბრალოდ შეეშინდა და სირაქლემის პოზა მიიღო. ახლა ის არაფერს არ ამბობს და მშვიდად უყურებს, როგორ ჩაგრავენ უდანაშაულო ბიჭებს. არ ვიცი, ვინ როგორ აფასებს ამ ისტორიას, მაგრამ ჩემთვის მწვრთნელის საქციელი მხოლოდ და მხოლოდ ნაძირლობაზე მეტყველებს, პრეზიდენტისა კი ლაჩრობაზე. კიდევ რჩებიან გარკვეული ფუნქციონერები, რომლებმაც სიმართლის თქმა არ ისურვეს, მაგრამ ახლა მათზე საუბარი არ მსურს."

ალბელდამ ამით დაასრულა. ჟურნალისტები მცირე ხნით დაიშალნენ, ისინი "ვალენსიის" კაფეტერიაში შევიდნენ და ყავა დალიეს. შემდეგ კი ისევ საპრესკონფერენციო დარბაზში შევიდნენ. იქ მათ სანტიაგო კანისარესი ელოდა. ვეტერანი გოლკიპერი კოლეგაზე არანაკლებ კრიტიკული გამოდგა. მან "ვალენსიის" ხელმძღვანელობის მისამართით უამრავი უკმეხი სიტყვა დახარჯა. გარდა ამისა, სანტიმ ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც გაახმაურა: "გაოგნებული გახლავართ, ყველაფერს წარმოვიდგენდი ამის გარდა. მას შემდეგ, რაც "რეალიდან" "ვალენსიაში" გადმოვედი თითქოს მთელი საუკუნე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საკუთარი ჯანმრთელობის ფასად გუნდის ინტერესებს ვემსახურებოდი. ამის სანაცვლოდ გინება და შეურაცხყოფა მივიღე. ალბელდა ჩემი მეგობარია, უფრო მეტიც, ჩვენ ძმები ვართ, მაგრამ მისგან განსხვავებით ცრემლები არ წამომივა. ეს ვიგინდარა ხალხი ჩვენს ცრემლებს არ იმსახურებს. დარწმუნებული ვარ, ნესბისმიერი სპორტული რადიო უდიდესი სიამოვნებით დაგვითმობს ეთერს. მზად ვარ, რონალდ კუმანი და ხუან ბაუტისტა სოლერი დებატებში გამოვიწვიო. შეუძლიათ, ერთად მოვიდნენ და ორი ერთზე გამოვიდნენ. გპირდებით, მიწასთან გავასწორებ. ამ ორ არაადამიანს ერთი წონადი არგუმენტიც არ აქვთ იმისთვის, რომ ყოვლად უგუნური გადაწყვეტილება გაამართლონ. ეჭვი არ მეპარება, რომ არც კუმანი და არც სოლერი ამ გამოწვევას არ მიიღებენ, მათ ეშინიათ, საქვეყნოდ თავი არ მოეჭრათ... თუმცა ყოველმა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ ისინი უსამართლოდ მოიქცნენ."

ახლა **კანისარესის** მიერ გახმაურებულ ამბავსაც გაგიმხელთ: "ამ ყველაფრის შემდეგ გადავწყვიტე, კარიერა დავასრულო. რა თქმა უნდა, არაკაცებს არაფერს შევეხვეწები და დაუფიქრებლად წავალ "ვალენსიიდან". მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ჩემი მეორე სახლია. რა გაეწყობა, მე სახლიდან მივდივარ. გადავწყვიტე, სხვა გუნდი აღარ ვეძიო და კარიერა დავასრულო. პატარა აღარ ვარ და არ მინდა, ახალი თავგადასავლები ვეძიო. ამასთან, ვერ წარმომიდგენია, "ვალენსიის" გარდა რომელიმე კლუბში ვიასპარეზო. კარიერის დასრულება 99 პროცენტით მაქვს გადაწყვეტილი. ამასაც იმიტომ ვამბობ, რომ ცხოვრებაში 100-პროცენტიანი გარანტიები არ არსებობს. შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რასაც ვერ წარმოიდგენ, თუმცა ჩემს შემთხვევაში ასეთი მოულოდნელობისთვის სწორედ მხოლოდ 1-პროცენტიანი შანსი არსებობს. მსურს, გულშემატკივრებს უდიდესი მადლობა მოვახსენო. მართალია, მათი ნაწილი ბოლო დროს დიდი აგრესიულობით გამოირჩეოდა, მაგრამ წყენა გულში არ ჩამიდია. ინჩასებს ყველა უფლება აქვთ, უკმაყოფილება გამოხატონ. დარწმუნებული ვარ, ქომაგების აბსოლუტური უმრავლესობა კეთილი სიტყვებით გამიხსენებს. ჩემთვის ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია."



დავიდ ალბელდა მშობლიურ კლუბს მალე გამოეთხოვება

ალბელდასა და კანისარესის სკანდალური პრესკონფერენციის შემდეგ რონალდ კუმანი ესპანელი სპორტული (არა მარტო) ჟურნალისტებისთვის ყველაზე სასურველი რესპოდენტი გახდა. ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა, რას იტყოდა ჰოლანდიელი სპეციალისტი. კუმანი შედარებით მოკლე განცხადებით შემოიფარგლა: "სიმართლე გითხრათ, ფეხებზე მკიდია, რა თქვეს ალბელდამ და კანისარესმა. მე კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად მომიწვიეს და როცა დავინახე, რომ გუნდში არაჯანსაღი სიტუაცია იყო გამეფებული გაბედული გადაწყვეტილება მივიღე. უპასუხისმგებლო რომ ვყოფილიყავი, ყველაფერზე თვალს დავხუჭავდი და "ვალენსიას" ბედის ანაბარად დავტოვებდი. მჯერა, საზოგადოება ჩემს მიერ გადადგმულ ნაბიჯს დააფასებს და დადებითი შედეგის მიღების შემდეგ მადლობასაც მეტყვის. ხალხი ისედაც ყველაფერს შესანიშნავად ხედავდა. საკითხი გადაწყვეტილია და სადებატო არავისთან არაფერი მაქვს. პოლიტიკოსი არ გახლავართ. მე მწვრთნელი ვარ და მირჩევნია დრო არა რომელიმე რადიოს სტუდიაში, არამედ სავარჯიშო მოედანზე გავატარო."

ვალენსიაში ხმები დადის, საქმე ალბელდას, კანისარესისა და ანგულოს გაგდებით არ დასრულდებაო. იქაური პრესის მტკიცებით, კუმანი უახლოეს დღეებში **ვისენტეს, ფერნანდესისა** და **ჟიგიჩის** მოკვეთის შესახებაც განაცხადებს. სხვათა შორის, "ვალენსიის" ბაზაზე მისულ ჟურნალისტებს არაერთხელ დაუნახავთ, რომ ბატონი რონალდი ამ ტრიოს ძალიან უხეშად მიმართავდა და მათი მუშაობით უკიდურეს უკმაყოფილებას გამოხატავდა. "ვალენსიაში" მართლაც დიდად მტკივნეული პროცესები მიმდინარეობს. კუმანმა ძალიან სახიფათო პოლიტიკა წამოიწყო. უდავოა, მიუღებელი ფეხბურთელების მოკვეთის შემდეგ გუნდი სასურველ შედეგებს თუ ვერ მიაღწევს, ხალხის მთელი აგრესია უკვე თავად ჰოლანდიელს დაატყდება.



რონალდინიომ, შეიძლება, სუპერკლასიკო გამოტოვოს

სუპერკლასიკო

# რაიკაარდი გაგიჟდა?!

## ნუთუ რეალთან რონალდინიოსა და დეკუს ვერ ვიხილავთ?

სუპერკლასიკომდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშს არა მარტო ესპანეთი, არამედ მთელი მსოფლიო ელის. მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენც. ბუნებრივია, გუნდები უპრინციპულესი დაპირისპირებისთვის მთელი შემართებით ემზადებიან. გუშინ "დიარიო მარკას" კორესპონდენტი "ბარსელონის" ვარჯიშს დაესწრო და ძალიან საინტერესო დასკვნამდე მივიდა. მან დაინახა, რომ **ფრანკ რაიკაარდი რონალდინიოსა** და **დეკუს** ძირითადი შემადგენლობის ბიჭებთან ერთად არ ავარჯიშებდა. პორტუგალიელსა და ბრაზილიელს **ტურამის, სილვინიოს, ოლეგერისა** და **ჟორკერას** კომპანიაში უხდებოდათ ძუნძული. ამ დროს კი **ეტოო, პუიოლი, ტურე, ჩავი, ინიესტა** და სხვა ბიჭები გაქაფულები მუშაობდნენ. მოგეხსენებათ, ვარჯიში რამდენიმე ეტაპისგან შედგება. რაიკაარდმა რონალდინიო და დეკუ ძირითად შემადგენლობას ერთხელაც არ გააკარა. ჰოდა, "დიარიო მარკას" ხსენებულმა კორესპონდენტმა სრულიად საფუძვლიანად დაასკვნა, რომ "ბარსელონა" "რეალს" მათ გარეშე დაუპირისპირდება. რა თქმა უნდა, წინასწარ რაიმეს მტკიცება შეუძლებელია, მაგრამ დღითი დღე ვრწმუნდებით, რომ კატალონიური გიგანტის ჰოლანდიელი სპეციალისტი რონალდინიოს აღარ ენდობა. როგორც ჩანს, მას ჯერ-ჯერობით დეკუს მომზადების დონეც არ აკმაყოფილებს. ვიცით, რომ "ვალენსიასთან" წინა ტურის შეხვედრაში **ლეო მესის** ბარძაყის კუნთი გაუწყდა და ერთთვიან იძულებით შვებულებაში გავიდა. ცხადია, ეს უდიდესი დანაკლისია. ასეთივე შეფასება უნდა მივცეთ რონალდინიოსა და დეკუს არყოფნასაც... თუმცა როგორც გითხარით, წინასწარ ვერაფერს დავამტკიცებთ. ვნახოთ, როგორ ხასიათზე იქნება ბატონი ფრანკ რაიკაარდი სუპერკლასიკოს დღეს. გულშემატკივრების უდიდესი ნაწილი კი ფიქრობს, რომ გაუჩომ და დეკუმ სამეფო კლუბის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა ითამაშონ. გამოკითხვა "დიარიო სპორტმა" მოაწყო და მასში 23 ათასზე მეტმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. ვებ-გვერდის მონაცემებით, ბრაზილიელსა და პორტუგალიელს ინჩასების 87 პროცენტი ლობირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალესანდრო დელ პიეროსთან

# შეურაცხყოფა არ ყოფილა, მაგრამ უფრო ჯანსაღ დამოკიდებულებას ველოდი

## დელ პიერო იუვენტუსის წარმატებებით გაკვირვებულია

**"ლაციოსთან"** ბოლო მატჩში "იუვენტუსის" კაპიტანმა ტყუპი დუბლით გაიბრწყინა, რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. "კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში ალესანდრო დელ პიერო ამბობს, რომ კიდევ 5-6 წელი აპირებს თამაშს. ასევე, მან თქვა, რომ არის ეპიზოდი, რომელსაც კარიერიდან სიამოვნებით ამოშლიდა...

**- ზედიზედ სამი მატჩი სათადარიგოთა სკამზე იჯექით, თუმცა ამაზე ყოველთვის ღიმილით რეაგირებდით. რატომ?**

- ვცდილობ, მოვძებნო პასუხები და ამავე დროს, ვფლობდე სიტუაციას. ნაჩქარევი და ემოციური გადაწყვეტილებების მიღება არ მჩვევია.

**- მაგრამ ღიმილი?**

- ეს უბრალოდ ირონიაა და არ ნიშნავს იმას, რომ კმაყოფილი ვარ ჩემი მდგომარეობით. პირიქით, მე განსაკუთრებული როლი მაქვს, კაპიტანი ვარ, "იუვენტუსში" უკვე 15 წელი გავატარე... ამდენად, ვთვლი, რომ მაგალითი უნდა ვიყო ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. ღიმილით კი ყველას ვაჩვენებ, რომ ამ სიტუაციაში მყოფი ადამიანისთვის ეს საუკეთესო გამოსავალია, ასე უნდა რეაგირებდეს ყველა, ჩვენი ცხოვრების ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

**- არის განსხვავება, როგორ გვსვამდათ სკამზე კაპელო და როგორ აკეთებს ამას რანიერი?**

- არანაირი. კაპელო და რანიერი, ეს ორი სხვადასხვა პერსონაა. მათ მუშაობის განსხვავებული მეთოდები აქვთ. მაგრამ თუკი ჩემთვის შედეგი ერთი და იგივეა, მათ შედარებას რა აზრი აქვს?

**- "იუვენტუსში" გატარებული 15 წლის განმავლობაში 15 მილიონამდე გულშემატკივარი შეიძინეთ. მათ ყოველთვის უნდა თქვენი ნახვა, თქვენთან საუბარი... რას ეტყოდით ამ ხალხს?**

- ვეტყოდი, რომ დელ პიერო ცოცხალი, რომ კვლავ მნახავენ ისეთს, როგორსაც მიეჩვივნენ ამ წლების განმავლობაში. საერთოდ, ფეხბურთელები, რომლებსაც მაღალი ტექნიკა აქვთ, არასტაბილურები არიან. დიახ, ასეთი რამ ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არასტაბილურობა წესად უნდა იქცეს. მე სწორედაც რომ საპირისპირო დავამტკიცე. თამასა დაბლა არასოდეს ჩამომიწევია და ტიფოზებმა ეს მშვენივრად იციან. როცა მოედანზე გავდივარ, ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები, სულით და გულით ვთამაშობ.

**- ხშირად ამბობენ, დელ პიერო დაბრძენდაო, შვილის შეძენამ შეცვალაო... მართალია?**

- უნდა ვაღიარო, რომ მართალია. არ ვიცი, შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ იმ ფეხბურთელისგან, ვინც ძალიან ხშირად ზის სათადარიგოთა შორის, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ახლა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ლამაზი პერიოდია.

**- იმავე ცხოვრებაში თუ არის ეპიზოდი, რომელსაც სიამოვნებით ამოშლიდით, ან დაივიწყებდით?**

- არის... ის გოლი "უდინეზეს" კარში... (ეს იყო 2004/05 წლების სეზონში, როცა ვიდეოგამეორებამ აჩვენა, რომ დელ პიერომ ერთადერთი გოლი ასპროცენტიანი თამაშგარიდან გაიტანა - რედ).

**- ცოტა ხნის წინ თქვით, რომ "იუვენტუსთან" 2010 წლამდე გაფორმებული კონტრაქტი თქვენს კარიერაში ბოლო პროფესიული ხელშეკრულება არ არის და რომ კიდევ 5-6 წელი აპირებთ თამაშს. საიდან ამხელა დამაჯერებლობა და ენთუზიაზმი?**

- აქ ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორია. პირველი, ეს არის კარგი ფიზიკური კონდიციები, რომელმაც წარმატებით გაიარა ტესტი სერია B-ში. მეორე კი შინაგანი მოტივაციაა: თვითშეფასება, სურვილი, რომ ითამაშო ფეხბურთი, და რწმენა იმისი, რომ ჩამოსაწერი არ ხარ. თუ ეს ორი ფაქტორი ერთად იარსებებს და ტრავმებსაც ავიცილებ თავიდან, არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ 4-5 წელი ვითამაშო მაღალ დონეზე, შეიძლება, მეტიც...

**- ბოლო კონტრაქტის გაფორმება რატომღაც გაძნელდა. რა სირთულეები იყო?**

- არა თუ კონტრაქტის გაფორმება, თავად მოლაპარაკებების პროცესის დაწყებაც არ იყო ადვილი. რატომ მოხდა ასე? ალბათ, იმიტომ, რომ "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას ცოტა განსხვავებული გეგმები აქვს.

**- ეტყობა, ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ ელაპარაკებიან მოთამაშეს, რომელიც კარიერის დასასრულს მიუახლოვდა...**

- რა თქმა უნდა, ესეც იყო მიზეზი.

**- თქვენ იყავით ბოლო, ვისთანაც "იუვემ" ახალი კონტრაქტი გააფორმა. იმის გათვალისწინებით, რომ ერთადერთი იყავით, ვინც უყოყმანოდ და უპირობოდ, შეკვეცილი ხელფასით დათანხმდით სერია B-ში თამაშზე, არ მიგაჩნიათ, რომ კლუბის მხრიდან ამგვარი პოზიცია შეურაცხმყოფელი იყო?**

- არა, არა... შეურაცხყოფა ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. მაგრამ ცოტა სხვაგვარ დამოკიდებულებას კი ველოდი... მაგრამ, მოდით, აქ დავხუროთ ეს თემა.

**- "იუვენტუსი" და დელ პიერო უკვე დიდი ხანია, ერთმანეთში ასოცირდება. იყო ოდესმე მომენტი თქვენს ცხოვრებაში, როცა ტურინიდან წასვლასთან ახლოს იყავით?**

- კი, იყო ორჯერ... ამაზე ცოტამ ვინმემ თუ იცის... ტურინში ჩემი პირველი სეზონის შემდეგ "პარმაში" გამიშვეს, მაგრამ მერე კლუბში გადაადგილებები მოხდა, მთავარ მწვრთნელად მოვიდა მარჩელო ლიპი, რომელმაც გადაწყვიტა, უკვე დავებრუნებინე. მეორედ იყო უდინეში მიღებული ტრავმის შემდეგ, როცა მთელი 9 თვე გამიცდა... მინდოდა, კლუბის ხელმძღვანელობასთან ჩემს მომავალზე მემსჯელა, რადგან ვფიქრობდი, რომ "იუვეში" შესაძლებლობები ამოვწურე.

**- ამ სეზონში "იუვენტუსისგან" ასეთ სტარტს არავინ ელოდა. თქვენც გაკვირვებული ხართ?**

- ჩვენ გვყავს ნიჭიერ, ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯგუფი, რომლის მუხტი და შემართება კარგად ეხამება "ძველ გვარდიელთა" გამარჯვებულის მენტალიტეტს. მიუხედავად ამისა, სიმართლე გითხრათ, მეც გაკვირვებული ვარ ჩვენი წარმატებებით.

**- რეალურია სკუდეტოზე ფიქრი?**

- "იუვენტუსი" რომ ხარ, ყოველთვის მაქსიმუმზე უნდა ფიქრობდე. სკუდეტო ჩვენი ოცნებაცაა და მიზანიც. ორი წლის წინ "იუვე" დაუმარცხებელი იყო, თუმცა დღეს სიტუაცია შეცვლილია. მიზეზებზე არაფერს ვიტყვი.

**- ამბობენ, რომ "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ, "იუვენტუსის" მიმართ მსაჯების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და რომ ამ სეზონში რამდენჯერმე გახდით არბიტრთა არასწორი გადაწყვეტილებების მსხვერპლი. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ძნელია ამისთ თქმა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ჩვენ აშკარად დავზარალდით, მაგრამ ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს შეგნებულად მოხდა. თან იმასაც ვხედავთ, რომ შეცდომების რიცხვი თანდათან შემცირდა.

**- რას ურჩევდით "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას ზამთრის სატრანსფერო კამპანიასთან დაკავშირებით? გეგულებათ დღეს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდს აუცილებლად სჭირდება?**

- ეს ჩემი საქმე არ არის. მე პირადად, ჩემი პარტნიორებით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- "ინტერი", "რომა" და "მილანი" ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ. რამდენად აძლევს ეს ხელს "იუვენტუსს"?**

- რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს პლუსია. თუმცა "ინტერს" იმხელა პოტენციალი აქვს, რომ სამ ფრონტზე ბრძოლასაც გაუმკლავდება.




**- მოდით, დავანებოთ თავი სატურნირო ცხრილს. შეიძლება დღევანდელი "იუვენტუსის" შედარება "რომასთან" ან "მილანთან"?**

- ცხადია, არ შეიძლება. "მილანმა" და "რომამ" შემადგენლობის ფორმირების პროცესი დიდი ხნის წინ დაიწყეს და უკვე დაამთავრეს კიდეც. ჩვენ კი თვისობრივად ახალი გუნდი გვყავს, თან არა მარტო გუნდი, მთავარი მწვრთნელიცა და მუშაობის მეთოდებიც განსხვავებულია. ჩვენ თითქოს ახალშობილს ვგავართ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ უფრო სწრაფი ტემპით ვიზრდებით. ისე, ბევრს მაინც ჰგონია, რომ "ბებერი ქალბატონი" არ შეცვლილა.

**- სხვათა შორის, თქვენს ტიფოზებს დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ დაუთმო "იუვემ" კონკურენტ "ინტერს" იბრაჰიმოვიჩი?**

- ამას ვერც მე ვიგებ. იბრა მართლაც ბრწყინვალე მოთამაშეა...

**- ყოველთვის ამბობდი, რომ შარშანდელი სკანდალის გამო "იუვენტუსი" ზომაზე მეტად დაისაჯა. როდის შეგეძლებათ იმის თქმა, რომ "კალჩოპოლის" მავნე დანატოვარი აღარ არსებობს?**

- დღეს რა გვიჭირს, ერთი წლის წინ მართლა საშინელება იყო... ისე, სერია B-ში თამაში გადამწყვეტი მომენტი იყო. და მე ვამაყობ იმით, თუ როგორ გავიარეთ ეს გზა. ახლა, ჩვენ რამდენიმე წელი დაგვჭირდება, რათა კვლავ ავაშენოთ ისეთი გუნდი, როგორიც "კალჩოპოლიმდე" გვყავდა. ამ კუთხით, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პროგრესისკენ.

**- შეუძლია სებასტიან ჯოვინკოს, თქვენი მემკვიდრე გახდეს?**

- იმედი მაქვს, შეუძლია. მას დიდი პოტენციალი აქვს, თითქმის ჩამოყალიბებული ფეხბურთელია.

**- საშუალება რომ გქონდეთ, დაიბრუნებდით იმ ორ სკუდეტოს, "იუვენტუსს" რომ წაართვეს?**

- როგორც ფეხბურთელი, აუცილებლად დავიბრუნებდი მათ, რადგან ვიცი, თუ რამხელა შრომა იყო ამაში ჩადებული. ორივე სკუდეტო ჩვენ გვეკუთვნის.

**- ამბობენ, რომ არა ანიელების ოჯახი, 2006 წლის ზაფხულში "იუვენტუსს" საერთოდ მოსპობდნენო. თქვენც ასე გგონიათ?**

- ვერ გავიზიარებ ამ მოსაზრებას. ანიელების ოჯახი "იუვენტუსს" ყოველთვის მხარს უჭერდა, უზრუნველყოფდა მემკვიდრეობითობას, სტაბილურობასა და დადებით იმიჯს. დამიჯერეთ, "იუვეს" ვერავინ გაანადგურებდა. ფული თუ ვერა, კლუბის ისტორია მაინც გადაგვარჩენს.

**- ჯონ ელკანი რაღაცით ჰგავს ჯოვანი ანიელის...**

- ანიელის რამდენჯერმე შევხვდი. ის დიდი ჯენტლმენი და კარგი იუმორის პატრონი იყო, ენით აუწერელი ქარიზმით. ჯონ ელკანი კი თითქმის ჩემი ასაკისაა, სერიოზული კაცია, სალი გონება და პოტენციალი აქვს საიმისოდ, რათა ანიელების საქმე ღირსეულად გააგრძელოს. ვხედავ, რომ ამას ახერხებს კიდეც... თუმცა პარალელებისგან თავს შევიკავებ... ყოველ შემთხვევაში, ორივეს "იუვესადმი" სიყვარული აერთიანებს.

**- როგორ ფიქრობთ, მოხვდებით ევრო 2008-ის განაცხადში?**

- ამისთვის თავდაუზოგავად ვშრომობ და ვეცდები, მივაღწიო მიზანს, ისევე, როგორც სხვა მიზნებს მივაღწიე.

**- ნესტამ და ტოტიმ უკვე დატოვეს ნაკრები. როგორ შეაფასებდით მათ არჩევანს?**

- "სკუადრა აძურას" ძალიან დააკლდება მათი ოსტატობა, თუმცა გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. მე, მაგალითად, ჩემი ნებით ნაკრებზე უარს არასოდეს ვიტყვი.

**- "იუვენტუსის" შემადგენლობაში 235 გოლი გაიტანეთ. კიდევ რა ამოცანებს ისახავთ მიზნად? 300 გოლი?**

- ჯერ მინდა, 250-ს მივაღწიო... ვნახოთ, ყველაფერი ჩემზე და ცოტაც იღბალზეა დამოკიდებული.

**- "იუვენტუსთან" ერთად მოგებული 17 ტიტულიდან რომელია თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი?**

- რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის მოგება... და ასევე, გამარჯვების გოლი საკონტინენტთაშორისო თასის გადამწყვეტ მატჩში.

**- წარმოგიდგენიათ თავი მწვრთნელის როლში?**

- არ ვიცი. ჯერჯერობით, ფეხბურთის თამაშის სურვილი არ გამქრობია. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ უცბად მწვრთნელი ვერ გავხდები. ამას ფიქრი და ბევრი რამის გათვალისწინება სჭირდება. რაც მთავარია, საკუთარ თავში მწვრთნელის ნიჭი უნდა დავინახო. იქამდე ჯერ დიდი დროა...

**- ტობიასის დაბადებამ შეცვალა თქვენი ცხოვრება?**

- შეცვალა და მერე როგორ! ტობიასმა უზომოდ ბედნიერი გამხადა.

**- ტობიასი თუ წარმოგიდგენიათ ფეხბურთელად?**

- სხვათა შორის, უკვე ველაპარაკები ფეხბურთზე. ამბობენ, ახალშობილებს ალქმის საოცარი უნარი აქვთო...

ბაიერნი

# ჰიტცფელდმა უკვე იცის, რომ ნაშა

## სანიოლმა გადაწყვიტა: ვრჩები! სამაგიეროდ, წასვლაზე ლუსიო და პოდოლსკი ალაპარაკდნენ...

სხვა დროს, ასეთი გრანდიოზული გამარჯვების ფონზე (6:0 „არისთან“), „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** და მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** საფინალო სასტვენის შემდეგ ერთმანეთს გადაეხვეოდნენ, მაგრამ ამჯერად სხვაგვარად მოხდა: ულიმ და ოტმარმა ერთმანეთს ისე ჩამოართვეს ხელი, თითქოს უცხოები იყვნენ, ერთმანეთისთვის თითქმის არ შეუხედავთ, ერთი ეგ იყო, რომ ხელის ჩამორთმევის მომენტში ჰიტცფელდმა მენეჯერს თავი ოდნავ დაუკრა.

ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ დაინახოს ის, რაც ბოლო დროს „ბაიერნის“ შეფებსა და მწვრთნელს შორის ხდება –მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა, რაც ოტმარს ჰიონესთან და **კარლ-ჰაინც რუმენიგესთან** აკავშირებდა, ნელ-ნელა გაქრა. არადა, „არისთან“ მოპოვებულ გამარჯვებას „გენერლის“ მდგომარეობა უნდა შეემსუბუქებინა. თანაც, „ბაიერნის“ ფანები სკანდირებდნენ, ოტმარ, შენ საუკეთესო ხარო.

*„ეს გამარჯვება ჩვენთვის ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო,“* – განაცხადა **მიროსლავ კლოზემ** და ცხადია, ჰიტცფელდიც იგულისხმა, რომელიც მიროს ძალიან უყვარს. კლოზეს თანაგუნდელმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** კი პირდაპირ თქვა: *„მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჰიტცფელდს მთელი გუნდი მხარში უდგას.“* მიუხედავად ამისა, სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ჰიტცფელდისთვის „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის რანგში ეს სეზონი უკანასკნელია. 58 წლის სპეციალისტმა მატჩისშემოდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს რამდენჯერმე გადაუკრა სიტყვა იმის შესახებ, რომ რეკორდმაისტერის დამრიგებლის პოსტზე დარჩენას არ ისურვებს და კონტრაქტს არ გააგრძელებს.

*„დიახ, მე უკვე ვიცი, რა და როგორ იქნება – გადაწყვეტილება მიღებული მაქვს, მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვით,“* – აღნიშნა ჰიტცფელდმა, - *„მარტში მე მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მერე ჩემს არჩევანში თავისუფალი ვყოფილიყავი და თავისფალი ყოფილიყო კლუბიც. ეს სწორედ ის პრივილეგიაა, რომელიც მე მაშინ ხელშეკრულების გაფორმების დროს მოვითხოვე. ჩემს გადაწყვეტილებას მხოლოდ იანვრის ბოლოს გავახმაურებ, მას მერე, რაც ხელმძღვანელებს გავესაუბრები. ფაქტია, რომ ბუნდესლიგის მეორე წრეში აუცილებლად „ბაიერნის“ მწვრთნელი ვიქნები. ჩემს კონტრაქტს ვადა ხომ სეზონის ბოლოს ეწურება,“* – ოტმარმა იქვე დაამატა, რომ ამ სეზონში არაერთი ტიტულის მოგება სურს.

როგორც ჩანს, ბოლოდროინდელმა კრიტიკამ და დისკუსიამ იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ოტმარის შემცვლელი, ჰიტცფელდს ძალიან აწყენინა, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ქმნის. ოტმარი: *„ბოლო კვირები ძალიან მძიმე გამოდგა, მაგრამ არაფერია უჩვეულო იმაში, რომ ადგილი ჰქონდა სპეკულაციებს ჩემს სავარაუდო შემცვლელებზე. ეს ფეხბურთის ნაწილია და მეც ერთწლიანი კონტრაქტი მხოლოდ იმიტომ გავაფორმე, რომ ორივე მხარეს თავისუფლად ემოქმედა!“*

ამასობაში, ერთ-ერთმა შვეიცარიულმა გამოცემამ ჰიტცფელდის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც „გენერალი“ შემდეგს ამბობს (როგორც იცით, მას შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ეპატიჟებიან): *„შვეიცარიის ნაკრების დამრიგებლის პოსტზე მუშაობა ყოველთვის მიზიდავდა – ბუნდესლიგა ყველაფერი არ არის. ჩემს საბოლოო პასუხს იანვარში გეტყვით. მე ვიცი, რომ შვეიცარიაში მწვრთნელს ვერ გადაუხდიან იმდენს, რამდენსაც გერმანიაში, მაგრამ ეს ჩემთვის მეორეხარისხოვანი ასპექტია.“*






სანიოლმა ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მიილო და რჩება, ლუსიოს გერმანიის ცივი ჰავა მობეზრდა, პოდოლსკის კი სათადარიკოთა სკამზე ჯდომა...

### სანიოლი რჩება!

სასიამოვნო ინფორმაცია „ბაიერნის“ გულშემატკივრებს – „არისთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მარჯვენა მცველმა **ვილი სანიოლმა** განაცხადა, რომ მიუნხენიდან აბარგებას აღარ აპირებს და რომ 2010 წლამდე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულება უნდა. *„ყველა პრობლემა მოგვარებულია და თამამად გეტყვით, რომ ეს არ იყო ჩემი ბოლო მატჩი „ბაიერნის“ რიგებში. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მეორე წრე – ყველაფერს თავიდან ვიწყებ და ძალიან მონდომებული ვარ,“* – განუცხადა სანიოლმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

როგორც იცით, შვიდთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, სანიოლს ჰიტცფელდთან მოუვიდა უთანხმოება იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ამას წინათ მთელი მეორე ტაიმის მანძილზე სარბენ ბილიკზე არბენინა, მოედანზე კი მაინც არ შეუშვა. ამის შემდეგ სანიოლმა პირდაპირ თქვა, „ბაიერნში“ გამჩერებელი არ ვარ, აქედან წასვლა მინდაო. როგორც ჩანს, პრობლემები მართლაც მოგვარებულია და სანიოლმა მიილო იმის გარანტია, რომ მეორე წრეში ისევ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს. ბოლო დროს მის პოზიციაზე **კრისტიან ლელი** თამაშობდა.

*„მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მეორე წრეში სხვებთან ერთად მისი იმედიც მაქვს. კარგ სანიოლი მყოფი სანიოლი „ბაიერნისთვის“ შეუცვლელი ფიგურაა,“* – ეს ჰიტცფელდის სიტყვები გახლავთ. 30 წლის ვილი სანიოლი რეკორდმაისტერში 2000 წლიდან თამაშობს.

### ლუსიო: მცივა! ესპანეთში ან იტალიაში მინდა!

სამაგიეროდ, **ვალერიან ისმაელის** შემდეგ, რომელმაც „ჰანოვერს“ მიაშურა, წასვლაზე კიდევ ერთი მცველი, „ბაიერნის“ დაცვის ბურჯი **ლუსიო** ალაპარაკდა. ბრაზილიელმა „დოიჩე ველეს“ მისცა ინტერვიუ, სადაც შემდეგს ამბობს: *„ესპანეთზე ან იტალიაზე ვოცნებობ. მინდა, რომ ერთ დღესაც ამ ორი ქვეყნიდან რომელიმეში ვითამაშო. იქნებ იყოს იმის საშუალება, რომ ოცნება ავისრულო. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს მოვურიგდები.“*

ლუსიოს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და არგუმენტი იმისა, რომ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სურს გუნდის დატოვება, ასეთია: *„მე და ჩემო ოჯახი თავს არც ისე კარგად ვგრძნობთ იმის გამო, რომ გერმანიაში ცივი ჰავაა, ზამთარში ძალიან ცივა, ჩვენ კი სითბოს ვართ მიჩვეულები,“* – ამბობს ლუსიო და იქვე ამატებს, - *„თუ დააკვირდებით, ფაქტობრივად შეუძლებელია ის, რომ ესპანეთში ან იტალიაში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი გერმანიაში გადმოიყვანო. ეს არც „ბაიერნის“ ბრალია და არც სხვა რომელიმე გერმანული კლუბისა, მიზეზი ის გახლავთ, რომ ცივ გერმანიაში გადმოსვლა არავის უნდა, რადგან ისინი იტალიისა და ესპანეთის გაცილებით თბილ ჰავას არიან მიჩვეულები. თანაც, მენტალიტეტი, კულტურა და ცხოვრების წესი ბრაზილიელებს ესპანელებისა და იტელიელების მსგავსი გვაქვს.“*

### პოდოლსკი: მე არ ვარ სკამის ფეხბურთელი!

ამასობაში, „ბაიერნიდან“ წასვლაზე **ლუკას პოდოლსკიც** დაფიქრდა. *„ძალიან მინდა, რომ „ბაიერნში“ ადგილი დავიმკვიდრო და მიუნხენურ გრანდში დიდხანს ვითამაშო, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ არ ვარ ის ფეხბურთელი, რომელიც სათადარიგოთა სკამს უნდა ხეხავდეს!“* – განაცხადა 22 წლის თავდამსხმელმა „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

თუმცა პოდოლსკი იანვარში რეკორდმაისტერიდან წასვლას კატეგორიულად გამორიცხავს და მიუხედავად იმისა, რომ მიროსლავ კლოზეს და **ლუკა ტონის** შემდეგ მხოლოდ მესამე ფორვარდია, ამ სეზონის დასრულებას მაინც „ბაიერნში“ აპირებს. *„ახლავე გაქცევას არ ვაპირებ, სეზონის ბოლომდე მოვითმენ, ვნახავ, რა და როგორ იქნება. „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე მაკავშირებს და მიუნხენიდან ასე უსახელოდ წასვლა ნამდვილად არ მინდა.“* – ამბობს პოლდი ხსენებულ ინტერვიუში.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი როლი სეზონის ბოლომდე არ შეიცვლება, ფეხბურთელი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 44 შეხვედრაში 24 გოლი აქვს გატანილი, კლუბის გამოცვლაზე სერიოზულად იფიქრებს. *„თუ არაფერი შეიცვლება, ხელმძღვანელებს ამის შესახებ სერიოზულად დაველაპარაკები,“* – აცხადებს პოდოლსკი. მიმდინარე სეზონში ლუკასმა 11 თამაშში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქედან 9 ჯერ შეცვლაზე ითამაშა და მხოლოდ 2-ჯერ ძირითად შემადგენლობაში. და რაც ყველაზე საშინელია, პოლდის, რომლის სანაცვლოდაც 2006 წლის მუნდიალის შემდეგ „ბაიერნმა“ „კიოლნს“ 10 მილიონი ევრო გადაუხადა, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში გოლი ჯერ არ გაუტანია. პოდოლსკი წინა სეზონში უფრო ხშირად თამაშობდა და სულ 22 მატჩს მოუყარა თავი, მაგრამ მხოლოდ 4 გოლითა და 3 საგოლე პასით გამოირჩა.

*„დიდი სისულელე იქნება ის, რომ გამუდმებით ვამტკიცო, „ბაიერნში“ ყველაფერი კარგადაა და ბედნიერი ვარ-მეთქი. თუ ასე გავაგრძელებ, ერთხელაც სათადარიგოთა სკამს მივახმები. როცა სკამზე ვზივარ, ვხედავ, რომ არ ვარ საჭირო და თუ საჭირო არ ვარ, მაშინ იქ უნდა წავიდე, სადაც საჭირო ვიქნები,“* – ტონს ამკაცრებს პოდოლსკი. არაუგვიანეს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისა მას სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიის მიღება სურს. თუ არა და ახალ კლუბს მოძებნის. „ვერდერი“ და „ჰამბურგი“ მას დიდი ხანია ეპატიჟებიან...

**გოტფრიდ ლენცი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ევანსი უარყოფს

## ლარსონი და ივანოვიჩი სერ ალექსის სამიზნეში

“მანჩესტერ იუნაიტედის” ახალგაზრდა ნახევარმცველი **ჯონი ევანსი** გაუპატიურების ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. ფეხბურთელს, რომელსაც კვირაში 8 ათას გირვანქას უხდიან, სასამართლო ემუქრება. მის ინტერესებს “მენიუს” ადვოკატი მორის უოტკინსი დაიცავს. “იუნაიტედს” ოფიციალური კომენტარი ისევ არ გაუკეთებია. გუშინდელმა “სანმა” ინციდენტთან დაკავშირებით საინტერესო დეტალები გამოამზეურა. გაზეთი დაუკავშირდა ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც “მანჩესტერის” წვეულებაზე იმყოფებოდა და უშუალოდ ევანსსაც ესაუბრა. ამ ქალბატონმა ჯონის ნამდვილი ჯენტლმენი უწოდა. ის ვერ იჯერებს, რომ ყმაწვილს ქალის გაუპატიურება შეეძლო. “სანის” რესპონდენტი ბრალდებებს შოკის მომგვრელს უწოდებს და გამოთქვამს იმედს, რომ ყველაფერი მალე გაირკვევა: *“მას ნახევარი საათის განმავლობაში ვესაუბრეთ. თავი ისე ეჭირა, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს. სალამო დასასრულს უახლოვდებოდა. სტუმრები წასასვლელად ემზადებოდნენ. როდესაც სასტუმროში პოლიცია მოვიდა, ყურადღებაც კი არ მიგვიქცევია. მან გვითხრა, რომ ჯონი ერქვა. ირლანდიელ კომიკოსებს ბაძავდა და გვამხიარულებდა. ნასვამი არ ყოფილა. თავი საკმაოდ შორს ეჭირა. ისიც კი არ ვიცოდით, რომ ფეხბურთელი იყო. მეორე დღეს მისი სურათი გაზეთში ვნახეთ. გაზეთიდან გავიგეთ, რომ მას გაუპატიურებას აბრალებდნენ. ვერ ვიჯერებთ. უთუოდ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს.”* “სანმა” დაადგინა ისიც, რომ პოლიცია გამოიძახა არა დაზარალებულმა ქალბატონმა, არამედ მისმა ბოიფრენდმა, რომელიც იმავე სასტუმროში იმყოფებოდა და ცოტა ხნით ადრე “მანჩესტერ იუნაიტედის” ერთ-ერთ ფეხბურთელთან უსიამოვნება შეემთხვა.

“იუნაიტედზე” საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. **სერ ალექს ფერგიუსონი ჰენრიკ ლარსონით** დაინტერესდა. “მენიუს” ბოსს თავდასხმის გაძლიერება სურს. ფერგის ტოტენჰემელი **დიმიტარ ბერბატოვის** შეძენა სურდა. გაირკვა, რომ ეს ტრანსფერი, საკომპენსაციო თანხისა და ხელფასის ჩათვლით, 20 მილიონი გირვანქა დაჯდება. ლარსონს კი “ჰელსინგბორგთან” კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია. ორიოდე დღის წინ ჰენრიკს მისი ყოფილი კლუბი “სელტიკი” შეეხმიანა. გლაზგოელებმა ფეხბურთელს ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზეს. “იუნაიტედიც” მზადაა, ვეტერანი სეზონის ბოლომდე დაასაქმოს. წლის დასაწყისში, იმ დროს, როცა მანჩესტერში ტრავმების ეპიდემია მძვინვარებდა, სერ ალექსმა საშველად ჰენრიკს უხმო. ფეხბურთელმა “ოლდ ტრეფორდზე” სამი თვე გაატარა და ყველას შეაყვარა თავი. იმის მიუხედავად, თუ რომელიც ფორვარდი ჩაირიცხება “მენიუში”, ძირითადში **უეინ რუნი** და **კარლოს ტევესი** ითამაშებენ. ტრანსფერის შემთხვევაში, ლარსონი თადარიგში იქნება.

ფერგის მორიგი სამიზნე მოსკოვის “ლოკომოტივის” მცველი **ბრანისლავ ივანოვიჩია**. 23 წლის სერბმა მცველმა ევროპული გრანდების ყურადღება მიიპყრო. დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია ბრანისლავით ტურინის “იუვენტუსის” დაინტერესების შესახებ. რუსული სააგენტოების ცნობით, “იუნაიტედმა” მოსკოველებს ოფიციალურად შესთავაზა მოლაპარაკების დაწყება. ინგლისური გრანდი მზადაა, 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. “ლოკომოტივი” ივანოვიჩის დათმობას არ აპირებს. შვებულებიდან დაბრუნებისთანავე, მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. ფეხბურთელს წელიწადში 4 მილიონ ევროს ჰპირდებიან. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ მცველი რუსეთში ზაფხულამდე დარჩება. მან რკინიგზელთა შემადგენლობაში ევროტურნირებზე ითამაშა. ახალ სამსახურში კლუბში შემთხვევაში, ის მას ევროპულ სარბიელზე ვერ დაეხმარება. თუმცა თუ დადასტურდება ინფორმაცია “იუვენტუსის” დაინტერესების თაობაზე, ეს გარემოება ტრანსფერს ხელს ვერ შეუშლის: “ქალბატონი” ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე არ თამაშობს.



ჯონი ევანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## რაგბი

LOYALCAPITAL group · ქვარციტი QUARTZITE · BTA Silk Road Bank

# გადაწყვეტილია!

*პირველი გვერდიდან*

**- ვფიქრობთ, მარტო ეს გამხდარიყო მისი თანხმობის მიზეზი.**

- ცხადია, არა. ამის შემდეგ წინანდლის კომპლექსი მოვინახულეთ. იქ მასპინძლობა ყოფილმა მორაგბემ კაკი რამიშვილმა გაგვიწია. მოვინახულეთ ტერიტორია, სადაც რაგბის კავშირი, კახეთის სამხარეო ხელმძღვანელებთან და სილქ როუდ ბანკთან ერთად სარაგბო მოედნის მოწყობას ვაპირებთ. ასე რომ, წინანდალში კიდევ ერთი კერა გაიხსნება.

ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ ტიმ ლეინი უსაზღვროდ მოიხიბლა წინანდლის ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლის გამოსვლით. იმდენად აღტაცებული იყო, რომ მობილური ტელეფონით ავსტრალიაში დარეკა და ოჯახის წევრებს მოასმენინა ქართული ხალხური სიმღერები. ამაზე უკეთესი აქამდე არაფერი მსმენიაო - თქვა მან. ასე რომ, კახეთიდან შთაბეჭდილებებით დახუნძლული დავბრუნდით. ბოლოს კი, შემაჯამებელ შეხვედრაზე, ხელიხელს დავარტყით. ტიმ ლეინი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იქნება.

**- ესე იგი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად სხვა კანდიდატურა აღარ განიხილება?**

- არა. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ახლა ვამზადებთ კონტრაქტის პირობებს, რომელსაც ტიმს ავსტრალიაში გავუგზავნით. ის თბილისში 20 ან 21 იანვარს უნდა ჩამოვიდეს. კონტრაქტს ხელს ოფიციალურად მოაწერს და საქართველოს ნაკრების მზადებას დაიწყებს 2 და 9 თებერვალს, ერთა თასზე პორტუგალიისა და რუმინეთის ნაკრებებთან თამაშისთვის.

**- თუ საიდუმლო არაა, რა ანაზღაურება ექნება ტიმ ლეინს და ხომ არ აპირებს ასისტენტის ჩამოყვანას?**

- ანაზღაურება საიდუმლო არაა, ტიმ ლეინი თვეში ხელზე მიიღებს 10 600 ევროს. რაც შეეხება მწვრთნელთა შტაბს, მის გარდა ნაკრებში კიდევ სამი მწვრთნელი იმუშავებს. ფრანგი ნიკოლა ფულკიე ფიზმომზადების მწვრთნელი იქნება. შერკინების მწვრთნელად ქართველ სპეციალისტს დავნიშნავთ უახლოეს დღეებში. რამდენიმე კანდიდატურა განიხილება და საბოლოოდ მალე ჩამოვყალიბდებით. ამასთან, გუნდში იქნება მწვრთნელ-სელექციონერი - ამ თანამდებობაზე საფრანგეთში მოთამაშე ნაკრების ყოფილი წევრებიდან ერთ-ერთს შევარჩევთ. მან თვალყური უნდა ადევნოს საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერების სათამაშო ფორმას და პასუხი უნდა აგოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე. ყოველივე ამასთან ერთად, ტიმ ლეინი საჭიროების შემთხვევაში მოკლე პერიოდით ჩამოიყვანს სხვადასხვა სათამაშო რგოლისა თუ ამპლუის მაღალი დონის მწვრთნელებს. მაგალითად დაცვის მწვრთნელთ, ფეხით თამაშიშ მწვრთნელს და ასე შემდეგ.

**- ტიმ ლეინთმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბევრი რამაა დამოკიდებული 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

- რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი და ტიმ ლეინი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გიორგი გაბაშვილს შეხვდნენ. საკმაოდ საინტერესო, თბილი საუბარი შედგა. მინისტრმა მხარი დაუჭირა ტიმ ლეინის საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნას და რაგბის კავშირს სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულ და სხვა საკითხებშიც ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. ტიმ ლეინის გადაწყვეტილებაზე ამან დიდი გავლენა იქონია.

**- რა ბედი ელით საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელებს?**

- თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. სამივემ კოლოსალური სამუშაო გასწია. ისინი გაგებით მოეკიდნენ და დაეთანხმნენ იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ნაკრების განვითარებისა და ამ ეტაპზე აუცილებელია მაღალკვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის მოწვევა, რომელიც როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, მარტო ნაკრების თავკაცობით არ შემოიფარგლება. ლეინმა კოორდინაცია უნდა გაუწიოს ყველა ასაკის ნაკრებებს, იმუშაოს კლუბების მწვრთნელებთან, უნდა მოგვეხმაროს მაღალი დონის სპეციალისტების აღზრდაში. ერთი სიტყვით, ავსტრალიელმა წელიწადში მინიმუმ ექვსი თვე საქართველოში უნდა დაჰყოს.

რაც შეეხება ყოფილ მწვრთნელებს. მათ ნაკრებთან მუშაობის პერიოდში უზარმაზარი გამოცდილება დაუგროვდათ, რისი დაკარგვაც და ქართული რაგბის სასიკეთოდ არგამოყენება არაფრით შეიძლება. პაატა ნარიმანაშვილი უკვე დაინიშნა საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელად. მალხაზ ჭეიშვილსა და დავით ჩავლეიშვილს რაგბის კავშირი უმოკლეს დროში საკმაოდ საინტერესო წინადადებით მიმართავს. კონკრეტულად რა საქმიანობით იქნებიან ისინი დაკავებული, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ტიმ ლეინი და გია ნიჟარაძე

## სუმო



ტოჩინოშინი



კოკაი

# ორი ქართველი ელიტაში

13 იანვარს ტოკიოს დარბაზ „რიოგოკუ კოკუგიკანში" წლის პირველი სუპერტურნირი, იანვრის ბაშო იწყება. პირველად ისტორიაში ორ ელიტურ დივიზიონში ორი ქართველი სუმოისტი იასპარეზებს: **ლევან ცაგურია (კოკაი)** და **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. გუშინ ახალი რეიტინგლისტი, იაპონურად ბანძუკე გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც მეცამეტე მაეგაშირა კოკაი აღმოსავლეთის მეცხრე მაეგა შირა გახდა. მეორე დივიზიონ ძურიოში დებიუტი ექნება ტოჩინოშინს ის მეთორმეტე ნომერია. ტოჩინოშინი მესამე დივიზიონ მაკუშიტაში პირველ ნომრად ასპარეზობდა, მან ბაშო 5-2 ბალანსით დაასრულდა და ელიტურ დივიზიონში ადგილი დაიმსახურა.

დისკვალიფიკაციის მერე ბაშოს უბრუნდება დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, მონღოლი დასავლეთის იოკოძუნაა, მისი თანამემამულე **ჰაკუჰო** კი ნახევარი საფეხურით მაღლა დგას - აღმოსავლეთის იოკოძუნაა. ოძეკთა რიცხვი ოთხია: **ჩიოტაიკაი**, **კაიო**, **კოტომიცუკი** და **კოტოოშუ**. სეკივაკე ორია: **ამინიშიკი** და **ამა**, კომუსუბი გახდა **კოტოშოგიკუ** და ყოფილი ოძეკი **დეჯიმა**, რომელიც მეორე ახალგაზრდობას განიცდის. უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში ერთი დებიუტანტია 23 წლის 170-კილოიანი **იჩიჰარა**.

26 წლის კოკაიმ, რომელიც კარიერაში ორჯერ ყოფილა კომუსუბი, ნოემბრის ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა. ანონვისას კოკაი 148 კილო იყო. მაკუუჩის დივიზიონში ქართველს 176 გამარჯვება და 184 მარცხი აქვს. კოკაის ძურიოს დივიზიონში დებიუტი 2003 წელს 22 წლის ასაკში ჰქონდა. მის თანამემამულე ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი) კი 20 წელი შეუსრულდა. ტოჩინოშინი კოკაიზე ორი სანტიმეტრით მაღალია (191 სმ) და 140 კილოს იწონის. ძურიოს დივიზიონში სულ 28 სუმოისტია, ტოჩინოშინი კარიერაში პირველად იჭიდავებს 15-დღიან ბაშოს.

მესამე დივიზიონ მაკუშიტას დაუბრუნდა **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ), ის 35-ე ნომრით იასპარეზებს. გაგამარუ 20 წლისაა, თეიმურაზი 185 სმ. სიმაღლისაა და 166 კილოს იწონის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**დეკემბრის ბანძუკე**

| აღმოსავლეთი | რანგი | დასავლეთი |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| ჩიოტაიკაი | ოძეკი | კოტომიცუკი |
| კაიო | ოძეკი | კოტოოშუ |
| ამინიშიკი | სეკივაკე | ამა |
| კოტოშოგიკუ | კომუსუბი | დეჯიმა |
| კისენოსატო | მაეგაშირა 1 | ტოკიტენკუ |
| ტოიონოშიმა | მ 2 | მიაბიამა |
| გოეიდო | მ 3 | ტოჩინონადა |
| ვაკანოსატო | მ 4 | ასასეკირიუ |
| როჰო | მ 5 | ტამაკასუგა |
| ბარუტო | მ 6 | ჰოკუტორიკი |
| ტაკეკაძე | მ 7 | ჰომაშო |
| კაკურიუ | მ 8 | ტოიოჰიბიკი |
| **კოკაი** | მ 9 | ვაკაკირინი |
| ვაკანოჰო | მ 10 | კიოკუტენჰო |
| კაკიძოე | მ 11 | კასუგაო |
| ფუტენო | მ 12 | ტოსანოუმი |
| ივაკიამა | მ 13 | ტამანოშიმა |
| ტაკამისაკარი | მ 14 | შიმოტორი |
| ტოჩიოძანი | მ 15 | იოშიკაძე |
| იჩიჰარა | მ 16 | კაიჰო |

## სროლა

# სალუქვაძემ მსოფლიო რეკორდი გაიმეორა

გუშინ **ნინო სალუქვაძის** ტირში დაიწყო თბილისის ღია პირველობა პნევმატური პისტოლეტით სროლაში. იგი ქალთა ტურნირით გაიხსნა და მნიშვნელოვანი ამბით დასრულდა - შეჯიბრება თავად ტურნირის მასპინძელმა მოიგო, მაგრამ არა უბრალოდ, არამედ თავისივე მსოფლიო რეკორდის გამეორებით - 395 ქულა დააგროვა. შეგახსენებთ, რომ სალუქვაძემ ეს რეკორდი შორეულ 1989 წელს დაამყარა.

მეორე ადგილზე აზერბაიჯანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ირადა აშუმოვა** გავიდა - 377 ქულით. ამდენივე დააგროვა **ნინო უჩაძემაც**, მაგრამ სტუმარმა დამატებითი მაჩვენებლებით გაუსწრო და ბრინჯაოს დააჯერა...

მიზეზთა გამო, ტურნირში უცხოელთაგან მხოლოდ აზერბაიჯანელები გამოდიან და ისინიც - მხოლოდ ორი მსროლელით. შეგახსენებთ, რომ ისინი ნოემბერში უნდა ჩამოსულიყვნენ ასევე საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ მაშინ ჩვენთან შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო გადაიფიქრეს. რამდენიმე დღის წინ ჩვენები ესტუმრნენ ბაქოში ასევე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის და ამ წყვილის ჩამოსვლაც მაშინ გადაწყდა.

სტუმართა სიმცირის მიუხედავად, ტურნირი მაინც საკმაოდ წარმომადგენლობითია - გუშინ 30 ქალი ისროდა, მონაწილეთა საერთო რაოდენობა კი 70-მდეა. ადგილობრივ მსროლელებს ასეთი ტურნირები ძალიან აკლიათ და გასაგებია, ამ შანსს ხელიდან რომ არ უშვებენ.

დღეს ერთმანეთს ვაჟები გაეჯიბრებიან და მონაწილეთა შორის ასევე ერთი სტუმარი იქნება - სწორედ ზემოაღნიშნული ბაქოს ტურნირის გამარჯვებული **რუსლან ლიუნიოვი**. სამწუხაროდ, ფავორიტიც ის იქნება და არა რომელიმე მასპინძელი, თუმცა ვინ იცის - ყველაფერი ხდება...

**ირაკლი თავაძე**

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

21 დეკემბერს სასტუმრო „თორში" (გია ჭანტურიას ქუჩა 10) გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის კონფერენცია.

დასაწყისი 14 საათზე.

**სსჟა-ს აღმასკომი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# შერმადინი დრაფტზე დადგება

**გიორგი შერმადინი 2008 წელს NBA-ს დრაფტზე დადგება - ეს საქართველოში ყოფნისას სააგენტო „Life Sports Agency-ს" ხელმძღვანელმა ტოდ რამასარმა განაცხადა. იგი თბილისში ორიოდე დღით იმყოფებოდა და გიორგის თამაშიც ნახა. ბატონი რამასარის შთაბეჭდილებებზე „მაკაბის" თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილი გვესაუბრება:**

„თსუ-სთან შეხვედრაში შერმადინი ჩვეული ეფექტური მოძრაობებით არ გამორჩეულა. ამის მიზეზი ფეხის მცირე ტრავმა იყო. რადგან ბატონი რამასარი მეორე დღეს მიფრინავდა, გიორგის ექიმ პალიკო კასრაძეს მოთამაშის მოედანზე გაშვების ნებართვა ვთხოვეთ, რაზეც თანხმობა მივიღეთ. შერმადინმა კვირას 22 საჯარიმო ჩააგდო, რასაც 20 მოხსნა და 7 პასი მიაყოლა. ამერიკელი პირველ რიგში სწორედ ცენტრის მიერ გაცემულმა პასებმა მოხიბლა და გვითხრა, ამ ბიჭს 2008 წლის დრაფტზე დავაყენებთო. რამასამა და მისმა მეგობარმა მეტ ჯონსმა იქვე წარმოგვიდგინეს პროგრამა, რომლის მიხედვითაც შერმადინი დრაფტისთვის უნდა მოემზადოს. ბოლოს ორივე მხარემ კონტრაქტს მოვაწერეთ ხელი".



გიორგი შერმადინი

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, რა სახის პროგრამით მოემზადება გიორგი. უკვე დადგენილია, რომ იგი ამერიკის ქალაქ ლოს ანჯელესში მარტში გაფრინდება და ჯერ ფირმა „ნაიკის" მიერ ორგანიზებულ მსოფლიოსა და ამერიკის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისთვის (რომელსაც მემფისი უმასპინძლებს) მოემზადება, თამაშის შემდეგ ისევ ლოს ანჯელესში დაბრუნდება და NBA-ს დრაფტისთვის ვარჯიშს განაგრძობს. პროგრამის მიხედვით შერმადინი რამდენიმე ამერიკულ გუნდში ჩაატარებს საჩვენებელ თამაშს და თუ რომელიმე კლუბი მის აყვანას გადაწყვეტს, ხომ კარგი, თუ არა - იტალიის ქალაქ ტრევიზოში 7-10 ივნისს დაგეგმილ „რიბოკ-კემპში" მიიღებს მონაწილეობას და 26 ივნისის წელს NBA-ს დრაფტს დაელოდება.

ამერიკაში ნატახტარელ ცენტრს მოუწევს მუშაობა **კიკი ვანდევეგესთან** („დენვერის" ყოფილი გენერალური მენეჯერი), **დონ მაკლინთან** (ყოფილი კალათბურთელი), **რაშიდ ჰაზარდთან** („ლეიკერსის" ყოფილი მეორე მწვრთნელი). მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს საკუთარ თავზე სააგენტო იღებს. შერმადინს კონსულტანტად და მწვრთნელად ამერიკაში გაჰყვება **ნოდარ ქორქია**.

საინტერესოა, რამდენად რეალურია ქართული გვარის „მედისონ სკვერ გარდენში", დრაფტისას გაჟღერება? *„ტოდ რამასარს ორჯერ ვკითხეთ, რა მოხდება, თუ შერმადინს დრაფტზე არ აირჩევენ-თქო? ორჯერვე გვიპასუხა ამაზე ფიქრი არ ღირდა, რადგან მისით დაინტერესებას გუნდები უკვე გამოხატავენ. მაინც არ მოვეშვით და მესამე კითხვის შემდეგ მოგვიგო: ასეთ შემთხვევაში მას ევროპის ისეთ გუნდში მოვაწყობთ, სადაც სათანადოდ ითამაშებს და 2009 წლის NBA-ს დრაფტზე კვლავ დავაყენებთო."* - გვითხრა **ხუხაშვილმა**.

ბოლოს სიახლეს გეტყვით - გაიხსნა გიორგი შერმადინის ვებ-საიტი, რომლის მისამართია: www.Shermadini.ge

**ვაჟა სიმონიშვილი**

## საქართველოს კალათბურთის ფედერაციის განცხადება

ბოლო დღეებში ქართულ სპორტულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია მავანი ქართული გუნდის აზერბაიჯანში გამართული ამხანაგური მატჩების შესახებ. პრესაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანში იმყოფებოდა საქართველოს 18-წლამდელთა (ზოგიერთ გამოცემაში – ახალგაზრდული) ნაკრები გუნდი, რომლის მწვრთნელია **ნუგზარ კანდელაკი**.

სამწუხაროდ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციისათვის სრულიად გაურკვეველი მიზეზების გამო, გამოქვეყნებულ მასალებში დაშვებულია უზუსტობები.

კალათბურთში საქართველოს ნებისმიერი ნაკრების (იქნება ეს ეროვნული თუ სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის) ჩამოყალიბება, მწვრთნელის დანიშვნა და ამა თუ იმ შეჯიბრებასა ან ტურნირზე მივლინება არის მხოლოდ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ექსკლუზიური უფლება. აქედან გამომდინარე, კალათბურთის ფედერაცია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ აზერბაიჯანში არ იმყოფებოდა საქართველოს არც 18-წლამდელთა და არც არანაირი ნაკრები გუნდი.

აზერბაიჯანელ კოლეგებთან ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აზერბაიჯანში ამხანაგური თამაშები გაუმართავს საკალათბურთო კლუბ "თბილისს", რომლის ბაქოში მივლინებასთან დაკავშირებით ფედერაციას არანაირი კავშირი არ გააჩნია და შესაბამისად, პასუხისმგებლობას ვერ აიღებს ამ გუნდის წევრების საქციელის გამო, რასაც ერთ-ერთი მატჩისას მოჰყვა ჩხუბი და შემდეგ, თამაშის ჩაშლა.

**გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას ქვეყნის ასაკობრივი ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების ვინაობას, რომლებიც დაახლოებით ერთი თვის წინ დაინიშნენ თანამდებობებზე ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით:**

- 20-წლამდელთა (ახალგაზრდული) ნაკრები: დავით უსტიაშვილი.
- 18-წლამდელთა (ჭაბუკთა) ნაკრები: მიხეილ კობეშავიძე.
- 16-წლამდელთა (კადეტთა) ნაკრები: გელა წულაძე.

რაც შეეხება ნუგზარ კანდელაკს, მას უკვე მესამე სეზონია არანაირი კავშირი არა აქვს საქართველოს არცერთ ნაკრებ გუნდთან და შესაბამისად, არც ამჟამად მუშაობს საქართველოს რომელიმე ნაკრებში რამე თანმდებობაზე.

ხელბურთი

# თურქეთში წყვილი ნაგებით დავიწყეთ

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები იმყოფებიან თურქეთში, სადაც მასპინძლებთან სამ-სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. **იმედო ფხაკაძისა** და **გარი თურქიას** შეგირდები ქალაქ ერზერუმში არიან, სადაც ათათურქის სახელობის სპორტის სასახლეში დილით საათნახევრიანი ვარჯიშები აქვთ, საღამოობით კი მასპინძლებს ეთამაშებიან.

მიუხედავად ფხაკაძის ოპტიმიზმისა, თურქეთში ჩასვლა ვერ მოახერხა ეროვნული ნაკრების წამყვან ლეგიონერთა კვარტეტმა - **სერგო დათუკაშვილმა, ვლადიმერ რუსიამ, რატი მსხვილიძემ** და **რეზო ჭანტურიამ**. ამას გარდა, გუნდის ერზერუმში ვერ გაჰყვნენ პირველი მეკარე **შოთა თევზაძე** და ვეტერანი **ტიტე კალანდაძე**. თევზაძე გუნდის ძიებაშია და შვედეთის ერთ-ერთ კლუბში წასულა სინჯებზე, ხოლო კალანდაძეს ტრავმა აქვს.

თევზაძის ნაცვლად, ნაკრების ხელმძღვანელობამ იხმო გერმანიის მეოთხე ლიგაში მოთამაშე მეკარე **არჩილ გარიშვილი**. ამას გარდა, ნაკრებს თურქეთში დახვდნენ იქაური მეორელიგოსანი „ორმანის" ხელბურთელები - **შოთა გრიშიკაშვილი** და **გიორგი ნატროშვილი**. გუნდის დანარჩენი წევრები საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობენ. რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, აქ მხოლოდ ერთი ლეგიონერია - უკრაინის „ბროვარის" ახალგაზრდული გუნდის წევრი **დავით სულიკაშვილი**.

სამწუხაროდ, პირველი ამხანაგური მატჩები ჩვენმა ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა წააგეს. რაკილა თურქეთთან კავშირი არ გვაქვს და არც საქართველოს ხელბურთის ფედერაციის აქ მყოფმა წევრებმა იცოდნენ რამე მატჩების შესახებ, თურქეთის ხელბურთის ფედერაციის ვებგვერდს დავეყრდენით, სადაც მხოლოდ ანგარიშებია მოცემული. ახალგაზრდებს 20:37 წაუგიათ თურქ თანატოლებთან, ხოლო ეროვნული ნაკრები 20:28 დამარცხებულა. აღსანიშნავია, რომ იმედო ფხაკაძესაც და გარი თურქიასაც ამ შეხვედრებში დებიუტი ჰქონდათ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე.

დასასრულ, იმ შემადგენლობებს გაგაცნობთ, რომლებიც იმედო ფხაკაძემ და გარი თურქიამ თურქეთში იახლეს.

### ეროვნული ნაკრები

მეკარეები: **კორნელი ანდრიაძე** (თბილისი), **ალექსანდრე გონჩაროვი** (თბილისი), **არჩილ გარიშვილი** (ტვ-ვაიდენი, გერმანია)

მოედნის მოთამაშეები: **გიორგი ნივნივაძე, დავით ფორაქიშვილი, ირაკლი ღაღანიძე, უჩა მაისურაძე, ვახტანგ ჯიშკარიანი** (თბილისი), **გიორგი ქობელაშვილი, ამირან ყიფიანი, აკაკი ტალახაძე, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, მამია კობახიძე, გიორგი კობახიძე, დავით ნიკოლაიშვილი** (სტუ-თელავი), **შოთა გრიშიკაშვილი, გიორგი ნატროშვილი** (ორმანი, თურქეთი)

### ახალგაზრდული ნაკრები

მეკარე: **გიგა ტორონჯაძე** (სტუ-თელავი)

მოედნის მოთამაშეები: **ზურაბ მელქოშვილი, დავით საჯაია, ირაკლი ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჯორბენაძე, გიორგი ჯოხარიძე, გერონტი ფერაძე, ლუკა ჩიხლაძე** (სტუ-თელავი), **ავთანდილ ჟღენტი, გიორგი ქარდავა, ვანო ქარდავა** (სამივე თბილისი), **გოგიტა ნიკურაძე** (სამტრედია), **დავით სულიკაშვილი** (ბროვარი, უკრაინა)

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი

# დავით გურგენიძის კიდევ ერთი აღიარება

მსოფლიოში ცნობილ დიდოსტატს, **მარკ დვორეცკის** ახლახან 60 წელი შეუსრულდა. ის ძალიან ძლიერი პრაქტიკოსი გახლდათ, მაგრამ მსოფლიო აღიარებას სამწვრთნელო საქმიანობით მიაღწია - მას დღესაც უამრავი მაღალი დონის მოჭადრაკე სთხოვს დახმარებას. დვორეცკის ქართველ მოჭადრაკეებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილებაც აქვს.

დვორეცკის იუბილისადმი რუსმა საჭადრაკო მოხელეებმა სპეციალური კონკურსი მოაწყვეს ეტიუდების შედგენაში. მონაწილეობის სურვილი მრავალმა გამოთქვა: 17 ქვეყნის 64 ავტორმა გააგზავნა საკუთარი შემოქმედების ნიმუშები კონკურსზე. სულ 115 ეტიუდი შეიკრიბა. ჩვენგან მონაწილეობა ცნობილმა საჭადრაკო დიდოსტატმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ეტიუდების შედგენაში **დავით გურგენიძემ** მიიღო. ბატონმა დავითმა რამდენიმე ეტიუდი გააგზავნა და მათგან ოთხს დიდი მოწონება ხვდა წილად.

ეტიუდების შინაარსი თემატური უნდა ყოფილიყო, პრაქტიკოსი მოჭადრაკეებისთვის განკუთვნილი. ანუ, ბუნებრივ პოზიციებთან უნდა ყოფილიყო მისადაგებული, რაც შესაძლებელია, მოჭადრაკემ რეალურად მიიღოს თამაშისას.

ჟიურიმ და თავად იუბილარმა 25 საუკეთესო ეტიუდი გამოარჩია. როგორც გითხარით, დავით გურგენიძის ოთხმა ნამუშევარმა მიიღო პრიზი, აქედან სამი ეტიუდი გამოარჩიეს და ერთობლიობაში მიანიჭეს პირველი სპეციალური პრიზი; მეოთხეს „საპატიო გამოხმაურების" ჯილდო ერგო.

**მარკ დვორეცკი:** *„სამწუხაროა, რომ დავით გურგენიძემ ეს ეტიუდები ადრე არ შექმნა, მე აუცილებლად შევიტანდი მათ ჩემს წიგნში - „სახელმძღვანელო ენდშპილისთვის". ეს ეტიუდები ბრყინვალე სავარჯიშოა ძლიერი პრაქტიკოსი მოჭადრაკეთათვის, რომლებიც სწავლობენ დაბოლოებას „ლაზიერი ეტლის წინააღმდეგ".*

შევნიშნავთ, რომ დვორეცკის დარად დავით გურგენიძეც არის ენდშპილის შემსწავლელი წიგნის ავტორი და, რა თქმა უნდა, იქ მრავალი საინტერესო ნიმუშია თავმოყრილი. წიგნი არცთუ დიდი ხნის გამოცემულია და მსურველებს მისი შეძენა ჯერ კიდევ შეუძლიათ.

ეტლების დაბოლოებაზეა მეოთხე ეტიუდიც და **მარკ დვორეცკიმ** აქაც საკმაოდ საყურადღებო კომენტარი გააკეთა: *„ეტიუდი ორ ნათელ ეპიზოდს შეიცავს: უცხო და რთულად ასახსნელი სვლა ეტლით „ცრუ კვალზე" და მეფის ლამაზი უკან დახევა ძირითად ვარინატში. სამწუხაროა, რომ მათ შორის ლოგიკური კავშირი არ არის".*

ვულოცავთ ბატონ დავითს კიდევ ერთ აღიარებას და მომავალშიც დიდ წარმატებებს ვუსურვებთ.

**ზვიად შათირიშვილი**

## სეოკ-ის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სთავაზობს თანამშრომლობას დაინტერესებულ პირებსა და კომპანიებს ზაფხულის XXIX ოლიმპიურ თამაშების (პეკინი, 2008 წლის აგვისტო) გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ჩაცმულობის დიზაინის შექმნასა და დამზადებაზე.

ესკიზების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 10 იანვარი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: დ. ალმაშენებლის გამზირი №65; ტელ: 94-30-91, 95-30-79.

## კასპიის თასზე

ირანის ქალაქ რაშთში ჭადრაკში მე-6 საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. ტურნირში სამი ქართველი მოჭადრაკე ჩაება: საერთაშორისო ოსტატები **თორნიკე სანიკიძე** (2455), **მალხაზ სულაშვილი** (2423) და **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2420). ოთხი ტურის შემდეგ ორი მოჭადრაკე ლიდერობს ქულათა დაუკარგავად ლიდერობს: აზერბაიჯანელი დიდოსტატი **ფარიდ აბასოვი** და მალხაზ სულაშვილი. წინა ოთხ ტურში მან ირანელი მეტოქეები დაამარცხა. მეხუთე ტურში სულაშვილი სწორედ აბასოვს ხვდება . 3,5 ქულა აქვს თორნიკე სანიკიძეს, ბაჩანა მორჩიაშვილი 3 ქულით ათეულს მიღმაა. მანამდე ირანში ერთ-ერთი ტურნირი დასრულდა, რომელშიც მალხაზ სულაშვილმა მესამე, ხოლო თორნიკე სანიკიძემ მეოთხე ადგილი დაიკავეს 9 შესაძლებლობიდან 6,5 ქულით. ბაჩანა მორჩიაშვილი 6 ქულით მეშვიდე ადილზე გავიდა.

## ერთიც უნდა მოიგოს

ქართველ დიდოსტატ **ზურაბ აზმაიფარაშვილს** (2606) სინგაპურის რიგით მეოთხე მასტერსის მოგება რეალურად შეუძლია, ამისთვის მან ბოლო, მე-9 ტურში მასპინძელი დიდოსტატი **ჭანკ ჭონკის** (2634) დამარცხება სჭირდება, აზმაიფარაშვილი თეთრი ფიგურებით თამაშობს ლიდერთა მატჩში (6,5-6,5 ქულა). ამათ გარდა ჩემპიონობა მხოლოდ ინდოელ დიდოსტატ **ჩანდა სანდიპანს** (6 ქულა) შეუძლია, ტურნირის დაწყებამდე სწორედ ამ სამ მოჭადრაკეს მიიჩნევდნენ ფავორიტებად.

მეშვიდე ტურში ზურაბ აზმაიფარაშვილმა ტურნირზე პირველი მარცხი განიცადა, მას სანდიპანმა მოუგო. მერვე ტურში ზურაბმა თეთრი ფიგურებით მოუგო საერთაშორისო ოსტატ **არ ლაქსმანს** და მდგომარეობა გამოისწორა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი ვეტერანი სპორტული ჟურნალისტის

**ოთარ გელაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი


ზაზა ფაჩულია და შაკილ ონილი

ქართველები ევროთასზე

# კიევმა მოიგო, მაგრამ დაქვეითდა

**ულების თასის მეშვიდე ტურში „კიევმა“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა - სტუმრად ლატვიაში „რიგა“ 81:72 დაამარცხა.**

შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ბოლო რაუნდამდე კიეველები მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ მეოთხე პერიოდის დასაწყისში 7:0 გაქცევა მოაწყვეს და **მანუჩარ მარკოიშვილის** ორი ზუსტი საჯარიმოს წყალობით 68:63 დაწინაურდნენ. მასპინძლები არ ნებდებოდნენ, სპურტს სპურტით უპასუხეს და სირენამდე 3 წუთით ადრე „კიევს“ კვლავ გადაასწრეს - 69:68. შეხვედრის ბედი სირენამდე 2 წუთით ადრე უკრაინელი **არტურ დროზდოვის** სამქულიანმა და მარკოიშვილის ოქროს ჩაჭრამ გადაწყვიტა. ბოლო წუთზე რიგელებმა განზრახ ჯარიმების ტაქტიკას მიმართეს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მეტოქეს დასწეოდნენ 9-ქულიანი სხვაობით წააგეს.

„კიევის“ მწვრთნელმა **ტომო მაჰორიჩმა** მანუჩარ მარკოიშვილი მოედანზე მეორე მეოთხედში შეუშვა და ჯამში 28 წუთი ათამაშა. დროის ამ მონაკვეთში მან 10 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება მიითვალა. მართალია, მანუმ 5-დან 1 ორქულიანი და 20-დან 1 სამიანი ჩააგდო, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო - 17. არტურ დროზდოვის კოეფიციენტმა კი 28-ს უწია.

პარადოქსია, მაგრამ „კიევი“ მეშვიდე ტურამდე ცხრილში პირველ ადგილზე იყო, ხოლო „რიგის“ ძლევის შემდეგ მეორეზე ჩამოქვეითდა. აი როგორ: 6 ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში 4-4 მოგებით სამი გუნდი იდგა - „კიევი“, ბულგარული „აკადემიკი“ და გერმანული „არტლანდი“. ამ სამეულში ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შეფარდების მიხედვით პირველები უკრაინელები იყვნენ. მეშვიდე ტურში „აკადემიკმა“ „არტლანდი“ გერმანიაში დაამარცხა და მოგებათა რაოდენობით „კიევს“ გაუთანაბრდა. ამ ორ გუნდს შორის პირველი მატჩი ბულგარეთში „აკადემიკს“ აქვს მოგებული და ლოგიკურად ცხრილის სათავეში იგი მოექცა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

**მე-6 ტური**

| | |
|---|---|
| რიგა (ლატვია)–კიევი (უკრაინა) | 81:72 |
| ბენეტონი (იტალია)– პო ორტეზი (საფრანგეთი) | 88:60 |
| არტლანდი (გერმანია)– აკადემიკი (ბულგარეთი) | 76:91 |

| H ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აკადემიკი | 7 | 5 | 2 | 12 |
| 2. კიევი | 7 | 5 | 2 | 12 |
| 3. არტლანდი | 7 | 4 | 3 | 11 |
| 4. ბენეტონი | 7 | 4 | 3 | 11 |
| 5. რიგა | 7 | 2 | 5 | 9 |
| 6. პო ორტეზი | 7 | 1 | 6 | 8 |


მანუჩარ მარკოიშვილი რიგასთან მატჩში

ქართველი NBA-ში

# ვაშინგტონთან 118:111 მოგების მოლოდინში

„ატლანტა ჰოქსმა“ ზედიზედ მეორე შეხვედრაში საკუთარ კალათში 111 ქულა მიიღო, მაგრამ ამ სამმა ჩხირმა ზაზას გუნდს ვერც ერთხელ ვერაფერი დააკლო - „ჰოქსმა“ გუშინ „მაიამის“ 117 ქულა ჩაუგდო და „იუტას“ გზას გაუყენა(116:111). თუმცა, შაკილ ონილის კლუბის დასამარცხებლად ჯორჯიელებს 48 წუთი არ ეყოთ - მეტოქეს ოვერტაიმში სძლიეს.

ამ მატჩში **ზაზა ფაჩულიამ** პირადი რეკორდი დაამყარა, 30 წუთი ითამაშა. მიმდინარე სეზონში ეს ქართველის საუკეთესო მაჩვენებელია. მანამდე მას „მილუოკისთან“ (28 ნოემბერს) 27 წუთი ჰქონდა ნათამაშები. ისევე როგორც „მილუოკი ბაქსთან“ გუშინ „მაიამისთანაც“ 8 მოხსნა მიითვალა, ხოლო ქულათა მონაგარში ამჯერად ერთით ნაკლები ეწერა - 13(6-დან 3 ორქულიანი, 7-დან 7 საჯარიმო).

მომდევნო მატჩს „ატლანტა“ 21 დეკემბერს ვაშინგტონში ადგილობრივ „ვიზარდსთან“ გამართავს. მოგების შემთხვევაში „ჰოქსი“ დედაქალაქელებს გადაასწრებს და სამხრეთ-ალმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. „იუტასთან“ - 116:111, „მაიამისთან“ - 117:111, „ვაშინგტონთან“ - 118:111?

**ატლანტა-მაიამი 117:111**

25:22, 26:25, 31:30, 22:27, 13:7

ატლანტა: ე. ჯონსონი (21ქ, 9პ), ჯ. ჯონსონი (26ქ, 9პ), ჯ. სმიტი (12ქ), მ. უილიამსი (26ქ, 10მ), ჰარფორდი (5ქ, 6მ), ზაზა ფაჩულია (30 წუთი, 13 ქულა, 8 მოხსნა, 1 შეცდომა, 5 ფოლი), შ. უილიამსი (8ქ), ლოუ (4ქ), რაითი (2ქ), უესტი

მაიამი: ქუინი (12ქ), უეიდი (36ქ, 10პ), ჰასლემი (11ქ), დ, რაითი (8ქ), ონილი (16ქ, 7მ), რ. დევისი (16ქ), კუკი (7ქ), მურნინგი (5ქ)

**ფაჩულიას მონაგარი**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 10:00 | ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა |
| 9:34 | მოხსნა: 1 (შეტ:0, დაც:1) |
| 8:43 | საჯარიმოები: 2\2, 2ქ (9:2) |
| 8:23 | ფოლი:1 |
| 8:13 | მოხსნა: 2 (შეტ:0, დაც:2) |
| 7:12 | ორქულიანი ტყორცნა: 4ქ, (13:6) |
| 7:12 | საჯარიმო: 1\1, 5ქ, (14:6) |
| 6:57 | ფოლი: 2 |
| 6:57 | ფაჩულია რაითმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 5:17 | ფაჩულიამ რაითი შეცვალა |
| 4:10 | ორქულიანი ტყორცნა: 7ქ (43:41) |
| 2:53 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 1:08 | მოხსნა: 3 (შეტ:0, დაც:3) |
| 0:40 | მოხსნა: 4 (შეტ:0, დაც:4) |
| **III პერიოდი** | |
| 11:25 | ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა |
| 9:24 | ზემოდან ჩადება: 9ქ (59:54) |
| 9:04 | მოხსნა: 5 (შეტ:0, დაც:5) |
| 7:40 | ფოლი:3 |
| 5:47 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 5:23 | საჯარიმოები: 2\2, 11ქ (72:64) |
| 3:10 | ფაჩულია ლოუმ შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 10:40 | საჯარიმოები: 2\2, 13ქ (86:80) |
| 9:47 | მოხსნა: 6 (შეტ:0, დაც:6) |
| 9:16 | ფოლი:4 |
| 8:34 | ფაჩულია ჰორფორდმა შეცვალა |
| 6:27 | ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა |
| 4:23 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 0:22 | ფაჩულია უესტმა შეცვალა |
| **ოვერტაიმი** | |
| 3:29 | ფოლი:5 |
| 2:42 | მოხსნა: 7 (შეტ:0, დაც:7) |
| 2:21 | მოხსნა: 8 (შეტ:1, დაც:7) |
| 2:19 | შეცდომა: 1 |
| 1:32 | ფაჩულია უესტმა შეცვალა |
| 1:05 | ფაჩულიამ უესტი შეცვალა |
| 0:51 | ფაჩულია უესტმა შეცვალა |

ატლანტა: 13 მოგება, 12 წაგება. მე-3 ადგილი სამხრეთ-ალმოსავლეთ დივიზიონში

ვაჟა სიმონიშვილი

## თარიღი



**ჯემალ აბაიშვილი.** დაიბადა 21.12.1938, თბილისი - 13.04.84, იქვე. ხელბურთი, მეკარე. თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“ (1961-70), კრასნოდარის სკიფ-სა (1971-73) და სსრკ ნაკრებში (1962-67). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 64), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და ორგზის მესამე (1963, 71) პრიზიორი. მონაწილეობდა ორ მსოფლიო ჩემპიონატში (1964, 67). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 51 მატჩი. სპორტის საპატიო ოსტატი.

**ანატოლი ფიოდოროვი.** 21.12.1885, თბილისი - 22.10.1974, იქვე. ფარიკაობა, მწვრთნელი. საქართველოში ფარიკაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. უპირატესობას ანიჭებდა ფარიკაობის ფრანგულ სტილს. საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარების მიზნით თბილისის მოსწავლეთა სასახლეში დააარსა ფარიკაობის სკოლა, რომლის ხელმძღვანელადაც მუშაობდა 1948-60 წლებში. იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1952-59). მისი აღზრდილები არიან: რეზო ცირეკიძე, იური ოსიპოვი, გოგი გოგელია, გურამ ჯაიანი, იზოლდა ესაიაშვილი და ზინაიდა კვერენჩხილაძე. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. გამოკითხვა

# ვიწყებთ აღმოსავლეთით

ჯერ ადრეა რეგულარულის საუკეთესოებზე საუბარი, თუმცა ამერიკული მასმედია ათასგვარი რეიტინგებითა და არცთუ უინტერესო გამოკითხვებით, ლიგის ფანებს ინტერესს პერმანენტულად უღვივებს და გვჯერა, რომ აღნიშნული გამოკითხვაც კალათბურთის ფანებისთვის საინტერესო უნდა იყოს.

ოცდაათივე გუნდის წარმომადგენელს (მთავარი მწვრთნელი ან წამყვანი მოთამაშე) შემდეგ კითხვებზე უნდა გაეცათ პასუხი:

**1. ვინ არის რეგულარულის MVP?**
**2. ვინ არის საუკეთესო დამცველი?**
**3. ვინ არის სეზონის აღმოჩენა?**
**4. დაასახელეთ პირველი ხუთეული.**
**5. დაასახლეთ სუპერფინალის ორივე მონაწილე.**

დღეს აღმოსავლელ რესპოდენტებს წარმოგიდგენთ, ხვალ კი დასავლეთის წარმომადგენელთა პასუხებსაც გაგაცნობთ.

## ატლანტა - მაიკ ვუდსონი (მწვრთნელი)

1. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი). ვნახოთ, როგორ გააგრძელებენ თამაშს კობი ბრაიანტი, დუეინ უეიდი და სტივ ნეში, თუმცა ამ ეტაპზე ლებრონი საუკეთესოა.
2. ჯოშ სმიტი (ჰოქსი)
3. უარი
4. ლებრონი, კობი ბრაიანტი (ლეიეკრსი), კევინ გარნეტი (ბოსტონი), შონ მერიონი (ფინიქსი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო).
5. ბოსტონი-სან ანტონიო ან Oორლანდო-სან ანტონიო.

## ბოსტონი - დოკ რივერსი (მწვრთნელი)

1. სტივ ნეში (ფინიქსი).
2. მარკუს კემბი (დენვერი).
3. კევინ დიურანი (სიეტლი).
4. ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი, ამარე სტაუდმაიერი (ფინიქსი), შონ მერიონი, დუაიტ ჰოვარდი.
5. მიჭირს ამ კითვაზე პასუხის გაცემა.

## ნიუ ჯერსი - ჯეისონ კიდი (მოთამაშე)

1. ლებრონ ჯეიმსი. მეორე ადგილზე, ალბათ, სტივ ნეშს დავაყენებდი, მერე კი 6-7 მოთამაშის დასახელება შეიძლება.
2. კრის კამანი (კლიპერსი).
3. შონ უილიამსი (ნიუ ჯერსი).
4. ლებრონი, ნეში, რიჩარდ ჯეფერსონი (ნიუ ჯერსი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), დუაიტ ჰოვარდი.
5. ბოსტონი, ორლანდო, ნიუ ჯერსი აღმოსავლეთიდან, ხოლო სან Aანტონიო, დალასი ან ფინიქსი დასავლეთიდან.

## ნიუ იორკი - აიზია ტომასი (მწვრთნელი)

1. დუაიტ ჰოვარდი. წარმოუდგენლად მოუმატა და მსოფლიოში უძლიერესი ცენტრია. Aარა მგონია, მასზე მძლავრ კალათბურთს ვინმე თამაშობდეს, თუმცა ლებრონისა და ტონი პარკერის დავიწყებაც არ შეიძლება.
2. გარნეტი.
3. შონ უილიამსი.
4. პარკერი, ლებრონი, ზაკ რენდოლფი (ნიუ იორკი), გარნეტი, ჰოვარდი.
5. ჯერ ადრეა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

## მაიამი - პატ რაილი (მწვრთნელი)

1. ლებრონი ან კობი. შეიძლება დუაიტ ჰოვარდიც და არ არის გამორიცხული, იმ გუნდის რომელიმე წვრი, რომელიც რეგულარულს მოიგებს.
2. მარკუს კემბი.
3. დიურანი და ჯეფ გრინი (სიეტლი).
4. კობი, ნეში, მანუ ჯინობილი (სან აAნტონიო), ამარე სტაუდმაიერი, ჰოვარდი.
5. იმედი მაქვს, აღმოსავლეთიდან "მაიამი", ხოლო დასავლეთიდან კი შანსი ძალიან ბევრს აქვს.

## ფილადელფია - სამუელ დალემბერი (მოთამაშე)

1. დუეინ უეიდი, ოღონდ მისმა გუნდმა ნაკლები მატჩი უნდა წააგოს. პრიზისთვის ასევე ლებრონი, დირკ ნოვიცკი და ნეში იბრძოლებენ.
2. ანდრე იგუოდალა (ფილადელფია) და მარკუს კემბი.
3. კევინ დიურანი.
4. ნეში, უეიდი, ლებრონი, ნოვიცკი, დანკანი.
5. აღმოსავლეთში 8-9 გუნდი არა მარტო საფლეიოფოდ, არამედ სუპერფინალისთვისაც იბრძოლებს, დასავლეთიდან კი ფავორიტები "სპურსი" და "სანზი" არიან.

## ტორონტო - ანდრეა ბარნიანი (მოთამაშე)

1. კრის ბოში, რომელიც დაუმსახურებლად ავიწყდებათ ამა თუ იმ ინდივიდუალური ჯილდოს მაძიებელთა შორის მოხსენიებისას. ყოველ შემთხვევაში, მე კრისს ვქომაგობ.
2. გარნეტი და ჯეისონ კიდი.
3. კევინ დიურანი.
4. ტონი პარკერი, კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი, კევინ გარნეტი, იაო მინი.
5. "ბოსტონი" ან "ტორონტო" და "სან ანტონიო" ან "დალასი".

## ჩიკაგო - სკოტ სქაილზი (მწვრთნელი)

1. ჯეისონ კიდი, კრის ბოში, კევინ გარნეტი ან მანუ ჯინობილი. Bბევრ რამეს მათი გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგები გადაწყვეტს.
2. ჯოშ სმიტი.
3. ელ ჰორფორდი.
4. ნეში, ლებრონი, ნოვიცკი, ლუოლ დენგი (ჩიკაგო) და მინი.
5. ამ ეტაპზე მიჭირს რომელიმე გუნდის გამორჩევა.

## კლივლენდი - ჟიდრუნას ილგაუსკასი (მოთამაშე)

1. ულაპარაკოდ, ლებრონი, რომელიც ყველა ამპლუაში თავს კომფორტულად გრძნობს. ტრადიციულად, ნეში, დანკანი, კობი და კიდი, მაგრამ ლებრონი მაინც ულაპარაკო ფავორიტია.
2. მარკუს კემბი და ანდრეი კირილენკო (იუტა).
3. ელ ჰორფორდი.
4. ნეში, კობი, ლებრონი, დანკანი, კარლოს ბუზერი (იუტა).
5. იგივე, რაც შარშან და "კლივლენდი" "სან ანტონიოს" მოუგებს.

## დეტროიტი - ფლიპ სონდერსი (მთავარი მწვრთნელი)

1. ლებრონი, ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი) ან პოლ პირსი (ბოსტონი). ბევრ რამეს რეგულარულის მეორე ნახევარი გადაწყვეტს.
2. ჯოშ სმიტი და რაშიდ უოლასი (დეტროიტი).
3. ჯეფ გრინი.
4. კეირონ ბატლერი (ვაშინგტონი), ბილაპსი, პირსი, გარნეტი, დანკანი.
5. ჯერ ადრეა ფინალისტებზე საუბარი.

## ინდიანა - მაიკ დანლივი უმცროსი (მოთამაშე)

1. პოლ პირსი, ლებრონ ჯეიმსი ან კარლოს ბუზერი. ამ სამიდან კი მცირე უპირატესობას ბუზერს მივანიჭებდი.
2. კამანი, სმიტი, კირილენკო, რონ არტესტი (საკრამენტო), ბრიუს ბოუენი (სან Aანტონიო).
3. დიურანი.
4. პირსი, ნეში, ლებრონი, ნოვიცკი, მინი.
5. ამ ეტაპზე ყველაზე გამართულად "სელტიქსი" და "სანზი" თამაშობენ, თუმცა ჯერ მაინც ადრეა.

## ვაშინგტონი - კეირონ ბატლერი (მოთამაშე)

1. ლებრონ ჯეიმსი, მანუ ჯინობილი და ანტუან ჯეიმისონი (ვაშინგტონი).
2. ბრიუს ბოუენი.
3. ელ ჰორფორდი.
4. ლებრონი, მანუ, ანტუანი, ამარე სტაუდმაიერი და დანკანი.
5. უარი

## ორლანდო - რაშარდ ლიუისი (მოთამაშე)

1. დუაიტ ჰოვარდი და თუ პრიზს ვინმე სხვა მოიგებს, ძალიან იმედგაცრუებული დავრჩები.
2. კრის კამანი ან ჯოშ სმიტი.
3. დიურანი.
4. პარკერი, ნეში, ლებრონი, გარნეტი, ჰოვარდი.
5. ვერ გაეტყვით, თუმცა ჩვენი გუნდი ფინალში თამაშს სხვაზე არანაკლებად იმსახურებს.

## შარლოტი - რეიმონდ ფელტონი (მოთამაშე)

1. დუაიტ ჰოვარდი ან სტივ ნეში. მათ გარეშე ვერც "მეჯიქი" და ვერც "სანზი" ამდენ თამაშს ვერ მოიგებდნენ და მესამეს დასახელება თუ გახდება საჭირო, ალბათ, მაინც კობი ბრაიანტი.
2. მარკუს კემბი და ტიმ დანკანი.
3. კევინ დიურანი.
4. ნეში, პარკერი, ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), დანკანი, ჰოვარდი.
5. უარი

## მილუოკი - ენდრიუ ბოგუტი (მოთამაშე)

1. მაიკლ რედი (მილუოკი) არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობს. მMის შემდეგ კი ალბათ, ლებრონი, ალენ აივერსონი და ჯეისონ კიდი.
2. ბრიუს ბოუენი.
3. იი ქსიანლიანი.
4. რედი, აივერსონი, ლებრონი, გარნეტი და მინი.
5. ჯერ ადრეა.

## NBA-ის რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-მაიამი 117:111 (ო)**

25:22, 26:25, 31:30, 22:27, 13:7

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (26 ქ. 9 პ. 3 ჩ), Mმერვინ უილიამსი (26 ქ. 10 მ. 2 ჩ), ე. ჯონსონი (21 ქ. 9 პ), **ზაზა ფაჩულია (13 ქ. 8 მ),** ჯოშ სმიტი (12 ქ. 5 მ. 4 პ).

**მაიამი:** უეიდი (36 ქ. 10 პ. 6 მ. 2 დ), შ. ონილი (16 ქ. 7 მ), რ. დევისი (16 ქ. 4 პ. 2 ჩ), ქვინი (11 ქ. 7 პ. 3 ჩ), ჰასლემი (11 ქ. 8 მ. 4 ჩ).

**მემფისი-სან Aანტონიო 88:85**

31:19, 18:16, 27:24, 12:26

**მემფისი:** მ. მილერი (31 ქ. 6 მ), გეი (23 ქ. 9 მ. 3 პ. 2 დ), ნავარო (10 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ), დ. სტაუდმაიერი (10 ქ. 6 მ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (20 ქ. 5 მ. 5 პ. 3 ჩ), დანკანი (16 ქ. 14 მ. 4 პ. 2 დ), ფინლი (11 ქ. 5 პ), ვონი (10 ქ. 5 პ).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 84:95**

27:20, 13:25, 23:20, 21:30

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (29 ქ. 11 მ. 10 პ. 3 ჩ), ჯეიმისონი (24 ქ. 12 მ. 3 პ. 2 დ), ჰეივუდი (8 ქ. 9 მ. 2 დ).

**ჩიკაგო:** გორდონი (22 ქ. 6 მ. 6 პ), დენგი (20 ქ. 5 მ), ტაირუს ტომასი (14 ქ. 6 მ. 3 დ. 2 ჩ), გრეი (10 ქ. 10 მ. 5 პ).

**შარლოტი-იუტა 98:92**

21:19, 22:24, 24:26, 31:23

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (26 ქ. 4 პ. 3 ჩ. 2 დ), ჯ. რიჩარდსონი (24 ქ. 7 მ. 3 პ. 2 დ), მოჰამედი (17 ქ. 8 მ. 3 დ), ფელტონი (17 ქ. 7 პ. 2 ჩ).

**იუტა:** ბუზერი (21 ქ. 15 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ), დ. უილიამსი (20 ქ. 5 პ), კირილენკო (12 ქ. 5 მ. 5 პ), რ. ბრიუერი (12 ქ. 3 ჩ), ჰარტი (10 ქ. 5 პ. 3 მ. 3 ჩ).

**ბოსტონი-დეტროიტი 85:87**

29:25, 23:20, 13:16, 20:26

**ბოსტონი:** გარნეტი (26 ქ. 12 მ. 2 ჩ), რ. ალენი (24 ქ. 5 მ), რონდო (14 ქ. 7 პ. 3 მ. 3 ჩ), პირსი (11 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (28 ქ. 8 პ), რ. ჰამილტონი (21 ქ), მაკდაიესი (13 ქ. 10 მ), რ. უოლასი (9 ქ. 13 მ. 3 პ).

**ინდიანა-ფილადელფია 102:85**

26:28, 24:19, 31:20, 21:18

**ინდიანა:** მ. დენიელსი (26 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (19 ქ. 5 პ. 4 მ), ჯ. ონილი (19 ქ. 9 მ. 5 დ. 4 პ), გრეინჯერი (13 ქ. 8 მ), მერფი (11 ქ. 5 პ).

**ფილადელფია:** ა. მილერი (16 ქ. 5 პ. 4 მ), იგუოდალა (16 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), დალმბერი (15 ქ. 14 მ. 6 დ), უ. გრინი (13 ქ. 4 მ. 4 პ), რ. ევანსი (9 ქ. 16 მ).

**ნიუ იორკი-კლივლენდი 108:90**

31:30, 32:20, 24:20, 21:20

**ნიუ იორკი:** ლი (22 ქ. 11 მ), ჯ. კროუფორდი (21 ქ. 6 პ), ზ. რენდოლფი (17 ქ. 6 მ), კ. რიჩარდსონი (16 ქ. 7 მ), ნ. რობინსონი (11 ქ. 2 ჩ), კარი (10 ქ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (32 ქ. 8 მ. 6 პ. 6 ჩ), გიბსონი (11 ქ. 5 მ).

**მილუოკი-საკრამენტო 89:102**

26:28, 21:18, 21:22, 21:34

**მილუოკი:** რედი (27 ქ), მო უილიამსი (17 ქ. 7 მ. 5 პ), ბოგუტი (12 ქ. 11 მ. 5 დ. 4 პ), აივი (10 ქ), ქსიანლიანი (8 ქ. 12 მ. 3 დ. 2 პ).

**საკრამენტო:** არტესტი (26 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ. 2 დ), უდრიხი (24 ქ. 2 ჩ), სალმონსი (17 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), მური (12 ქ), ბ. მილერი (11 ქ. 9 მ. 6 პ).

**მინესოტა-გოლდ. სტ 98:111**

29:26, 33:28, 17:37, 19:20

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (24 ქ. 14 მ. 4 პ), მაკკენტსი (23 ქ. 6 პ. 3 ჩ), ჯ. გრინი (18 ქ. 8 მ), კ. ბრიუერი (11 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ე. ჰარინგტონი (25 ქ. 2 ჩ), მ. ელისი (24 ქ. 5 მ. 5 პ), ს. ჯექსონი (20 ქ), ბ. დევისი (18 ქ. 10 პ. 3 მ), ბიედრინსი (8 ქ. 15 მ. 3 დ).

**პორტლენდი-ტორონტო 101:96**

31:30, 20:26, 25:27, 25:13

**პორტლენდი:** როი (25 ქ. 9 მ. 8 პ), ოლდრიჯი (15 ქ. 7 მ. 3 პ), უებსტერი (15 ქ), ბლეიკი (12 ქ), ტ. აუთლო (11 ქ. 7 მ).

**ტორონტო:** კალდერონი (19 ქ. 9 პ), ბოში (18 ქ. 11 მ. 2 პ), ე. პარკერი (16 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჰამფრიზი (13 ქ. 5 მ), კაპონო (13 ქ).

**სიეტლი-ნიუ ორლეანი 93:107**

17:24, 16:28, 29:29, 31:26

**სიეტლი:** დიურანი (18 ქ. 5 მ. 4 პ), კოლისონი (13 ქ. 9 მ), შჩერბიაკი (13 ქ. 6 მ), რიდნური (13 ქ. 2 ჩ), უილკინსი (11 ქ. 5 მ), უილკოქსი (10 ქ. 2 ჩ).

**ნიუ ორლეანი:** პიტერსონი (25 ქ. 2 ჩ), პოლი (21 ქ. 15 პ. 4 ჩ. 3 მ), დევიდ უესტი (17 ქ. 11 მ. 6 პ. 5 დ), რ. ბატლერი (17 ქ. 2 ჩ), ჩენდლერი (16 ქ. 17 მ).

**დალასი-ფინიქსი 108:105**

37:20, 21:34, 25:23, 25:28

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქ. 9 მ. 2 დ), ჯოშ ჰოვარდი (23 ქ. 7 მ), დ. ჰარისი (21 ქ. 6 პ. 3 ჩ), ტერი (13 ქ. 6 მ. 3 პ), დემპიე (8 ქ. 10 მ. 5 დ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 8 მ. 4 პ), მერიონი (23 ქ. 10 მ. 3 ჩ), ნეში (21 ქ. 18 პ), რ. ბელი (11 ქ), ბარბოსა (10 ქ).

**ჰიუსტონი-ორლანდო 92:97**

22:15, 18:29, 22:27, 30:26

**ჰიუსტონი:** მინი (19 ქ. 17 მ. 3 დ), ალსტონი (17 ქ. 3 პ), უელსი (17 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (21 ქ. 11 მ. 3 დ), დულინგი (15 ქ), ბოგანსი (14 ქ. 10 მ), რ. ლიუისი (13 ქ. 2 ჩ), თურქოღლუ (13 ქ. 9 მ. 4 პ. 3 ჩ), ნელსონი (11 ქ. 6 პ. 4 მ).

## ახალი ამბები

კალათბურთი

## მოურნინგმა კარიერა დაასრულა?



ცუდად დასრულდა **ალონზო მოურნინგისთვის** "ატლანტა ჰოქსისა" და "მაიამი ჰიტის" შეხვედრა. "მაიამის" ვეტერანმა ცენტრმა მარჯვენა ფეხზე კუნთი გაიწყვიტა და შეხვედრის დამთავრება ვერ შეძლო.

"ჰიტის" წარმომადგენელმა **მაიკლ ლისაკმა** განაცხადა, რომ მატჩის დასრულებისთანავე გაკეთდა ტრავმირებული ფეხის რენტგენი. ჯერჯერობით უცნობია, დასრულდება თუ არა ამ ტრავმით ზოსთვის წლევანდელი სეზონი. როგორც წესი, ასეთი დაზიანების სამკურნალოდ დაახლოებით სამი თვეა საჭირო.

მოურნინგმა ტრავმა იმ დროს მიიღო, როცა **მარიო ვესტის** ტყორცნის დაფარებას ცდილობდა. თებერვალში "მაიამის" ცენტრს 34 წელი უსრულდება. წელს ის NBA-ში მე-15 სეზონს ატარებს, აქედან 11 "მაიამის" ეკუთვნის.

ამ ტრავმის გამო, შესაძლოა მოურნინგმა საერთოდ დაასრულოს კარიერა, მით უმეტეს, რომ მას ისედაც სურდა კალათბურთიდან წასვლა.

## მოგვაშორეთ აიზია!

"ნიუ იორკ ნიქსის" გულშემატკივრებს მოთმინების ფიალა აევსოთ. გუშინ, ფანებმა კლუბის საშინაო არენის, "მედისონ სკვერ გარდენის" წინ სახელდახელო მიტინგი გამართეს და მთავარი მწვრთნელის, **აიზია ტომასის** გადაყენება მოითხოვეს.

აქცია "კლივლენდ კავალიერზთან" მატჩის წინ გაიმართა, თუმცა ფანებს არც უშუალოდ შეხვედრისას დავიწყებიათ თავიანთი მოთხოვნა და ტრიბუნებიდანაც მოითხოვდენ ტომასის გუნდიდან გაშვებას.

გულშემატკივრებს პოზიცია გასაგებია. "კლივლენდთან" შეხვედრამდე, "ნიუ იორკს" 24 მატჩში მხოლოდ 7 მოგება ჰქონდა. რაც ყველაზე გასაკვირია, მიტინგმა და პროტესტის ტალღამ "ნიქსის" კალათბურთელებზე კარგად იმოქმედა და მათ დამაჯერებლად დაამარცხეს **ლებრონ ჯეიმის** გუნდი - 108:90.

## აივერსონს ექვსწლიანი კონტრაქტის იმედი აქვს

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც "ფილადელფიადან" "დენვერში" გადავიდა NBA-ის ერთ-ერთი ლიდერი **ალენ აივერსონი.** 32 წლის კალათბურთელს იმედი აქვს, რომ "ნაგეტსთან" ახალ, ექვსწლიან კონტრაქტს გააფორმებს და კარიერას სწორედ ამ გუნდში დაასრულებს.

*"ძალიან მინდა, ეს ჩემს კარიერაში ბოლო გაჩერება იყოს"*, - ამბობს აივერსონი.

"დენვერის" რიგებში მისი დებიუტი შარშან, 22 დეკემბერს, "საკრამენტოსთან" მატჩში შედგა. მაშინ ალენმა 22 ქულა დააგროვა და 10 შედეგიანი პასი მითვალა. აივერსონის მისვლის შემდეგ, "დენვერმა" 83 მატჩი ჩაატარა, მოიგო 45 და წააგო 38 შეხვედრა.

## პარკერი: ევასთვის არ მიღალატია!

"სან ანტონიო სპურსის" ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი** სასამართლოში უჩივის ფოტოსააგენტო X17-ს. ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა ინტერვიუ ფრანგ მოდელ **ალექსანდრ პარესანთან**, რომელმაც განაცხადა, რომ სექტემბერში მცირეხნიანი რომანი ჰქონდა კალათბურთელთან. არადა, პარკერს ამ დროისთვის უკვე ორი თვის მოყვანილი ჰყავდა ცოლად მსახიობი **ევა ლონგორია.**

ფრანგი კალათბურთელი სააგენტოსგან მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 20 მილიონ დოლარს ითხოვს. *"ფოტოსააგენტოს არც კი შეუწუხებია თავი ჩემთან ან ევასთან დასაკავშირებლად, რათა შეემოწმებინათ ინფორმაციის სისწორე"*, - მოჰყავს პარკერის სიტყვები სააგენტო "როიტერს".

## ნენემ ვარჯიში დაიწყო

მარცხენა ფეხზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, ვარჯიშების განახლების უფლება მიიღო "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდმა **ნენე ილარიომ.**

ბრაზილიელ კალათბურთელს 7 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია რეგულარულ ჩემპიონატში. სააგენტო AP-ის ცნობით, მან დაზიანება "ბოსტონ სელტიქსთან" მატჩის დროს მიიღო.

## კრივი

ზემძიმე წონა

# ვალუევი ლიახოვიჩს შეხვდება

პროფესიული კრივის ზემძიმე წონას ჯერაც ოთხივე პრესტიჟულ გაერთიანებაში სხვადასხვა ჩემპიონი ჰყავს, მაგრამ როგორც ამბობენ, მალე ყველა ტიტული ერთი კაცის ხელში მოექცევა. ყველა ძლიერ მოკრივეს, მათ შორის რუს გიგანტ **ნიკოლაი ვალუევსაც** სურს, რომ ეს "ერთი" თავად გახდეს. ოღონდ, სანამ ეს მოხდებოდეს, მას დაკარგული ტიტულის დაბრუნება მღუნევს.

ანალოგიურ ვითარებაშია კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონი, ბელარუსი **სერგეი ლიახოვიჩი**. ჰოდა, ამ ორმა ოკრივემ უკვე მოილაპარაკა და შეთანხმდა, რომ WBA-ის პრეტენდენტის გამოსავლენად, ერთმანეთს 16 თებერვალს შეებრძოლონ. მათ შორის მოგებული კი მოგვიანებით ასოციაციის ახლანდელ ჩემპიონს, უზბეკ **რუსლან ჩაგაევს** ტიტულისთვის შეებრძოლება.

შეგახსენებთ, რომ ზემძიმე წონას, მას შემდეგ, რაც ბრიტანელმა **ლენოქს ლუისმა** სპორტს თავი დაანება, აბსოლუტური ჩემპიონი (ოთხივე პრესტიჟული გაერთიანების ტიტულების მფლობელი) არ ჰყოლია.

აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად გადადგმული პირველი ნაბიჯი გახდება IBF-ის (და ნაკლებად პრესტიჟული IBO-ის) ჩემპიონის, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკოსა** და WBO-ის რუსი (დაღესტნელი) ჩემპიონის, **რუსლან იბრაგიმოვის** შეხვედრა, რომელსაც 23 თებერვალს ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენი" უმასპინძლებს.

2 თებერვალს გამოვლინდება მსოფლიოს ჩემპიონი WBC-ს ვერსიით. ეს ტიტული ახლა ვაკანტურია და მის მოსაპოვებლად იბრძოლებენ ნიგერიელი **სემუელ პიტერი** და რუსი **ოლეგ მასკაევი**. მოსალოდნელია, რომ მათ შორის გამარჯვებული, რომელიმე სხვა ჩემპიონს (სავარაუდოდ, კლიჩკოსა და იბრაგიმოვს შორის მოგებულს) შეხვდება.

*"ახლა ჩემი მიზანი იმ ტიტულის დაბრუნებაა, რომელიც რუსლან ჩაგაევთან ნაგების შემდეგ დავთმე. ამისათვის კი ჯერ ლიახოვიჩი მყავს დასამარცხებელი"*, - განაცხადა 34 წლის ვალუევმა (47-1, 34 ნოკაუტი), ვინც პროფესიულ რინგზე ნაგემი ერთადერთი მარცხის შემდეგ, ადვილად დაამარცხა კანადელი **ჟან-ფრანსუა ბერჟერონი**. სხვათა შორის, ამ ბრძოლისთვის ის პირველად მოამზადა ახალმა მწვრთნელმა **ალექსანდ ზიმინმა**, რომელმაც ვალუევის ძველი მწვრთნელი **მანუელ გაბრიელიანი** შეცვალა.

ზიმინმა რუსი გიგანტის სავარჯიშო მეთოდები და ბრძოლის სტილი ძირეულად შეცვალა და ბრძოლებისთვის მოსამზადებლად ის იაპონიაში გადაიყვანა. *"ეს ბიჭი დიდი ძალის პატრონია და რატომღაც, თავის შესაძლებლობებს მინიალურადაც არ იყენებდა. ჩვენ მისი სტილი შევცვალეთ, რის შემდეგაც უფრო ხშირად და ძლიერად ურტყამს, რითაც მაყურებელსაც მეტ სიამოვნებას ანიჭებს"*, - ამბობს ახალი მწვრთნელი.

რაც შეეხება 31 წლის ლიახოვიჩს (23-2, 14 ნოკაუტი), მან WBO-ის ტიტული ამერიკელ **შენონ ბრიგსთან** ბრძოლაში შარშან დათმო, რის შემდეგაც რინგზე აღარ ასულა.



ნიკოლაი ვალუევი

## ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი

# ტურის ეტაპი სკოტებსაც სურთ

შოტლანდიის ველოსპორტის კავშირს იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში ტურ დე ფრანსის ეტაპის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს. შოტლანდიელთა მონდომებას ხელი შეუწყო იმ წარმატებამ, რომელიც ფრანგული ველომარათონის პროლოგის და პირველი ეტაპის ლონდონში ჩატარებას სდევდა თან. შეგახსენებთ, რომ ამ ორ რბოლას გზის გასწვრივ მილიონობით მაყურებელი ჰყავდა.

ფრანგული ტურის ეტაპის შოტლანდიაში ჩატარების ინციატორად გამოდის სააგენტო "ივენტსკოტლენდი", რომელიც ამ საკითხზე, ტურის ორგანიზატორებთან მოლაპარაკების გამართვასაც გეგმავს.

*"ამ საკითხის შიდა განხილვა ახალი დაწყებული გვაქვს. ფრანგული ტური მსოფლიო დონის ტურნირია და კარგი იქნება, თუ მისი ერთი ან რამდენიმე ეტაპის ჩატარების უფლებას მოვიპოვებთ. ტურის ორგანიზატორებთან ჯერ კონკრეტული მოლაპარაკება არ გვქონია"*, - ამბობს "ივენტსკოტლენდის" კორპორატიული კომუნიკაციების სამსახურის მენეჯერი **ლეონ თომპსონი**.

უნდა ითქვას, რომ "ივენტსკოტლენდი" ბოლო ხანებში მეტად აქტიურობს შოტლანდაში დხდი ტურნირების მასპინძლობის მოსაპოვებლად. სწორედ ამ სააგენტოს დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ქალაქმა გლაზგომ 2014 წლის თანამეგობრობის თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა. გარდა ამისა, შოტლანდის მთავრობასთან ერთად, განიხილება ევროპის 2016 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებაზე კანდიდატურის წამოყენების საკითხი.

ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შოტლანდიაში ტურის დაწყება 2010 წლამდე ვერ მოხერხდება, რადგან მომდევნო ორი რბოლა შესაბამისად, ბრიტანეთსა (არა სკოტეთში) და მონაკოში დაიწყება.

## წლის საუკეთესონი

# პიტკამაკიმ რაიკონენს აჯობა



პიტკამაკი ასპარეზობისას

როცა ფინეთში სპორტის პოპულარობაზე ლაპარაკობენ, პირველ რიგში, სპორტის ზამთრის სახეობებს და მოტორ სპორტს გულისხმობენ, თუმცა სუომის ქვეყანაში მძლეოსნობასაც ბევრი დამფასებელი ჰყავს. ტრადიციულად, იქ შუბის ტყორცნაზე არიან შემლილები და ეს იმიტომ, რომ ამ სახეობაში მათ არაერთი ვარსკვლავი ჰყოლიათ. გასული სეზონის მსოფლიო ჩემპიონატზე, სწორედ ამ დისციპლინაში ისახელა თავი ფინელმა **ტერო პიტკამაკიმ**.

ფინეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულმა გამოკითხვამ, გასული სეზონის საუკეთესო სპორსტმენის წოდება სწორედ პიტკამაკის მიანიჭა, რომელმაც საერთო ჯამში 4725 ქულას მოუყარა თავი. 1996 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება შუბის მტყორცნელს ენიჭება.

541 ბიულეტენიდან, პიტკამაკიმ 203-ში პირველი ადგილი დაიკავა. საინტერესოა, რომ გასული სეზონის შედეგების მიხედვით, ევროპის მძლეოსნობის ასოციაცაიმ პიტკამაკი ევროპის საუკეთესო მძლეოსნად დაასახელა.

სხვათა შორის, გასული სეზონის შემდეგაც, წლის საუკეთესო ფინელი სპორტსმენის წოდება მძლეოსანს ერგო. ამ საპატიო წოდებით დააჯილდოვეს 3000 მეტრზე სტიპლჩეიზში ევროპის ჩემპიონი **იუკა კესკისალო**, ვისაც გასული სეზონი საზარდულის ტრავმის გამო თითქმის მთლიანად გაუცდა.

პიტკამაკიმდე შუბის მტყორცნელთაგან ფინეთის საუკეთესო სპორტსმენად **ჰელი რანტანენი** დასახელდა, ვინც ატლანტას 1996 წლის ოლიმპიადაზე ქალთა შორის შუბის ტყორცნაში მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.

*"საუკეთესო სპორტსმენად პიტკამაკის დასახელება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენში სპორტის ტრადიციულ სახეობებს კვლავაც აფასებენ. საერთოდ, მძლეოსნობა და თხილამურობა ყველაზე მეტად მაინტერესებს, როცა ტელეეკრანთან ვზივარ. მაგრამ კიმი რაიკონენის რბოლების ყურებაც ძალიან მიზიდავს. ახლა პეკინის ოლიმპიადისთვის ვემზადები და მინდა ვთქვა, რომ მოსამზადებელი პროცესი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. შობის დღესასწაულის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გავემგზავრები და იქ გავაგრძელებ პეკინისთვის მზადებას"*, - ამბობს პიტკამაკი, ვინც ოსაკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეშ, "საბრძოლო" ხელის იდაყვზე ოპერაცია გაიკეთა, თუმცა სარეაბილიტაციო კურსი უკვე გაიარა და ვარჯიშიც განაახლა.

გამოკითხვის შედეგად, 4089 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი დაიკავა ქალთა ბარის თხილამურობაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **ვირპი კუიტუნენმა**, 4022 ქულით კი მესამეზე ფორმულა ერთში მსოფლიოს ჩემპიონი, **კიმი რაიკონენი** გავიდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**21 დეკემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
14:55 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
16:00 ტოქ-შოუ - 2:1.
16:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:00 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
18:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 სასტვენი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
01:25 საფეხბურთო კლუბი.
02:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ნეშვილი.
09:47 სპორტული ისტორიები.
10:00 ფრენბურთი. უკრაინის თასი.
10:16 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური მიმოხილვა.
11:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. მაკაბი-ლეტუვოს რიტასი.
12:48 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. დუბაი. საემიროები.
13:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
16:41 სპორტული ისტორიები.
16:55 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ციურიხი-ლევერკუზენი.
18:43 მინი-მოედანი.
19:12 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-ლაციო.
21:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
22:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
00:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:00 კრივი. რინგ-საიდი.
02:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:16 მინი-მოედანი.
02:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა.
04:32 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:02 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.

06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-რეინჯერსი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი. სეზონის შედეგები.
12:00 ჩოგბურთი. ტატიანა გოლოვინი.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აბერდინი-კოპენჰაგენი.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-ბაზელი.
14:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლარისა-ნიურნბერგი.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
15:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალის წილისყრა. შვეიცარია (LIVE).
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აბერდინი-კოპენჰაგენი.
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. კვალიფიკაცია. შვეიცარია.
18:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ჰამბურგი-ბაზელი.
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლარისა-ნიურნბერგი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS137. კვალიფიკაცია. შვეიცარია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 მულტისპორტი.
22:00 სუმო.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
01:00 ცხენოსნობა. კონკურის შოუ. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
02:15 თავგადასავალი.
02:45 ექსტრემალური სპორტი.
03:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლარისა-ნიურნბერგი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ტენერიფე (ესპანეთი).
14:00 სუპერკროსი. მიუნხენი. გერმანია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო (რუსეთი)-ტენერიფე (ესპანეთი).
18:00 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. ლონდონი. ბრიტანეთი.
19:00 სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
20:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. V ტური. ოში-ბიარიტცი.
23:45 ახალი ამბები.
00:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. V ტური. კლერმონი-ტულუზი.
01:45 ახალი ამბები.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალიის თასი** | |
| მილანი-კატანია | 1:2 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 3:3 |
| **ჩეხეთი** | |
| პარდუბიცე-სპარტა | 5:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-მოდო | 3:2 |
| ბრიუნასი-ლულეა | 1:3 |
| ლინჩოპინგი-იურგორდენი | 1:2 |
| სიოდერტალე-ფრიოლუნდა | 7:0 |
| ტიმრე-ვვ 71 | 2:4 |
| ფერიესტადი-მორა | 4:2 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 2:6 |
| კაიპა-ტპს | 1:2 |
| კიეკო-პელიკანსი | 1:1 პენ. 1:2 |
| საიპა-ჰიფკ | 2:4 |
| ტაპარა-ლუკო | 3:2 |
| ჰპკ-ილვესი | 2:4 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ციბონა-უნიკახა | 62:76 |
| მაკაბი-ლეტუვოს რიტასი | 82:87 |
| არისი-ლე მანი | 93:74 |
| ვირტუსი-ტაუგრესი | 69:85 |
| რომა-რეალი | 69:64 |
| ფენერბაჰჩე-ბარსელონა | 78:85 |

## ჰოკეი

NHL. რეგულარული

**აილენდერსი-ბაფალო 1:2**

0:1, 0:0, 1:1

**გოლები**: 0:1 დ. რუა-13 (პომინვილი-18), 1:1 ვიტი-1 (რ. მარტინეკი-7, შატანი-12), 1:2 აფინოგენოვი-6 (ბ. კემპბელი-20, გოსტადი-11).

**დეტროიტი-ლოს ანჯელესი 6:2**

2:1, 2:1, 2:0

**გოლები**: 1:0 ზეტერბერგი-25 (ლიდსტრიომი-27), 2:0 ჰუდლერი-8 (კრონვალი-11, კლირი-11), 2:1 დ. ბრაუნი-16 (ვიშნოვსკი-19, კოპიტარი-19), 2:2 ო'სალივანი-7 (კოპიტარი-20, პრისინგი-7), 3:2 ჰოლმსტრიომი-17 (ზეტერბერგი-24, დაციუკი-29), 4:2 კლირი-11 (კრონვალი-12, სამუელსონი-12), 5:2 ფრანცენი-5 (ლილია-6, კრონვალი-13), 6:2 ფილპულა-8 (კრონვალი-14, ჩელიოსი-4).

**ჩიკაგო-ნეშვილი 5:2**

3:0, 2:2, 0:0

**გოლები**: 1:0 ლანგი-10 (ჰავლატი-4, კონტიოლა-1), 2:0 ბიფიგლინი-8 (იგერი-1, ვიშნიევსკი-6), 3:0 შარპი-15 (ტეუვზი-14, სოპელი-9), 4:0 ლანგი-11 (ჰავლატი-5, სიბრუკი-6), 4:1 დუმონი-9 (არნოტი-15, ჟიდლიცკი-15), 4:2 ბონკი-11 (მ. უებერი-4, რადულოვი-14), 5:2 შარპი-16 (ჰავლატი-6, კეინი-24).

**ანაჰაიმი-კოლორადო 2:1 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები**: 0:1 მაკორმიკი-1 (ლაპერიერი-5), 1:1 პრონგერი-6 (რ. კარტერი-1, მარჩანტი-4), 2:1 შნაიდერი-5 (კუნიტცი-13, პალსონი-3).

### ტურის მოვლენები

- "ბაფალო სეიბრზის" მეკარემ **რაიან მილერმა** 42 დარტყმა მოიგერია. "აილენდერსმა" 26 ზუსტი დარტყმით მეტი შეასრულა, მაგრამ მაინც წააგო.

- "ნიო იორკ აილენდერსმა" ბოლო 8 მატჩში მეშვიდე მარცხი იწვნია.

- "ბაფალომ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

- ამ სეზონში "სეიბრზი" გახდა მეცხრე გუნდი, რომელმაც 100-გოლიან ზღვარს გადაჭაარბა. ამ მაჩვენებლით "აილენდერსი" ლიგის ყველაზე უარესი გუნდია - 72 გოლი.

■ ■ ■

- "დეტროიტმა" ბოლო 11 მატჩში 10 გამარჯვებას მიაღწია. ეს გუნდი ლიგის ლიდერია - მას 34 მატჩში 25 მოგება აქვს. ამით "რედ უინგზმა" 1995-96 წლების რეკორდი გაიმეორა - 25 გამარჯვება 34 შეხვედრაში.

- დეტროიტელმა **ნიკლას კრონვალმა** მატჩში ოთხი ქულა დააგროვა, რაც მისი პირადი რეკორდი გახლავთ.

- "რედ უინგზისგან" განსხვავებით, "ლოს ანჯელესი" ლიგის აუთსაიდერია. 30 გუნდიდან მას ყველაზე ცოტა, 26 ქულა აქვს.

■ ■ ■

- "ნეშვილ პრედატორზმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო. ამ გუნდს ბოლო 8 მატჩში 7 წაგება აქვს.

- "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" ბოლო რვა მატჩში მხოლოდ მეორედ მოიგო.

- ჩიკაგოელმა **პატრიკ შარპმა** ერთი გოლი რიცხობრივი უმცირესობისას გაიტანა. ეს მისი მეექვსე ასეთი შაიბა იყო, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია. "ჩიკაგო" კი, რიცხობრივ უმცირესობაში გატანილი 11 შაიბით ლიგის ლიდერია.

ოლიმპიზმი

## სამარანჩი კლინიკაში მოხვდა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი **ხუან-ანტონიო სამარანჩი** გულის შეტევით მადრიდის ერთ-ერთ კლინიკაში მოათავსეს. 87 წლის სპორტული ფუნქციონერი საქველმოქმედო აქციას უნდა დასწრებოდა, რომელიც მადრიდის "რეალის" მეკარის **იკერ კასილიასისა** და ესპანელი ჩოგბურთელის, **რაფაელ ნადალის** მიერ იყო ორგანიზებული. მაგრამ სამარანჩმა ღონისძიებაზე გამგზავრება ვერ შეძლო, ვინაიდან გონება დაკარგა და სასწრაფოდ გადაიყვანეს კლინიკაში.

ექიმ **რაკელ დელ ვალეს** ცნობით, სამარანჩის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა მას კიდევ გარკვეული ხანი მოუწევს კლინიკაში დარჩენა.

სამარანჩი 1980-2001 წლებში ედგა სათავეში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ამჟამად კი, ის ამ ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტია. ასაკის მიუხედავად, XX საუკუნეში ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი დღემდე აქტიურად ესწრებოდა სხვადასხვა ღონისძიებებს. მაგალითად, გასულ კვირას ის მონაწილეობას იღებდა ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის მუშაობაში.

ავტოსპორტი

## ალონსო იანვარში დაბრუნდება

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** იანვარში დაიწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას. როგორც იცით, ესპანელი პილოტი ცოტა ხნის წინ, "მაკლარენიდან" "რენოში" დაბრუნდა და პირველად ფრანგული გუნდის საჭეს ხერესის ტრასაზე მიუჯდება.

ალონსოსა და "რენოს" კიდევ ერთ ახალწვეულს - **ნელსონ პიკე-უმცროსს**, თავდაპირველად 2007 წლის მოდელებით მოუწევთ ტესტებში მონაწილეობა, რადგან იანვრისთვის ახალი ბოლიდები დასრულებული არ იქნება.

ესპანელი პილოტი ბრაზილიის გრან-პრის შემდეგ, პირველად მიუჯდება ფორმულა 1-ის მანქანის საჭეს და გამოცდის ბოლიდს დამხმარე ელექტრონიკის გარეშე.

## ჰემილტონს მართვა აუკრძალეს

"მაკლარენის" პილოტი **ლუის ჰემილტონი** ერთი თვე ვერ შეძლებს მანქანის მართვას. გასული სეზონის ალმოჩენა საფრანგეთში სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააჯარიმეს. ბრიტანელმა საკუთარი "მერსედესით" 198 კილომეტრი/საათი სიჩქარე განავითარა და საბოლოოდ, პოლიციაში ამოჰყო თავი. მისი მანქანა ევაკუირებულ იქნა, ხოლო ლუისს 600 ევროს გადახდა მოუწია.

როგორც პოლიციელებმა განმარტეს, ჰემილტონი ზრდილობიანად იქცეოდა და სამართლადამცავებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

## შუმი მსახიობობას იწყებს

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს **მიხაელ შუმახერს** კინოში გადაიღებენ. გერმანელმა პილოტმა თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს ფილმში - "ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე". "ფერარის" ყოფილი პილოტის პერსონაჟის სახელი იქნება "შუმიქსი". სხვათა შორის, ფილმში მონაწილეობას მიიღებს "ფერარის" შეფი **ჟან ტოდტიც**. "ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე" საფრანგეთში, 30 იანვარს გამოვა ფართო ეკრანებზე.

## ფორს ინდიამ ფიზიკელა უარყო

ფორმულა 1-ის ახალმა გუნდმა "ფორს ინდიამ" უარყო გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს ამ საჯინიბომ მეორე პილოტად იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა** აირჩია. როგორც იცით, "რენოს" ყოფილი პილოტი, ადრე ხშირად გამოთქვამდა მილიარდერი **ვიჯაია მალიას** გუნდში გამოსვლის სურვილს.

*"ცნობა იმის შესახებ, თითქოს "ფორს ინდიას" მეორე პილოტი ჯანკარლო ფიზიკელა გახდება, სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენი გუნდის მეპატრონე მეორე საპრიზო პილოტის ვინაობას შობის წინ გამოაცხადებს"*, - ამბობს ინდური საჯინიბოს წარმომადგენელი.

ჭადრაკი

## ანანდი-კრამნიკი 11 ოქტომბერს დაიწყება

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** და რუსი **ვლადიმერ კრამნიკი** მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩის ჩატარებაზე შეთანხმდნენ. დიდოსტატებმა უკვე მოაწერეს ხელი შესაბამის ხელშეკრულებას.

მატჩი 12 პარტიისგან იქნება შემდგარი. ის 2008 წლის 11 ოქტომბერს დაიწყება და 28 ოქტომბერს დასრულდება. მოჭადრაკეებს გერმანიის ქალაქი ბონი უმასპინძლებს. საპრიზო ფონდი, რომელიც 1.5 მილიონ ევროს შეადგენს, დიდოსტატებს შორის თანაბრად განაწილდება.

ჰოკეი

## საიმონი 30 მატჩით დასაჯეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე უხეშმა ჰოკეისტმა, "ნიუ იორკ აილენდერსის" ფორვარდმა **კრის საიმონმა** 30-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ასეთი მკაცრი სასჯელი მან "პიტსბურგ პინგვინზთან" მატჩის შემდეგ დაიმსახურა, როცა საიმონმა შეგნებულად დაუსვა ფეხზე გალესილი ციგური ფინელ **იარკო რუუტუს**. საიმონის კარიერაში ეს უკვე მეშვიდე დისკვალიფიკაციაა. ამ წლის მარტში, მან 25 თამაში გამოტოვა იმის გამო, რომ ყვანჯი ჩაარტყა თავში "რეინჯერსის" ფორვარდ **რაიან ჰოლვეგს**. ამის გამო, თავდამსხმელი ამ სეზონის საწყის ხუთ მატჩს დააკლდა. "აილენდერსის" ხელმძღვანელობამ დროებით შეაჩერა ჰოკეისტის კონტრაქტის მოქმედება. თავად მოთამაშემ სადისციპლინო სხდომაზე აღიარა, რომ ეს პაუზა მას დასაფიქრებლად გამოადგება. საიმონს ხელფასიდან 292 ათასი დოლარი დააკლდება.

სხვათა შორის, 30-მატჩიანი დისკვალიფიკაცია NHL-ის რეკორდი გახლავთ.

## ჩიკაგო ბოშემენს უმიზნებს

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურამდე, "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო. ამის გამო, კლუბის ხელმძღვანელობამ დაცვითი ხაზის გაძლიერებაზე ზრუნვა დაიწყო და თვალი დაადგა სტენლის თასის მფლობელის, "ანაჰაიმ დაქსის" ერთ-ერთ საუკეთესო მცველს, **ფრანსუა ბოშემენს** (35 მატჩში 12 ქულა). გუნდებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

სხვათა შორის, ბოშემენის გადაბირებაზე "ჩიკაგოს" გარდა, კიდევ რამდენიმე კლუბი მუშაობს.

ჩოგბურთი

## ფილიპუსისი წასვლაზე ალაპარაკდა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, მელბურნში მიმდინარე ავსტრალიის ჩემპიონატში ტრავმა მიიღო ცნობილმა ჩოგბურთელმა **მარკ ფილიპუსისმა**, რომელიც "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის - ავსტრალიის ღიას საგზურის მიღებას ლამობდა. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, ფილიპუსისს ტრავმირებულ მუხლზე მორიგი ოპერაცია ელის, რაც ორთვიან იძულებით შვებულებას ითვალისწინებს. ყველაფერი ამის გამო, სკადმა კარიერის დასრულებაზე დაიწყო ფიქრი: *"ვერც კი ვფიქრობ იმის შესახებ, რომ კიდევ შევძლებ კორტზე დაბრუნებას. ერთადერთი, რაც მინდა, ეს დროის ოჯახთან გატარებაა. კარიერის დასრულებაზე სერიოზულად დავფიქრდი. არ შემიძლია ყოველდღიურად ტკივილთან ბრძოლა და ისე ჩოგბურთის თამაში"*.



## უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტური

### A ჯგუფი

**ალკმაარი-ევერტონი 2:3**

**ალკმაარი:** ვატერმანი, იალიენსი, ოპდამი, პოკონიოლი (77. აგუსტიენი), სტეინსონი, კზიომერი (66. ელ ჰამდაუი), დე ზეეუვი (65. იენერი), და სილვა, ვორმერი, დემბელე, პელე.

**ევერტონი:** ვესელსი, ჰიბერტი, ლესკოტი, ნუნუ ვალენტე, კარსლი, გრავესენი (80. როდუელი), ჟაგიელკა, პიენაარი (69. ვიდარსონი), ანიჩებე, ჯონსონი (68. ვოგანი), მაკფადენი.

**გოლები:** 0:1 ჯონსონი (2), 1:1 პელე (16), 1:2 ჟაგიელკა (44), 2:2 იალიენსი (65), 2:3 ვოგანი (79)

**მაყურებელი:** 16 578

**ლარისა-ნიურნბერგი 1:3**

**ლარისა:** კიპუროსი, დაბიზასი, გალიციოსი, კაციაროსი, ვენეტისი, ბახრამისი (77. ბაკაიოკო), გიკასი (61. კლეიტონი), კირიაკიდისი, კალანცისი, კოზლეი, პარა (71. ალექსანდრუ).

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, ბოშამი, გლაუბერი, რაინჰარდტი, ვოლფი, გალაშეკი, კლუგე, მინტალი, ხარისტეასი, მისიმოვიჩი, საენკო.

**გოლები:** 1:0 კოზლეი (11), 1:1 საენკო (45), 1:2 მინტალი (56), 1:3 ხარისტეასი (73)

**მაყურებელი:** 2 863

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევერტონი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| 2. ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 3. ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 4. ალკმაარი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 5. ლარისა | 4 | 0 | 0 | 4 | 4-11 | 0 |

### B ჯგუფი

**აბერდინი-კოპენჰაგენი 4:0**

**აბერდინი:** ლანგფილდი, ბირნი, კონსიდინი, დაიმონდი, ჰარტი, კლარკი, ნიკოლსონი, სევერინი, სმიტი (74. მაგირე), ალუკო (59. ფოსტერი), მილერი.

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, ანტონსონი, გრავგაარდი, ვენდტი, გრონკიაერი (70. ნორდსტრანდი), ჰათჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი (61. ზილბერბაუერი), ზიონკო, ვიურტცი (58. ალმეიდა), ოლბაკი.

**გოლები:** 1:0 სმიტი (47), 2:0 სმიტი (55), 3:0 ანტონსონი (71-საკ. კარში), 4:0 ფოსტერი (83)

**მაყურებელი:** 20 446

**ატლეტიკო-პანათინაიკოსი 2:1**

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, ელერი, პერეა, ზე კასტრო (61. რეიესი), სანტანა (46. სიმაო საბროსა), ლუის გარსია, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი, აგუერო (90. პაბლო იბანიესი), ფორლანი.

**პანათინაიკოსი:** მალარცი, ფისასი, მორისი, სარიეგი, ვინტრა, ჟუნიორი (85. დიმუცოსი), მატოსი, რომერო (68. ივანშიტცი), ციოლისი, პაპადოპულოსი, სალპინგიდისი (79. მანციოსი).

**გოლები:** 0:1 სალპინგიდისი (34), 1:1 ლუის გარსია (74), 2:1 სიმაო საბროსა (90+6)

**გაძევება:** რაულ გარსია (81. ატლეტიკო)

**მაყურებელი:** 14 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 2. პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 3. აბერდინი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 4. კოპენჰაგენი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-7 | 3 |
| 5. ლოკომოტივი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |

### C ჯგუფი

**ფიორენტინა-მლადა 2:1**

**ფიორენტინა:** ლუპატელი, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, უიფალუში, დონადელი (50. პაციენცა), გობი, სემიოლი, ლივერანი, მუტუ (76. ოსვალდო), პაცინი (62. ვიერი).

**მლადა:** პიჟანოვსკი, კოპიჩი, პროჰაზკა, როლკო, ვორიშეკი, ჰრდლიჩკა (80. ვანეჩეკი), კისელა (46. ტაბორსკი), რაინოხი, სედლაჩეკი, კალინა (65. ჰოლუბი), მენდი.

**გოლები:** 1:0 მუტუ (44-პენ), 1:1 რაინოხი (60), 2:1 ვიერი (67)

**მაყურებელი:** 11 140

**აეკ-ვილიარეალი 1:2**

**აეკ:** მახო, არუაბარენა, ჟერალდო, პაპაცოპულოსი, რამოსი, კონე (60. მანდუკა), ნსალივა (46. კაფესი), რივალდო (82. პაპასი), ტოშერი, ჟულიო სეზარი, ლიბეროპულოსი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, სიგანი, ფუენტესი, ხავი ვენტა, ხოსემი, ბრუნო, ფერნანდესი, მავუბა, კასორლა (46. კანი), როსი (69. ფრანკო), ტომასონი (89. ანხელი).

**გოლები:** 0:1 მავუბა (40), 1:1 რივალდო (68), 1:2 ტომასონი (69)

**მაყურებელი:** 16 380

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვილიარეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. ფიორენტინა | 4 | 2 | 2 | 0 | 10-4 | 8 |
| 3. აეკ | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 4. მლადა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 5. ელფსბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-12 | 1 |

### D ჯგუფი

**ჰამბურგი-ბაზელი 1:1**

**ჰამბურგი:** როსტი, ატუბა, ბოატენგი, კომპანი (71. კასტელენი), მატიისენი, რაინჰარდტი, დე იონგი, იაროლიმი, ტროხოვსკი (62. გერერო), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი.

**ბაზელი:** კოსტანცო, ჰოდელი, მაისტროვიჩი, მარკე, ზანი, ბა, კარლიტუში (81. კაისედო), დეგენი (51. მორგანელა), ერგიჩი, ჰუგელი, ედუარდო (85. დერდიოკი).

**გოლები:** 0:1 ერგიჩი (58), 1:1 ოლიჩი (73)

**გაძევება:** ზანი (49. ბაზელი)

**მაყურებელი:** 48 917

**რენი-დინამო (ზ) 1:1**

**რენი:** პუპლენი, ფანი, ჰანსონი, მენსა, სორლენი, შეირუ, ლერუა (65. ეკოკო), მ'ბია, ბრაიანდი (76. მორეირა), პაჟისი, ვილტორი (64. ტომერი).

**დინამო:** კოხი, კალე (88. შოკოტა), სამირი (65. გუელა), დრპიჩი, ეტო, მანძუკიჩი, მოდრიჩი, პოკრივაცი, ვუკოევიჩი, კარლოსი, ტადიჩი (77. ბალაბანი).

**გოლები:** 0:1 ვუკოევიჩი (57), 1:1 მ'ბია (88)

*86-ე წუთზე შეირუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 11 846

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| 2. ბაზელი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| 3. ბრანი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. დინამო | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 5. რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |




ატლეტიკო-პანათინაიკოსი 2:1. მადრიდელებმა ამ გამარჯვებით პროგრამა-მინიმუმი შეასრულეს

ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა